# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის სამშაბათობით №36 (1737) 21 – 27 სექტემბერი, 1999 წ. ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ღალატი ახალი ხილი არასოდეს ყოფილა საქართველოში, მაგრამ ამდენი?!



მეორე გვერდი

## აბსანძეს სამშობლოს ღალატში ადანაშაულებენ, თუმცა ამ სამშობლოს მოქალაქედ არ თვლიან



გურამ აბსანძეს პარლამენტის მიერ მიღებული კანონის საფუძველზე, რომლის მიხედვითაც, თუკი უკანასკნელი ორი წელიწადი არ გიცხოვრია საქართველოში, მაშინ არჩევნებში მონაწილეობის უფლება არა გაქვს, მოეხსნა დეპუტატობის კანდიდატობის უფლებამოსილება. სახალხო პარტიის რწმუნებული გია მჭედლიძე არგუმენტირებულად აბათილებს ყველა იმ მიზეზს, რომლის საფუძველზე აბსანძეს აუკრძალეს დეპუტატობის კანდიდატობა. ჯერ ერთი, აბსანძე წელიწადნახევარი პატიმრობაში იმყოფება საქართველოში, მეორეც, თურმე ძებნილი კაცი დედის ავადმყოფობისა და დასაფლავების პერიოდებში სამშობლოში იყო, მესამეც, სამშობლოს ღალატში დაადანაშაულო კაცი, რომელსაც ამავე სამშობლოს მოქალაქედ არ თვლი, ცოტა აბსურდულია. ჩვენ ერთს დავსძენდით, რომ ეს კანონი საერთოდ უაზრობა და სისულელეა. ეს კანონი რომ ყოფილიყო ძალაში თავის დროზე, მაშინ ედუარდ შევარდნაძე არა თუ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურობას, არამედ სოფლის საკრებულოს წევრობასაც ვერ ეღირსებოდა.

## ფრთხილად, გიორგი, ფრთხილად!

სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის პრეზიდენტმა გიორგი კერვალიშვილმა განაცხადა: კოლხურ კოშკში მიმდინარე გრანდიოზული შიმშილობის აქცია შევარდნაძის რეჟიმის პანაშვიდიაო.

ფრთხილად, გიორგი, ფრთხილად, თორემ სანამ შევარდნაძის რეჟიმის პანაშვიდზე წავიდოდეთ, მანამ კინაღამ შენს პანაშვიდზე მოგვიწია წასვლამ.

*გურამ ჩახვაძე:*

## გვაქვს ინფორმაცია, რომ არჩევნებისთვის ზედმეტი ბიულეტენები იბეჭდება

მესამე გვერდი

*კახა კახაძე:*

## ჩვენი დახარჯული 100 დოლარი სხვა პარტიის დახარჯულ 1000-ს უდრის

მეოთხე გვერდი

## „ხელის მოთბობაში“ რუსებს არც ჩვენები ჩამორჩებიან

უკანასკნელ ხანს რუს ხელისუფალთა კორუფციამ საერთაშორისო სკანდალის სახე მიიღო. ირკვევა, რომ ელცინის ოჯახსაც გვარიანად მოუთბია ხელი უკანონო გზით. კერძოდ, ელცინის ქალიშვილს ტატიანა დიაჩენკოს 30 მილიონ დოლარად საფრანგეთში შესყიდული ჰქონია უძველესი ციხე-სიმაგრე, სადაც ის სიამოვნებით ატარებს დროს. თუ საქართველოს ხელისუფალთა მიერ უკანასკნელ წლებში ქვეყნის კისერზე დადებულ ორ მილიარდ დოლარ ვალს გადავხედავთ, მაშინ არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ამგვარი „ქოხები“ არც ჩვენს ხელისუფალთა ქალიშვილებს უნდა აკლდეთ, რომ არაფერი ვთქვათ მათ საყვარლებზე.



## „მოქკავშირი დაპირდა და „აპოვნინა“ კიდევ ქართველებს მილიონი სამუშაო ადგილი ...უცხოეთში“

მეოთხე გვერდი

## ინგლისი ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის წინააღმდეგ?

ელექტრონული ვერსია Http:// www.opentxt.org.ge/sakartvelo

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალ-ახალი ამბები

## რეპლიკა-კომენტარებით

### უვარგისი ნააზრევი



მოქალაქეთა კავშირმა საარჩევნო კამპანია მართლაც რომ მასშტაბურად დაიწყო. არცერთი ტელეარხი არ დარჩა, რომ მათი საარჩევნო კლიპები და მოწოდებები არ ტრიალებდეს. სმკ-ს მხარდასაჭერად ამოქმედდნენ შემოქმედებითი ინტელიგენციის ცნობილი წარმომადგენლები, რომელთაც მონარქიის დროს კარის პოეტებს, მხატვრებსა და მასხარებს უწოდებდნენ, რადგან მეფის სამსახურში იდგნენ და თავიანთ შემოქმედებაში მეფეთა საქმეებს განადიდებდნენ. არა გვგონია ბევრით განსხვავდებოდეს მათგან ჩვენი ნალები ინტელიგენციის ბევრი ცნობილი წარმომადგენელი. ზოგიერთი მაინც ისეთ ხმამაღალ ქება-დიდებას აღავლენს ხელისუფლების მიმართ, როგორც მეჩითზე შემომჯდარი მოლა ალაჰს შეჰყივის.

ერთ-ერთი მსახიობი თავისი დახვეწილი ხმის ტემბრით და მანერით ევედრება ამომრჩეველს: იქნებ დაწყებული საქმე ბატონ ედუარდ შევარდნაძეს და მის გუნდს გავაგრძელებინოთ და მივაყვანინოთ საქმე ბოლომდეო. ყველაფერი რიგზე იქნებოდა და ამომრჩეველიც გაიზიარებდა, ალბათ, ამ თხოვნას, შეკითხვები თუ არ დაებადებოდა მისი მოსმენის შემდეგ: რომელი საქმე გავაგრძელებინოთ და მივაყვანინოთ ბოლომდე? ამ საქმეებში შედის აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაკარგვა და დაუბრუნებლობაც? საყოველთაო უმუშევრობაც და შიმშილიც? უცხოეთში ლუკმა-პურის საშოვნელად საქართველოდან ასიათასობით ადამიანის გაქცევაც? თუ ამ საქმეების გაგრძელებას და ბოლომდე მიყვანას გვთხოვს მსახიობი, არადა, ეს საქმეები მოქკავშირის ნამოქმედარია, მაშინ ქვეყნის დაღუპვისა და გადაშენებისაკენ გვიბიძგებს პატივცემული ინტელიგენტი ისე, რომ შესაძლოა თვითონაც არ უწყის, რას ქადაგებს.

ინტელიგენტი ინტელექტუალურ, მოაზროვნე ადამიანს ნიშნავს, მაგრამ, ეტყობა, ინტელიგენტად მიღებული ადამიანის ყველა ნააზრევის გათვალისწინება არ შეიძლება, რადგან ეს ნააზრევი უბრალოდ უვარგისია.

### იქნებ გვიმალავენ ამ ტელეგრამებს შევარდნაძე და აბაშიძე?



ამას წინათ ქართველთა პირსისხლიან მტერს არძინბას დედა გარდაცვლია. ვაჟკაცი და ღირსეული ქართველი იტყოდა. ძაღლმა და ღორმა ჩ...-ს მის საფლავშიო. ამის ნაცვლად საქართველოს პრეზიდენტმა არძინბას სამძიმრის დეპეშა გაუგზავნა, ხოლო აჭარის ავტ. რესპუბლიკის მეთაურმა ასლან აბაშიძემ დეპეშა არ აკმარა და დელეგაცია გააგზავნა სამძიმრის გადასაცემად.

ღმერთო, შენ გვიშველე და, ხანდახან ჩვენს ხელისუფალთა ამგვარ მოქმედებებს რომ ვუყურებთ, გვგონია, რომ დედამიწამ უკუღმა დაიწყო ტრიალი და ყველაფერი უკუღმა წარმოდგება. სიძულვილს სიყვარული ერქმევა, პირში ფურთხებას - პირზე კოცნა, სიჯაბნეს და მშიშრობას - მამაცობა და გამბედაობა. ეგ არის მხოლოდ, რომ ადამიანები მაღლიაფეხებაშვერილნი ხელებით არ დადიან.

ისე, საინტერესოა, ქართველთა ღუსაბუდიანად ამოხოცვის შემდეგ, სარებზე წამოცმის, ალმოკიდებულ საბურავებზე დაწვისა და ბაზარში ქართველთა ხორცის გასაყიდად გამოტანის შემდეგ, რომელ ქართველ ჭირისუფალს მიუსამძიმრა არძინბამ ახლობლის დაკარგვა? იქნებ აქვთ ეს ტელეგრამები შევარდნაძეს და აბაშიძეს და გვიმალავენ?

## ინტერვიუ

### თათია ხაინდრავა:

# ღოლაბი ახალი ხილი არასოდეს ყოფილა საქართველოში, მაგრამ ამდენი?!

*ქალბატონი თათია დაბადებულია 1928 წლის 16 მაისს, გაგრაში, ხარბინში განსწავლულ სიმონ ხაინდრავასა და დიდოსტატ კონსტანტინე გამსახურდიას დის, სოფიოს, ოჯახში. თბილისში დამკვიდრებულან 1922 წლიდან. აქვე დაუმთავრებია ქალთა 21-ე, ამჟამინდელი 47-ე საშუალო სკოლა. ცხოვრობდა ყოფილ პეროვსკაიას ქუჩაზე, კოტე მახარაძის მეზობლად. დამთავრებული აქვს თეატრალური ინსტიტუტი.*

*ჩვენ, სამწუხაროდ, ვერა და ვერ გაგვიხსენებია, ვის ეკუთვნის ეგზომ ორიგინალური პასუხი კითხვაზე: „რას აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?“ – ხმასო! – მიუგია დაუფიქრებლად იმ ჩვენს გულში მჯდომარეს.*

*რაღა თქმა უნდა, თუ მანდილოსანს, გარეგნობასთან ერთად, ხმაც ერთობ მიმზიდველი აქვს, ეს უკვე ღვთისგან მომადლებული განძია!...*

*თორემ ფარშევანგი, ფრთებ და კუდგაფოფრილი ფარშევანგი რომ ლამაზზე ლამაზია, ყველა დაგვიდასტურებს, მაგრამ, საკმარისია, ხმა გაიღოს, კაცს ტანში უსიამოდ გააჟრჟოლებს.*

*თათია ხაინდრავა, დღევანდელი ჩვენი სტუმარი, სწორედ ის ბედნიერი გამონაკლისია, როდესაც გარეგნულ მომხიბვლელობას ორგანულად ერწყმის მისი საოცრად ლბილტემბროვანი, გულის სიმანაძლერი, ნაზზე უნაზესი და ქალურზე უფრო ქალური ხმა, რომელსაც ძლივს შესამჩნევი კოლხური კილო კიდევ უფრო მეტ ეშხს ჰმატებს.*

*სადღეისოდ, ქალბატონი თათია, ფაქტობრივად, უქმად ზის შინ! ტრაგედიაა ეს! თანაც, არა მარტო თავად თათიასათვის, არამედ - ტელე და რადიომსმენელებისათვისაც, თუ სრულიად საქართველოსთვის არა!*

**– ქალბატონო თათია, უკვე ვაუწყე მკითხველებს, გაგრაში რომ ბრძანდებით დაბადებული. რატომ გაგრაში, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ცხოვრობდით?**

– საქმე ისაა, რომ ჩემი მეზობლები მოგზაურობდნენ თურმე გემით ჰოდა, სწორედ გაგრის მახლობლად გამხდარა დედაჩემი „ცუდად“. მამაც იძულებული გამხდარა გემიდან პირდაპირ გაგრის სამშობიარო სახლში მიეყვანა.

სასწაული იყო, მაშ რა: 18 წლის მამას 17 წლის დედაჩემი, სოფიო გამსახურდია შეურთავს, 22 წლის განმავლობაში არ გაჩენიათ შვილი. ორ ნაშვილებს ზრდიდნენ შვილივით და ... უეცრად მე გავჩენილდი! ეს ღვთის წყალობით მომხდარა და ვინაიდან ღმერთი წარამარა არ სწყალობს ადამიანს, მეც დედისერთად „დავმკვიდრდი“.

მამა ქველმოქმედი კაცი გახლდათ, უანგაროდ ეხმარებოდა ნათესავებს, ახლობლებს, მეგობრებს. დიდი სიახლოვე ჰქონიათ ერთმანეთში მამასა და კონსტანტინე ბიძიას. დიდი სიყვარულით გამოირჩეოდა სიძე-ცოლის ძმა.



როდესაც ჩვენები ქუთაისში ცხოვრობდნენ, ჩვენს ბინაში ერთი ოთახი საგანგებოდ ყოფილა გამოყოფილი ბატონი კონსტანტინესათვის, რათა, როცა გვეწვეოდა, წყნარად ემუშავა ხოლმე. ხოლო, როდესაც კონსტანტინე უცხოეთში იყო, მამა ყოველთვის ეხმარებოდა თავის ცოლისძმას.

**– თბილისში როდის გადმოვიდა თქვენი ოჯახი?**

– ქუთაისიდან ჩვენები ჩემს გაჩენამდე რამდენიმე წლით ადრე გადმოსულან. ჩვენ ახლანდელ ახვლედიანის ქუჩაზე ვცხოვრობდით და, თუ ვინმე მკითხავს, რომელი პერიოდი იყო ჩემთვის ყველაზე ბედნიერი, უყოყმანოდ მივუგებდი: რა თქმა უნდა, ის 7 წელიწადი, რომელიც დედ-მამასთან გავატარე 1928-იდან 1937 წლამდე!

37-ში კი უეცრად დაგვემხო ცა თავზე, დაგვემხო და დაგვაქცია. ქმრის გარდა, ერთი

გაგრძელება მე-5 გვ

## თვალსაზრისი

# ინგლისი ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის წინააღმდეგ?

ევრაზიული დერეფნის მშენებლობის და ძველი „აბრეშუმის გზის“ აღდგენის გრანდიოზულ პროექტებში ჩვენს სამხრეთელ მეზობელს, – თურქეთს გადამწყვეტი ადგილი უკავია. ეს პროექტი მოაზრებულია, როგორც სხვადასხვა კომუნიკაციების ურთიერთმოქმედების ერთიანი, მთლიანი სისტემა. ამის თაობაზე თურქეთის პრეზიდენტმა ს.დემირელმა თქვა, რომ თურქეთი სატრანსპორტო ქსელის ცენტრია, რომელიც სამ კონტინენტს აკავშირებს ერთმანეთთანო.

საქართველოს ამ პროექტებში მონაწილეობიდან გამომდინარე ჩვენთვის საინტერესოა თურქეთის იმ ტერიტორიების ინფრასტრუქტურა, ეკონომიკურ სამეურნეო სურათი, სადაც ამ პროექტით გამიზნული სამეურნეო-სამრეწველო სტრუქტურები შეიქმნება ან გაივლიან. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტი, რომელიც თურქეთის ეკონომიკურად ყველაზე ჩამორჩენილ და სტაბილიზაციის თვალსაზრისით ნაკლებად მდგრად, შეიძლება ითქვას, საშიშ ზონაში, – სამხრეთ-აღმოსავლეთ ოლქების მახლობლად გაივლის.

ამ მხრივ ინტერესს იწვევს ის გარემოება, თუ როგორი სოციალურ-ეკონომიკური, სამხედრო-სტრატეგიული ვითარებაა აღნიშნულ რეგიონში, ვინაიდან საბოლოო ჯამში სწორედ ეს ფაქტორი განაპირობებს ნავთობსადენის გაყვანისა და მასთან დაკავშირებული სხვა სამეურნეო სტრუქტურების შექმნის, პერსპექტივებს, შემდეგ კი მათი მუშაობის სტაბილურობასა და უშიშროებას. ისიც საინტერესოა ვიცოდეთ, არსებობს კი საერთაშორისო პოლიტიკურ არენაზე რაიმე ძალა, თუნდაც ქვეყანა ან ქვეყნების ჯგუფი, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ამ რეგიონში აღნიშნული პროექტის განხორციელებას და საერთოდ, რა ზომებს მიმართავენ ისინი ამ მიზნით?

ბოლო წლებში თურქეთის ხელისუფლება დიდ ყურადღებას უთმობს აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი რეგიონის ეკონომიკურ განვითარებას, ცდილობს იგი ჩართოს საერთაშორისო ეკონომიკურ-სამეურნეო არეალში. აღსანიშნავია, რომ



თურქეთი დაინტერესებულია არა მარტო კავკასიური, არამედ ცენტრალური აზიის ბუნებრივი რესურსებითაც. გასულ წელს თურქეთ-ირანს შორის დადებული ხელშეკრულებით ირანზე უნდა გაიაროს ტრანსკასპიურმა მილსადენმა, რომელიც თურქმენეთის გაზს მიაწვდის ევროპას. გაზსადენი კი ირანიდან თურქეთში სწორედ სამხრეთ-აღმოსავლეთიდან შევა და გაივლის ქვეყნის პოლიტიკურად არამდგრად ოლქებს, ვიდრე მიაღწევს ქვეყნის მშვიდობიან რაიონებს. თურქეთის დაინტერესება ამ პროექტით ძალიან დიდია, რადგან იგი წლიურად მიიღებს 15 მლრდ. $м^3$ გაზს და ამდენსავე გაიტანს საერთაშორისო ბაზარზე. ბუნებრივია, თურქეთის მთავრობა ეცდება საიმედო დამცავი მექანიზმების შექმნას მთელი ტრასის გაყოლებით.

მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანეს ანტალია-ალანიის დიდი საავტომობილო მაგისტრალის მშენებლობაშიც და ამიერიდან ამ გზის დიდი მონაკვეთი გადაიწევს სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ, კერძოდ, ქურთებით კომპაქტურად დასახლებული რაიონებისაკენ. ასევე მიმდინარეობს რკინიგზის ახალი ხაზების და საერთაშორისო აეროპორტის მშენებლობა. რეგიონში საგანმანათლებლო-სამეცნიერო დონის ამაღლების მიზნით სანლიურფაში შენდება ახალი დიდი უნივერსიტეტი. მაგრამ არსებობს მედლის მეორე მხარეც, კერძოდ, სამხრეთ-აღმოსავლეთი ანატოლია თურქეთის ყველაზე ჩამორჩენილი და ნაკლებშემოსავლიანი რეგიონია. ცხოვრების დონე ხუთ-ექვსჯერ ჩამორჩება ქვეყნის დასავლეთი ოლქებისა და ქალაქების ცხოვრების დონეს. ხელისუფლებასა და ქურთ სეპარატისტთა შორის 15 წლიანმა ომმა ბოლო მოუღო ისედაც გაჩანაგებულ მხარეს. 400 ათასამდე სოფლის მკვიდრი ქურთი ბრძოლებ-

გაგრძელება მე-8 გვ

# არჩევნები - იმედი თუ უიმედობა?..

საქართველოში შესამჩნევად აგრილდა და იმედია, შემოდგომის ნიავი საკმაოდ გაგვიადვილებს სუნთქვას, მაგრამ ქართველ პოლიტიკოსთათვის ეს შემოდგომა წლევანდელ ზაფხულზე ცხელი იქნება. დაიწყო საქართველოს პარლამენტის არჩევნების მარათონი. ფინიშამდე კი სულ უფრო და უფრო ცოტა დრო რჩება - 30 ოქტომბერს გვიან ღამით უკვე გაირკვევა, თუ ვინ მიაღწია ფინიშს და ვინ დარჩა მის მიღმა. მოვა ახალი პარლამენტი, ახალი დაპირებებით, ახალი იმედებით, ძალთა ახალი განაწილებით, მაგრამ მოვა კი ის ახალი ადამიანებით, ახალი იდეებითა და შესაძლებლობებით? - საკითხავი, აი ეს არის და ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მხოლოდ საქართველოს ელექტორატს შეუძლია. - იქნება ის თითოეული ელექტორის მთავარი საზრუნავი - შედეგი იქნება დადებითი. სხვა შემთხვევაში შედეგი იქნება უარესი, უარესი არსებულზე. რადგან არსებული პარლამენტის მსგავსის გამეორება სამუდამოდ დაასამარებს საქართველოს გაწამებულ მოქალაქეთა ისედაც მბჟუტავ იმედს არჩევნების გზით რაიმე საქმის გამოსწორებისა.

თუ გადავხედავთ ჩვენი საუკუნის საქართველოს პარლამენტარიზმის ისტორიას (საქართველოში პარლამენტარიზმის ჩანასახი XII საუკუნიდან იწყება), ნათლად დავინახავთ, რომ 1918-21 წლების საქართველოს დამფუძნებელი კრება (პარლამენტი) მთლიანობაში იყო ეროვნული. მის წევრთა უმრავლესობა იმპერიულ და ექსპლოატატორულ ძალებთან მრავალწლიან ბრძოლაში იყო გამოწრთობილი, ამიტომაც მათ ისტორიულად ძალზე მცირე დროში ბევრი კარგი და საქვეყნო საქმის გაკეთება მოასწრეს, რომელთა გვირგვინია - საქართველოს კონსტიტუცია, რომელიც იმ დროს არსებული ევროპისა თუ ამერიკის მოწინავე ქვეყნების კონსტიტუციათაგან არც ერთს არ ჩამოუვარდებოდა, არც ადამიანის უფლებების დაცვის, არც სოციალური გარანტიების უზრუნველყოფის, არც ნაციონალური საკითხის გადაწყვეტით, არც ქალთა და ბავშვთა უფლებების დაცვით და ა.შ. ხოლო ლიტერატურული სტილით, გამჭვირვალობით, უბრალოებითა და დემოკრატიულობით უდაოდ ყველა მათგანზე მაღლა იდგა. მიუხედავად ამისა, ჟორდანიას პარლამენტმა ვერ შესძლო არა, თუ მთელი ერის დარაზმვა თავისუფლებისათვის საბრძოლველად, არამედ თვით პარლამენტის ერთ მუშტად შეკვრაც კი, რასაც უსათუოდ უნდა მოჰყოლოდა ის, რაც მოჰყვა და რისი შედეგის მოწმენი ჩვენ ყველანი ვიყავით. საქართველომ კვლავ დაკარგა ასე ნანატრი დამოუკიდებლობა და 117 წლის რუსული იმპერიული უღლის სიმძიმე ახალი ძალით დააწვა. „თავისუფალ ხალხთა იმპერიიდან" გამოქცეული საქართველო „თავისუფალ ერთა ძმურ კავშირში" აღმოჩნდა, სადაც მას რომანოვების საკმაოდ ჟანგიანი ბორკილები, ინდუსტრიული რუსეთის ცვეთამედეგი უჟანგავი ფოლადის ბორკილებით შეუცვალეს და აიძულეს „ძმურ" ერებთან ერთად 70 წელი ეშენებინა „კომუნიზმი". რაც „ქარის წისქვილებთან" ბრძოლის თანამედროვე ინტერპრეტაციას უფრო წააგავდა. ამქვეყნად ყველაფერს აქვს დასასრული და აი დადგა 1990 წლის 28 ოქტომბერი. საქართველოში დაახლოებით 7 ათეული წლის შემდეგ კვლავ ტარდება „უზენაესი საბჭოს", - პარლამენტის მრავალპარტიული არჩევნები. ქართველი ამომრჩეველი თითქმის ერთხმად უჭერს მხარს ეროვნულ მოძრაობას. მეტნაკლებად არჩევნებში მონაწილე 14 სუბიექტიდან ყველა საქართველოს დამოუკიდებლობის მომხრეა - ამომრჩეველმა კომუნისტების გამარჯვების შანსის გამორიცხვის მიზნით ერთიანად ხმა მისცა ეროვნული ძალების იმ ფრთას, რომელსაც სათავეში დამოუკიდებლობის მოძრაობის ყველაზე პოპულარული პიროვნება, ბატონ ზვიად გამსახურდია უდგა. 70-წლიანი იძულებითი ინტერვალის შემდეგ აირჩა საქართველოს პარლამენტი, რომელიც მთლიანობაში ეროვნული იყო, მაგრამ მის წევრთა უმრავლესობა, განსხვავებით 1918-21 წლების ქართველ პოლიტიკოსთაგან, როგორც დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, ასევე სახელმწიფოს მართვის ხელოვნებაში სრულიად გამოუცდელი იყო. საკვირველია, მაგრამ ფაქტია - პარლამენტის დეპუტატთა საკმაოდ დიდი ნაწილი სრულიად შემთხვევით პიროვნებებს წარმოადგენდნენ, ზოგი მათგანი კი სულაც ქუჩიდან მოხვდა იქ. ისე, რომ არა თუ საზოგადოებრივი მოღვაწეობით ან ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის გამოუცდელობით, არამედ არავითარი ცხოვრებისეული გამოცდილებით არ გამოირჩეოდა და მისი ვინაობა აქამდე მხოლოდ ნათესავ - ახლობელთა და ნაცნობ - მეგობრებისთვის თუ იყო ცნობილი და ის წრეც საკმაოდ მწირი ჰქონდათ. ამ და სხვა მიზეზთა გამო იმ პარლამენტმა მთელი თავისი ხანმოკლე მოღვაწეობა კინკლაობასა და ურთიერთდაპირისპირებაში გაატარა. დეპუტატები სესიებზე უფრო ხშირად ეჯიბრებოდნენ არა პრაქტიკული საქმეების კეთებაში, არამედ ლანძღვასა და ანგარიშსწორებაში, ერთი სიტყვით, პარლამენტის სესიები ქუჩის მიტინგებს ემსგავსებოდა და ხალხისათვის ერთობ სასეირო საცქერად იქცა. ხალხის უკმაყოფილება არჩეული პარლამენტისადმი ნელ-ნელა მძლავრ ოპოზიციურ ბრძოლაში გადაიზარდა. პარლამენტმა და მთავრობამ კი მუშაობის სტილის შეცვლისა და საქმის გამოსწორების მაგიერ ოპოზიციასთან ბრძოლა კვლავ მიტინგებით გააგრძელა. ეს იყო უპრეცენდენტო მოვლენა მსოფლიოს ისტორიაში, როცა ხელისუფლება, მისი პოლიტიკით უკმაყოფილოთა მიტინგებს უფრო გრანდიოზულ მიტინგებს უპირისპირებდა.

მიტინგი - მიტინგის წინააღმდეგ – აი იმ პარლამენტის სტრატეგიის ლაიტმოტივი. რა თქმა უნდა, „უზენაესმა საბჭომ" ბევრი

გაგრძელება მე-6 გვ.

## გურამ ჩახვაძე: გვაქვს ინფორმაცია, რომ არჩევნებისთვის ზეგეგმიური ბიულეტენები იბეჭდება

***- ბატონო გურამ, თქვენმა პარტიამ ამ ცოტა ხნის წინ ყველასთვის სრულიად მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო და საზოგადოება „დიდგორთან" ერთ ბლოკში გაწევრიანდა, რამ განაპირობა „სახალხოს" ამგვარი ნაბიჯი?***

- აღნიშნულ ორგანიზაციასთან და მის ხელმძღვანელებთან ჩვენ გვქონდა კონსულტაციები და ბევრ რამეში შევთანხმდით. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, ცნობილი მოვლენების შემდეგ საზოგადოება დაიყო, ამან პოლიტიკურ სპექტრში თავისი ასახვა ჰპოვა, შეიქმნა საზოგადოების დიდი ფენა და შესაბამისად პოლიტიკოსებისაც, რომლებიც სხვა სივრცეში აღმოჩნდნენ. ამან ჩვენი ქვეყნის სტაბილურობაზე, ერის ერთიანობაზე გარკვეული გავლენა იქონია, ჩვენი, ორივე მხარის დიდი სურვილი გახლდათ გაგვეანალიზებინა ყოველივე, საერთო ენა გამოგვენახა და გაერთიანებისათვის საფუძველი ჩაგვეყარა. საპარლამენტო არჩევნებმა ეს პროცესი დააჩქარა. არჩევნები გახლავთ სწორედ საშუალება იმისა, რომ შენი ჩამოყალიბებული პრინციპები განახორციელო. ჩვენს აზრთა შორის დიდი სხვაობა არ გვიგვრძვნია, მის ერთგვარად წარმოგვიდგენია ჩვენი ერის, ქვეყნის განვითარების გზები. შემდეგ დადგა საკითხი, როგორ უნდა მომხდარიყო ამის რეალიზაცია და, ბუნებრივია, გადაწყდა, რომ ის უნდა მოხდეს ხელისუფლებაში მოსვლის გზით. ჩვენ დავძლიეთ კომპლექსი, ის წინააღმდეგობა, რომელიც ბუნებრივად, ობიექტურად არსებობდა, ყოველივე ამაზე მაღლა დავდექით, რადგან დღეს დგას ქვეყნის და ერის ინტერესები წინა პლანზე და ქვეყანაა გადასარჩენი.

***- თავის დროზე „სახალხო" ზვიადის ხელისუფლების ოპოზიცია გახლდათ, დღეს კი ზვიადისტურ ძალებთან გაერთიანდით, უხერხულად არ გეჩვენებათ თქვენს მიერ გადადგმული ამგვარი ნაბიჯი?***

- ჩვენ არ ვმალავთ და დღესაც ვამბობთ, რომ ზოგიერთი პოლიტიკური ორგანიზაციისგან განსხვავებით განვლილი მოვლენებისგან განზე დგომას არ ვაპირებთ. ჩვენ არ ვმალავთ, რომ ვიყავით პოლიტიკური ოპოზიცია გამსახურდიას ხელისუფლებისა, მაგრამ გავიდა გარკვეული პერიოდი, მოხდა რაღაცეების გადახედვა და შემიძლია ვთქვა, რომ მთლიანობაში ეროვნულმა მოძრაობამ დაუშვა შეცდომა, სერიოზული შეცდომა, შესაძლოა ეს გამოუცდელობით იყო გამოწვეული, რომანტიული მომენტი გაცილებით სჭარბობდა მაშინ.

მე შემიძლია ვთქვა, რომ შეცდომა იყო ორივე მხრიდან და ეს შეცდომა ეროვნულ მოძრაობას დაუჯდა დღევანდელ ხელისუფლებად, რადგან დღეს ხელისუფლებაში ფორმაშეცვლილი, მაგრამ არსით ძველი მენტალიტეტის მქონე პიროვნებები ზეობენ.

დღეს კი გაჩნდა შანსი, რომ ასეთი შეცდომა არ განმეორდეს, გაუჩნდა შანსი ეროვნულ მოძრაობას, რომ კვლავ მოვიდეს ხელისუფლებაში და მართლაც ქართული საქმე გააკეთოს.

***- ბატონო გურამ, დღეს თვით „აღორძინების" ოპონენტ მოქალაქეთა კავშირს არ ეპარება ეჭვი, რომ იგი 7 პროცენტიან ბარიერს გადალახავს, „სახალხომ" კი მასთან ერთ ბლოკად გაერთიანებაზე უარი განაცხადა, ამით გამარჯვების გარანტიაზე უარი ხომ არ თქვით?***

- მე ასე არა ვფიქრობ, ასე ვიტყოდი გლობალურად „დიდგორთან" გაერთიანებით უფრო მეტი გაკეთდა, ვიდრე ვთქვათარჩევნებია. ჩვენ ნაბიჯი გადავდგით, რომ საზოგადოება არ იყოს დაყოფილი. ჩვენ გულხელდაკრეფილი არ ვიქნებით, მუშაობას გავაგრძელებთ და ამომრჩეველთა რაოდენობის გაზრდაზე კიდევ ვიზრუნებთ.

თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ თუ იმ ბლოკში გავერთიანდებოდით, უმოქმედოთ ვიქნებოდით. აქ განსხვავება ის გახლავთ, რომ ისინი ცდილობენ მაქსიმალური ოდენობა აიღონ ხმებისა და აქ უმრავლესობაზეა საუბარი. ჩვენ ერთმანეთში რაღაც მომენტები ვერ გავარკვიეთ, ამიტომ ვარჩიეთ, რომ ცალკე გამოვსულიყავით. დიდი ხანია პოლიტიკაში ვართ და ყველაფერ ამას საღად ვუყურებთ, ბუნებრივია, მოპოვებული ხმების ოდენობაზეც ვიფიქრეთ და, რა გათვლებიც გავაკეთეთ, იმის საშუალებას გვაძლევდა, რომ კენჭის მარტო ყრა გაგვებედა, ჩვენი გაერთიანება მოხდა პრინციპების მიხედვით და არა რაღაც მერკანტელური მომენტის გამო, ამიტომ ჩვენთვის 7 პროცენტიანი ბარიერი საფრთხეს არ წარმოადგენს. ჩვენ ვართ დარწმუნებული ჩვენს ძალებში და ჩვენს ამომრჩეველში.

***- არჩევნების ობიექტურობაზე საუბარი დღის წესრიგში არჩევნებამდეც იდგება და, ალბათ, არჩევნების შემდეგაც კარგა ხანს გასტანს საუბარი ამ თემაზე. მე კი წინასწარ მინდა გკითხოთ, როგორი იქნება ეს არჩევნები ობიექტურობის თვალსაზრისით და რამდენად მიზანშეწონილად და სამართლიანად გეჩვენებათ მოქალაქეთა კავშირის საქმიანობა მომხრეთა ხელმოწერების შეგროვებასთან დაკავშირებით? აქვთ თუ არა მათ ამის იურიდიული უფლება?***

- რა თქმა უნდა, მათ არა აქვთ იურიდიული უფლება. მხარდამჭერთა ხელმოწერებს რომ აკეთებდეს ორგანიზაცია, თუ ეს კანონის ფარგლებში ჯდება, თუ ეს არ არის მოსყიდვის, გასამრჯელოს საფასურად მე აქ დარღვევას ვერ ვხედავ. თამაშის წესები, რომელიც კანონით არის დადგენილი, არ უნდა დაირღვეს, მაგრამ მოქალაქეთა კავშირი მას არ იცავს, ისინი ხელმოწერებში სახელმწიფო სტრუქტურებს იყენებენ, რაც კანონით დაუშვებელია, ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ ამგვარი აქციები ძალოვან სტრუქტურებშიც მიმდინარეობს. ეს სტრუქტურები კი, წესით, დეპოლიტიზირებული უნდა იყოს, მთლიანად სახელმწიფოს უნდა ემსახურებოდეს და არა რომელიმე ორგანიზაციას,

გაგრძელება მე-6 გვ.

## ახალ-ახალი ამბები რეპლიკა-კომენტარებით

### გაგიჟდები კაცი



თბილისში აჭარის წარმომადგენელმა ბატონმა ვახტანგ რაზმაძემ განაცხადა - მართლა ბევრი ფული რომ გვქონდეს, ამდენს ვალაპარაკებდით მოქალაქეთა კავშირსო?

ეჰ, ბატონო ვახტანგ, ცხრა მთავრობის პროკურორი თქვენ იყავით, გვერდით ასლან აბაშიძე გყავთ თავის სარფის საბაჟოთი, ბათუმის პორტითა და შეჭმული საქართველოს სანაოსნოთი და თუ თქვენ ფული არ გაქვთ, აბა ვიღას აქვს ფული?

### არჩევნები და გამოძიება



ჩვენი სამართალდამცავები თუ კაკუბავას, გოგუაძეს და კვარაცხელიას დაიჭერენ ტერორიზმის ბრალდებით, მაშინ, ალბათ, ერთი ტროცკისტული ორგანიზაციის გახსნის მოწმე გავხდებით. ისე, ძალიან საინტერესო კია, რომ ასეთი გახმაურებული საქმეები არჩევნების წინ რომ იხსნება და იშიფრება, ხომ არ სჯობდა არჩევნები ყოველ წელს ჩაგვეტარებინა და მაშინ გაუხსნელი საქმეები არც დაგვრჩებოდა.

### აი, თქვენი ზრდილობა და მორალი

პოეტმა მიხეილ ქვლივიძემ გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში" ოპოზიციას ასეთი კალამბური უძღვნა:

„არც ჭკუით, არც განათლებით,
მარტო თქვენი მანდატებით
აღჭურვილნი გაafთრებით
სავარძლისთვის რომ იბრძვით,
გარეწრები გარეწრებად
დარჩებით და „დაგენძრევათ"
ო, რა მაგრად „დაგენძრევათ",
როცა თქვენთვის მოვიცლით!...

უპასუხოდ ვერ დავტოვეთ ბატონი მიხეილის ეს „ხალასი" სტრიქონები. ხელისუფლებას და მის მხარდამჭერებს

არც ჭკუით არც განათლებით
ქვეყანას თქვენ არ ადგებით,
თქვენი კერპი არის მხოლოდ დოლარი,
სანამდე ჩვენ „დაგვენძრევა",
მანამდე თქვენ „დაგენძრევათ",
აი, თქვენი ზრდილობა და მორალი.

### სადაური წესია ეს?



აფხაზეთის განთავისუფლების პარტიის ლიდერმა თამაზ ნადარეიშვილმა განაცხადა, მე რომ ბათუმურ ალიანსში ვყოფილიყავი, დღეს, ალბათ, გამოვიდოდი იქიდან, რადგან ასლან აბაშიძე არძინბას უსამძიმრებს დედის გარდაცვალების გამო. ბატონი თამაზის ეს სიტყვები ნამდვილად მისაღებია, მაგრამ სოცარი ის არის, რომ იგი ანალოგიურად არ მსჯელობს მოქ. კავშირიდან გამოსვლაზე, რომლის თავმჯდომარემ ედუარდ შევარდნაძემაც ასევე გულწრფელად მიუსამძიმრა არძინბას დედის გარდაცვალება. ისმება კითხვა, თუ ერთი საქციელი იმდენად მიუღებელია, რომ მის გვერდით დგომას არ კადრულობთ, იგივე საქციელისთვის მეორეს როგორ იტანთ და როგორ ეხუტებით? სადაური წესია ეს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

## არჩევნები - არჩევნები

# კახა კახაძე: ჩვენი დახარჯული 100 დოლარი სხვა პარტიის დახარჯულ 1000-ს უდრის




***- როგორ ემზადება ილია ჭავჭავაძის საზოგადოება არჩევნებისათვის?***

- წინასაარჩევნო სამზადისი პირველ რიგში დამოკიდებულია ფინანსურ შესაძლებლობებზე, და სტრუქტურების შექმნაზე, რომელიც ჩვენ და სახალხო ფრონტს კარგა ხანია დაწყებული გვაქვს მთელი საქართველოს მასშტაბით. ეს გახლავთ გასვლები, წინასარჩევნო ექსპედიციები, ჩვენი მომხრეების ნახვა ადგილზე, ჯგუფების შექმნა სოფლებში, ჩვენი მთავარი ამოცანაა საქართველოს მასშტაბით რაც შეიძლება მეტ საარჩევნო ოლქში იყოს ჩვენი წარმომადგენელი. პროგრამა მაქსიმუმი არის სამი კაცის დგომა ყუთთან, პროგრამა მინიმუმი - ყუთი მთლად უმეთვალყუროდ არ იყოს დარჩენილი. ამ მიმართულებით გაძლიერებულად ვმუშაობთ, და უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ სხვა პარტიებთან უპირატესობა გვაქვს, ჩვენ არ ჩავდივართ ამომრჩევლებთან ფულით, როგორც სხვა ფამრავი პარტიები, ჩვენ მივდივართ ამომრჩევლებთან წრფელი გულით და ძირითადად ვკურდნობით იმ ადამიანებს, რომლებიც ჩვენი მომხრეები გახლავან და რომლებიც ყოველგვარი ანგარების გარეშე მუშაობენ. ასეთი ადამიანები, საბედნიეროდ, საქართველოში ბევრია. მართალია, მათ უხდებათ ბევრი წინააღმდეგობის დაძლევა, მაგრამ საქმეს ბევრად ერთგულად აკეთებენ, ვიდრე სხვა პარტიის წარმომადგენლები. ფინანსებში თუ გადავიყვანთ, ჩვენი დახარჯული 100 დოლარი უდრის სხვა ფულიანი პარტიების 1000-ს დოლარს. ბატონი ნოდარ ნათაძის და ქალბატონ თამარ ჩხეიძის მომხრეები ძალიან წრფელი გულით თანამშრომლობენ ჩვენთან და ეს იგრძნობა მთელი საქართველოს მასშტაბით.

***- ფინანსების უქონლობის გარეშე გამარჯვების მიღწევა რამდენად რეალურადაა შესაძლებელი?***

- მე ვფიქრობ, რომ გამარჯვება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს მასშტაბით 15000 პატრიოტი მაინც გამოჩნდება. ეს ის რაოდენობა გახლავთ ხალხისა, რომელიც საჭიროა, საარჩევნო უბნებზე იყოს, რათა გაყალბებას, რომელშიც ასე არიან გაწაფულები იგივე მოქალაქეთა კავშირი და სხვა პარტიები, წინ როგორღაც აღვუდგეთ. თეორიულად ამის დიდი შანსი გვაქვს, მაგრამ პრაქტიკულად ეს ძალიან ძნელი გასაკეთებელი გახლავთ. 15000 კაცის მოძებნა მართლაც ძნელი საქმეა, მაგრამ ამ საკითხს აქვს მეორე მხარეც. თუ ამდენი მომხრე არა ჰყავს ეროვნულ საქმეს, მაშინ ის ქვეყანა მართლაც ღირსია, იყოს ისეთი პარტიების ხელში, როგორშიც დღეს გახლავთ.

***- ჭავჭავაძის საზოგადოება არც ისე აქტიურად ჩანს პრესისა თუ ტელევიზიის საშუალებით, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი არ მოქმედებენ; ამის დასტური გახლავთ ბოლო სასამართლო პროცესი, როცა განძის გატანასთან დაკავშირებით თქვენმა საზოგადოებამ სარჩელი აღძრა სასამართლოში. რამდენად კმაყოფილი დარჩით მოსამართლის გადაწყვეტილებით და რას ელოდით ამ სასამართლო პროცესისგან?***

- სასამართლო, რომელიც ჯერ კიდევ განხილვის პროცესშია კრწანისის რაიონში, მომავალში კვლავ გაიმართება. საოლქო სასამართლოში გამართულ პროცესზე მოხდა ყადაღის დადება განძზე. სხვათა შორის, სასამართლომ ძალიან ობიექტურად განიხილა ყველა საკითხი, გულთან მიიტანეს ქვეყნის სატკივარი და პრობლემა გადაჭრეს. დღესდღეობით საქართველოდან ყოველგვარი განძის გატანა აკრძალულია, ვიდრე საბოლოო სასამართლო პროცესი არ შედგება და თავის საბოლოო სიტყვას არ იტყვის ამ მიმართულებით.

ჩვენ სარჩელი კონკრეტულად განძის ამერიკაში გატანასთან დაკავშირებით შევიტანეთ, ახლა გვინდა ეს პროცესი გადაიქცეს მუზეუმის ხელმძღვანელობის მხრიდან ყველა ამგვარი მოქმედების აკრძალვად. ჩვენი მუზეუმები გაერთიანებულნი არიან საერთაშორისო სამუზეუმო საბჭოში, რომელსაც „იკონი" ეწოდება, ეს ნიშნავს მსოფლიოს მუზეუმთა საბჭოს. მას აქვს თავისი წესდებები, დებულებები ეს ჩვენი მუზეუმებიც შეერთებულნი არიან ამ დებულებებზე და ხელი აქვთ მოწერილი. ყველაზე კურიოზული და პარადოქსული გახლავთ, ის, რომ ყველაზე დიდი დამრღვევები ამ წესდებისა არიან ქართული მუზეუმები საგანძურის გატანის გამო და „იკონის" ადგილობრივი ხელმძღვანელი არის ნოდარ ლომოური, ყველაზე აქტიური მომხრე განძის გატანის. ჩვენ მსოფლიო სამუზეუმო კონტაქტების წინააღმდეგნი არა ვართ, მაგრამ.. სწორედ „იკონის" დადგენილებებში არის ჩამოთვლილი იმისა, რისი გატანა შეიძლება და რისი არა. ყოველ სახელმწიფოში უნდა იყოს ნუსხა იმ ნივთებისა, რომელიც არის ძვირფასი და რომლის გატანაც აკრძალულია. აქ მსგავსი რამ არ არის გაკეთებული. რა თქმა უნდა, არ შეიძლება იმ ნივთების გატანაც, რომელიც ავარიულ მდგომარეობაშია, ტრანსპორტირებას არ ექვემდებარება, მაგრამ ჩვენთან რატომღაც ასეთი პრაქტიკა დაინერგა, მუზეუმის აქტივისტები პირადი ინიციატივით სდებენ ხელშეკრულებას უცხო სახელმწიფოებთან და ეს ნივთები გააქვთ მეცნიერების და ექსპერტების დაუკითხავად, თუ რომელიმე მათგანი ამოიღებს ხმას, რომ ამა თუ იმ ნივთის გატანა დაუშვებელია, სასტიკ ზომებს ატარებენ ასეთი თანამშრომლების მიმართ.

ამ ეტაპზე ილია ჭავჭავაძის საზოგადოებამ თავისი ფუნქცია შეასრულა, სასამართლო პროცესი მოგებულია, განძზე ყადაღა დადებულია და ნივთების გატანა შეჩერებულია.

***- განძს ყადაღა დაადო სასამართლომ და ნივთების გატანა შეჩერებულია, მაგრამ ეს პროცესი დროებითი გახლავთ. საბოლოო ჯამში, შესაძლებელია თუ არა მათი გატანის აკრძალვის შესახებ სასამართლომ გადაწყვეტილება არ მიიღოს და ნივთები მაინც გავიდეს;***

- რა თქმა უნდა შეიძლება ასეც მოხდეს. თუ სასამართლო ვერდიქტი არ იქნება, პროცესის დამთარების შემდეგ ყადაღა მოიხსნება და ნივთების გატანაც თავისუფლად შეიძლება. ამასწინათ ჩვენმა მოსამართლემ დაგვიბარა და გვითხრა, კულტურის სამინისტროდან მოვიდა წერილობითი ცნობა, რომ ექსპონატების ამერიკაში გატანა აღარ მოხდებაო. ახლა პროცესის გაგრძელებას აზრი არა აქვს და სარჩელი უკან გაიტანეთო. ჩვენ უარი ვუთხარით ამაზე და განვაცხადეთ, გვინდა პროცესი ბოლომდე ჩატარდეს და შეიქმნას პრეცენდენტი იმისა, რომ ამ ნივთების გატანა არ შეიძლება საერთოდ იმ წესრიგის დაუცველად, რომელიც არის სამუზეუმო პრაქტიკაში ცნობილი. ჩვენ რომ საბუთები გამოგვეტანა, ყადაღა ავტომატურად იხსნებოდა და ვისაც უნდოდა, გატანა შეეძლო. მართალია ნივთების გატანას დიდ რეკლამას უკეთებდნენ, მაგრამ საბოლოო ჯამში განძი დაუცველი იყო და საკითხი პრიმიტიულ დონეზე წყდებოდა.

***-ბუნებრივია, მხოლოდ ეს უკანასკნელი პროცესი ერთადერთი საქმე არ იყო თქვენი საზოგადოების მხრიდან ქვეყნის საკეთილდღეოდ გაკეთებული. სხვა რა ღონისძიებები გაქვთ გატარებული ამ ბოლო პერიოდში?***

- ამასწინათ დასრულდა სასამართლო პროცესი გარეჯის პოლიგონთან დაკავშირებით. ძეგლი ზიანდებოდა საცდელი საბრძოლო მოქმედებების შედეგად, ეს პროცესი პოლიგონის გადატანის შესახებ ჯერ კიდევ ზურაბ ჭავჭავაძის დროს დაიწყო, რადაც პერიოდის შემდეგ აიკრძალა ყოველგვარი საბრძოლო მანევრები, მაგრამ ბოლო ხანებში ისევ განახლდა. აი, მაშინ ჩვენი სასამართლო პროცესი დაიწყო და, როგორც იცით, იგი ჩვენი გამარჯვებით დასრულდა.

***- სახალხო ფრონტი და ილია ჭავჭავაძის საზოგადოება წლების მანძილზე ახალ თანამშრომლობას ეწევიან, რა განაპირობებს ამ კავშირს?***

- დიახ, ჩვენ წლების მანძილზე ვთანამშრომლობთ. ეს ასე იყო ადგილობრივი არჩევნების დროსაც, მის წინა პერიოდშიც. ჩვენ ყოველთვის ვცდილობთ, ეროვნულ დემოკრატიული მიმართულების პარტიები ერთად გამოვსულიყავით, საუბედუროდ, ასე არ მოხდა, დიდ წინააღმდეგობას გადავაწყდით, აქ ძალიან დიდ როლს თამაშობს პარტიათა ამბიციურობა და დაბალი შეგნება, როცა ისინი ვერ არჩევენ პირველ და მეორე ხარისხოვანს და ქვეყნის ინტერესების ნაცვლად წინა პლანზე საკუთარ ინტერესებს აყენებენ. ჩვენს ბლოკში „საქართველო" სწორედ ისეთი პარტიები არიან გაერთიანებულნი, რომელთაც საუკეთესო ნიშანთვისებები ახასიათებთ.

***- გავრცელდა ჭორი, თითქოს, ჭავჭავაძის საზოგადოება არჩევნებში მონაწილეობას არ იღებდა...***

- იყო ასეთი მცდელობები გარკვეული წევრების მიერ, რომ ჩვენს საზოგადოებას არჩევნებში არ მიეღო მონაწილეობა, მაგრამ საზოგადოების დარბაზმა ხმების აბსოლუტური უმრავლესობით გადაწყვიტა, რომ არჩევნებში მონაწილეობა მიეღო. ჩვენ ვთვლით, რომ პარტიის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია გახლავთ არჩევნებში მონაწილეობა და ამ ფუნქციაზე უარის თქმა ყოვლად დაუშვებელია. ბოლოს და ბოლოს ამ არჩევნებით ხომ არ მთავრდება ცხოვრება, ხომ იქნება კიდევ არჩევნები, შესაძლოა უფრო მალეც იყოს მომავალი არჩევნები.

***- რამ გაფიქრებინათ ეს?***

- იმ დაპირისპირებამ, რომელიც არსებობს ლიდერ პარტიებს შორის.

**მანანა ლობჟანიძე.**

# „მოქკავშირი დაპირდა და „აპოვნინა" კიდევ ქართველებს მილიონი სამუშაო ადგილი ...უცხოეთში"

## ინტერვიუ სახალხო ფრონტის ქუთაისის რეგიონალური ორგანიზაციის ხელმძღვანელთან ნიკო ჯაფარიძესთან

***- ბატონო ნიკო, რა მდგომარეობაა არჩევნების წინ რეგიონში?***

- შეიძლება ითქვას, მდგომარეობა ძალიან მძიმეა, ქალაქი ნახევრად მკვდარ მდგომარეობაშია, მოსახლეობამ ხელი ჩაიქნია და არანაირი ხალისი არა აქვს, მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში. მოკლედ, დღევანდელი ხელისუფლების მიმართ უნდობლობა გაჩნდათ,

***- ახალგაზრდობას ეროვნული მოძრაობის დროს დიდი წვლილი შეჰქონდა ქვეყნის კეთილდღეობისათვის ბრძოლაში, დღეს სად დგანან ქუთაისელი ახალგაზრდები?***

- ისე აღარ არიან, როგორც 1989-90 წლებში, მაშინ კომუნისტურ სისტემას ყველამ ზურგი აქცია და გაერთიანდნენ, დღეს კი ერთსულოვნება აღარ იგრძნობა. ხელისუფლებამ საერთოდ შეაძულა მათ ეროვნების გამოვლენის ყოველგვარი მცდელობა.

***- ხელისუფლებამ ეროვნულ ძალებს პრესა-ტელევიზიით ამომრჩეველთან ურთიერთობის საშუალება, ასე ვთქვათ, წაართვა, და ამდენად გამარჯვებისკენ მიმავალი გზა გადაუღობა...***

- სამწუხაროდ, ფინანსები წარმატებისას უდიდეს როლს თამაშობს, ფული კი იმათ ხელშია, ვისაც ხელისუფლებასთან რაიმე კავშირი აქვს, ეს ეროვნულ ძალებს არ ეხებათ, ჩვენ ყველაფერს მართლაც ჩამოგვაშორეს და უსახსრობის გამო ჩვენი ბლოკის პარტიები გარკვეულწილად ყურადღების მიღმა დარჩა, სანაცვლოდ ყურადღების ცენტრშია მოქალაქეთა კავშირი, რომელიც საზოგადოებას მილიონ სამუშაო ადგილს დაჰპირდა და აპოვნინა კიდეც...უცხოეთში (ღმერთმა იცის, რას არ აკეთებენ ქართველები იქ) და ცოტა ხანს კიდევ თუ დარჩნენ „მოქალაქეები" ხელისუფლებაში, საქართველო უქართველებოდ დარჩება.

***- არჩევნების წინ გახშირდა საუბრები ამომრჩევლის მოსყიდვაზე, თქვენს რეგიონში თუ გაქვთ მსგავსი ფაქტები ან რომელი პარტია უფრო აქტიურობს ამ მხრივ?***

- დღეს განგაში, რომელიც „მოქკავშირმა" ატეხა, ჩემთვის გასაგებია, მათ აშფოთებთ ის, რომ ფულის დახარჯვის საკითხში „აღორძინების" სახით კონკურენტი გამოუჩნდათ, თორემ 1995 წელს ისინი ერთპიროვნულად განაგებდნენ ყველაფერს, ამ პერიოდში ისინი ერთად გამოდიოდნენ;

ქუთაისში მოსყიდვები მიდის, ხდება აგიტატორებისთვის ფულზე გარიგება, შეპირება და სხვა. დაპირებები მოსახლეობაზეც არის სხვადასხვა სახით, მაგრამ უშუალოდ არჩევნების წინ უფრო გამოჩნდება კონკრეტული ფაქტები.

***-იმისათვის რომ ეროვნულმა ძალებმა გაიმარჯვონ ამ არჩევნებში, რა არის აუცილებელი?***

- რა თქმა უნდა, ამისათვის პირველ რიგში აუცილებელია მათი გაერთიანება, ერთი ძალით გამოსვლა არჩევნებში, ამ მიზნით ქუთაისში პოლიტიკურმა პარტიებმა - ბლოკ „საქართველოში" გაერთიანებულმა პარტიებმა და სდპ-მ დაიწყეს კონსულტაციები ამ საკითხთან დაკავშირებით. მოლაპარაკებები დაიწყო საკრებულოების არჩევნების წინ. მომწიფდა საკითხი, რომ მოგვეწყო კონფერენცია, ყველა პოლიტიკური პარტიის ლიდერი მოგვეწვია და გვემსჯელა ამ საკითხზე. 29 ნოემბრის კონფერენცია მართლაც გაიმართა, მას ნოდარ ნათაძე, თამარ ჩხეიძე, ვაჟა ადამია, ირაკლი წერეთელი, გუბაზ სანიკიძე ესწრებოდნენ.

ყველა დამსწრე მივიდა იმ აზრამდე, რომ გაერთიანება მომხდარიყო, დაინიშნა კონკრეტული ვადები, თბილისში დაიგეგმა შეხვედრები, კონსულტაციები, მაგრამ გაერთიანება არ მოხდა...

***- რატომ? მესამე ძალა ჩაერია და აგრიათ?***

- ეს პრობლემა სულ მაწუხებს და ეჭვი გამუდმებით მღრღნის, რომ ჯერ კიდევ ეროვნული მოძრაობის ზეობისას იქ ისეთი ხალხი შევიდა შეფარვით, რომლებიც თავის დროზე კგბ-მ გადაიბირა და მართავენი არიან კრიტიკულ მომენტში... როგორც კი დაიწყება მოძრაობა ეროვნული ძალების გაერთიანებისაკენ, იმ წუთში ამუშავდება ჩრდილში მდგარი სხვა ძალა და საქმე საქმეზე რომ მიდგება, გაერთიანების სიტყვიერი მომხრეები სულ სხვას აკეთებენ.

***- რას აკეთებთ გამარჯვებისათვის ქუთაისში?***

- თანხები, შეიძლება ითქვას, სულ არა გვაქვს, რასაც ჩვენი დანაზოგიდან შევკრებთ, სულ ეს არის, ჩვენი წევრების უმრავლესობა საყოფაცხოვრებო პრობლემებით არის დაკავებული... შეუძლებელი გახდა ადგილობრივი კომერციული ტელევიზიით გამოსვლა, ერთი წუთი 10 ლარი ღირს...

**მანანა გელოვანი**

ინტერვიუ

## თათია ხაინდრავა:

# ღუღუში ასეთი სიღი არასოდეს ყოფილა საქართველოში, მაგრამ ახლები?!



კონსტანტინე გამსახურდია და მისი და, სოფიო, დედასთან ერთად.

მე-2 გვერდიდან.

ძმაც დაუხვრიტეს დედაჩემს და ერთი ძმისშვილიც: ალექსანდრე გამსახურდია, ბიქტორ გამსახურდია და 21 წლის ჭაბუკი, არჩილ გამსახურდია.

არჩილი თურმე, მართლა იბრძოდა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის, მაგრამ კონსტანტინეს უფროსი ძმები სრულიად უდანაშაულოდ დაუხვრეტიათ.

**-მამას პოლიტიკური სარჩული ჰქონდეს?**

-მამაჩემს დანაშაულად ჩაუთვალეს ზღვაში გემის გაჩერება. არადა, ძმისშვილი, ბათუმში რომელიც ცხოვრობდა, სხვა ბავშვებთან ერთად მოუტაცნიათ და თურქეთში გადაჰყავდათ გასაყიდად. კატარღით დადევნებია მამა, დაწევია და ძმისშვილიც და ის დანარჩენი ბავშვებიც გაუთავისუფლებია! აი, გემის გაჩერება ჩაუთვალეს ძალიან მძიმე დანაშაულად და დევნიდნენ თურმე, ეძებდნენ.

1937-ში ღლევანდელივით მახსოვს ჩვენი აწიოკება და გამოსახლება ბინიდან . არც ავეჯი, არც ტანსაცმელი, არაფერი არ გამოგვატანეს. მამა, ამ დროს, თიანეთში იმალებოდა და იძახდა თურმე: მე ამგენს თავს არ ჩავუგდებ დასაგლეჯადო! მე და დედაჩემი ავლაბარში, ერთ პაწია ოთახში ვიყავით შემალულნი. შემოუთვალეს დედას, ამოდით. სიმონი კუდადაო. წასულა დედა (ეს ყველაფერი მის დღიურებში ამოვიკითხე უკვე დედის გარდაცვალების შემდეგ!). უნახავს სიცხიანი, თავდაპარსული მამა, ფილტვების ანთებით დაავადებული. წუთით ეზოში გამოსულა დედა და, როცა შებრუნებულა, შეუნიშნავს, ქვედა ტუჩს ილოკავდა თურმე საბრალო. რა ჰქენი, რა ჩაიდინე ახლა შენო, მივარდნილა დედა. მამას ხელი მოუჭერია მაჯაზე და უთქვამს: თათიას შენ გაგიზრდის კონსტანტინე"...

**-გამოდის, რომ თავი მოიკლა?**

-ასე გამოდის. ამის შემდეგ კონსტანტინემ მართლა ითავა ჩემი გაზრდა. იმხანად გამსახურდიები ჯავახიშვილის ქუჩაზე ცხოვრობდნენ. ამ დროს კონსტანტინეს ჰყავდა ულამაზესი და უსათნოესი ქალბატონი, მირანდა ფალავანდიშვილი მეუღლედ. ნათლია ხომ გერი იყო მისი, მე, ბოლოს და ბოლოს, მეძისშვილი გახლდით, მაგრამ ორივეს არაჩვეულებრივი სითბოთი გვეპყრობოდა. სულ გვეფერებოდა და თუ რამე წამიკითხავს, თუ რამე მისწავლია ახოვადოებაში თავის დაჭერის მხრივ და სხვა, თუ ოდნავ მაინც რაიმე მნიშვნელოვანს წარმოვადგენ, ყველაფერი მირანდას დამსახურებაა უპირველესად. უკეთილშობილესი სულის პატრონი იყო. ვერ წარმოიდგენთ, როგორი უყვარდა მას ბიძაჩემი, მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის 27 წლის სხვაობა იყო!...

ჩემთვის პირდაპირ აკადემია გახლდათ მათ ოჯახში ცხოვრება. თბილისის ნაღები საზოგადოება დადიოდა ჩვენთან: ხარიტონ ვარდოშვილი, კონსტანტინე ჭიჭინაძე, პავლე ინგოროყვა, სიმონ ჯანაშია, აკაკი გაწერელია, შალვა ნუცუბიძე, გიორგი ახვლედიანი, სიმონ ყაუხჩიშვილი, აკაკი შანიძე, გიორგი ლეონიძე, ალექსანდრე აბაშელი, ქრისტეფორე რაჭველიშვილი, რომლის ვაჟია, ბადურ რაჭველიშვილი, ცნობილი ექიმი, კონსტანტინე გამსახურდიას ნათლული, რომელიც ბოლომდე მკურნალობდა კონსტანტინეს და დღესაც მისი იმედით ვართ.

ხშირად გვსტუმრობდნენ: ანა კალანდაძე, კოკის ნათლია, მუხრან მაჭავარიანი.

პირველი მეუღლე გახლდათ რებეკა ვაშაძე, ისიც შესანიშნავი პიროვნება. რებეკა სწავლობდა ლომონოსოვის უნივერსიტეტში, მაგრამ როდესაც კონსტანტინეს გაჰყვა ცოლად, მეოთხე კურსიდან სწავლას შეეშვა. მისმა დამ კი, მარგალიტამ დაამთავრა ლომონოსოვის უნივერსიტეტი. ორივე დას დიდი წვლილი მიუძღვის იმაში, რომ გამსახურდიამ უცხოეთში სწავლა შეძლო.

თავიდან ერთად ცხოვრობდნენ ცოლქმარი გერმანიაში, მაგრამ მალე კონსტანტინე და რებეკა დააპატიმრეს. განთავისუფლების შემდეგ დაბრუნდნენ საქართველოში. ხოლო როდესაც ქალიშვილი, ნათელა შეეძინა, გერმანიაში აღარ გაჰყვა ქმარს და ასე უბრალოდ დაშორდნენ ერთმანეთს. თუმცა, კონსტანტინე გამსახურდიას ისეთი წერილები გამოაქვეყნა „ლიტერატურულმა გაზეთმა" რებეკასადმი, რომ... პირდაპირ საოცარია! თარაშ ემხვარის დღიურები გაგახსენდებათ ნათელას დიდებული შვილები ჰყავს. შორენა ახობაძე და დათო ახობაძე. ახლაც არის ნათელა და ღმერთმაც დიდხანს ამყოფოს! ჩვენ დიდი მეგობრები ვართ.

**-თქვენი ბავშვობის პერიოდიდან იქნებ კიდევ გაგვახსენებინათ რამე.**

-ვსწავლობდი ისე, რა! გაჭირვებით დავამთავრე საშუალო. მათემატიკა არ ვიცოდი, არითმეტიკა არ ვიცოდი. მარტო ჰუმანიტარული საგნებით გავდიოდი ფონს.

პიონერთა სასახლეში დავდიოდი, რასაკვირველია. ჩვენს ჯგუფში იყვნენ: თენგიზ არჩვაძე, ოთარ მეღვინეთუხუცესი, გურამ სალარაძე და სხვა. გვასწავლიდნენ: ნოდარ (ბიჭიკო) ჩხეიძე, თედო წეროძე და სხვა. სხვათა შორის, არაჩვეულებრივ საღამოებს ვამზადებდით მაგალითად, ნუცა ჩხეიძესთან შეხვედრებს, უშანგი ჩხეიძის საღამოებს...

დედას არ უნდოდა, თეატრალურზე რომ ჩამებარებინა. ამიტომ თავიდან უნივერსიტეტში ჩავაბარე გამოცდები აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე. საგანიც ბლომად ჩავაბარე და ქულაც ბლომად დავაგროვე.

ერთხელაც იყო, ნოდარ ჩხეიძემ მოაწყო სტუდენტების შეხვედრა იოსებ გრიშაშვილთან. იოსებსა და კონსტანტინეს მეტად ახლო ურთიერთობა აკავშირებდათ და მეც ძალიან მიყვარდა ბატონი სოსო. იმ საღამოს წავიკითხე გრიშაშვილის „ხელთათმანის ლილი", რომელსაც დღესაც, ყოველი საღამოს დასასრულს ვიმეორებ ხოლმე მაყურებელთა თხოვნით შემობრძანდა კულისებში ბატონი სოსო და მითხრა: ხვალ კონსტანტინეს დავურეკავ და თეატრალურ ინსტიტუტში უნდა წაგიყვანოო.

მართლაც ასე მოხდა. თეატრალურ ინსტიტუტს მაშინ ხორავა დირექტორობდა. ასწავლიდნენ აკაკი ფაღავა, კოწო ანდრონიკაშვილი, დიმიტრი ჯანელიძე, მალიკო მრევლიშვილი და სხვა. არაჩვეულებრივი ატმოსფერო სუფევდა ინსტიტუტში. ავდექი და წავიკითხე ის „დამუშავებული" ლექსი -„ხელთათმანი". ეგრევე ჩამრიცხეს, რადგან უნივერსიტეტში მიღებული ქულებიც ჩამეთვალა. ჰო, თეატრალურში იმათ გარდა, გვასწავლიდნენ: ლილი ალექსიძე, აკაკი გაწერელია, ჯუმბერ ჭუმბურიძე, თინა ყაუხჩიშვილი.

თითქოს ყველაფერი მშვენივრად აეწყო, მაგრამ, მესამე კურსზე ვიყავი, როცა ჩემივე დაუდევრობით პლეხანოვის პროსპექტზე მანქანა დამეჯახა და კარგა ხნით გამოვეცალე სწავლას. იმ ხანებში ბატონმა დოდომ ინსტიტუტში დადგა მაქსიმ გორკის „მზის შვილები". ვთამაშობდი მელანიას სახასიათო როლს. იმდენად კარგად გამოვიდა თამაში, რომ ალექსიძემ მითხრა: შენ ამას ვეღარ გაიმეორებ, ვეღარ გაიმეორებო და აკი ახდა კიდევაც - მანქანა რომ დამეჯახა, მოვიდა საავადმყოფოში და მითხრა: ხომ გეუბნებოდი, გული მიგრძნობდა თითქოს, მელანიას ვეღარ ითამაშებდიო!...

ამის შემდეგ დამტოვეს მეტყველების კათედრაზე და სწორედ ამის შემდეგ ვასწავლი მეტყველებას სამსახიობო ფაკულტეტზე.

**- ახლაც?**

- ახლაც. ყოველ შემთხვევაში, შარშან ვასწავლიდი და ვნახოთ ისე. მატერიალური თვალსაზრისით გულდასაწყვეტი არაფერია - 7 ლარი და 40 თეთრი მაქვს ინსტიტუტში ჯამაგირი.

**-ერთი სიტყვით, ამის შემდეგ თეატრს საერთოდ შეეშვით?**

-როცა გამოვჯანმრთელდი, თეატრში აღარ მღებულობდნენ. და ეს, მიუხედავად იმისა, რომ... ძალიან ბევრს იბრძოდა ბატონი სერგო ზაქარიაძე, რომ თეატრში მივეღეთ ასევე აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე, სულკურთხეული თამარ ჭავჭავაძე ეუბნებოდათ: მე ხომ წავედი თეატრიდან, ადექით და ჩემს ადგილზე მიიღეთ!.. უფრო გასაოცარ ამბავს მოგახსენებთ: ქალბატონი თამარ წულუკიძე, დიდი სანდრო ახმეტელის მეუღლე, გადასახლებიდან ჩამოვიდა და სრულიად შემთხვევით მომისმინა ხელოვნების მუშაკთა სახლში. ვკითხულობდი თარაშ ემხვარის დღიურებს. უეცრად, სცენაზე ამობრძანდნენ ბატონი შალვა დადიანი და ქალბატონი თამარი, წარმატება მომილოცეს.

შემდეგ ქალბატონმა თამარმა ინსტიტუტში დამირეკა, მომძებნა და მითხრა, რუსთაველის თეატრის წინ შევხვდეთ ერთმანეთსო. შევხვდით. შემყვა დირექტორთან და ეუბნება: აი, ისევ წავალ გადასახლებაში (გახსოვთ ალბათ შვილი დაეღუპა მაშინ, სანდრო ახმეტელის ვაჟი) და იმ გამოთავისუფლებულ შტატებში ეს ახალგაზრდა ქალი მიიღეთო. მაინც არ მიმიღეს!

კონსტანტინე ბატონიც დაიარებოდა თეატრების ხელმძღვანელობასთან, გოგა ლორთქიფანიძეს ახლაც აქვს ბიძაჩემის წარწერიანი წიგნი, ითხოვდა, მაგრამ...

**-კი მაგრამ, ასეთი რა მოხდა, რომ ყველა კეთროვანივით გივლიდა გვერდს?!**

-მე მგონი, დამღუპა, აი, რამ: ჩვენთან, რადიოში, მუშაობდა შესანიშნავი რეჟისორი გურამ მაცხონაშვილი, რომელმაც მე მანდო შტეფან ცვაიგის „უცნობი ქალის წერილები". მთელ ორ თვეს ვმუშაობდით ერთად. ძალიან კარგი დადგმა გამოვიდა და ამან მომიტანა ისეთი დიდი წარმატება, ისეთი რომ... იგი ოქროს ფონდშია შეტანილი. სულ ახლახანაც იყო ეთერში. უამრავი წერილი მომივიდა მილოცვებით

იქნებ ფიქრობდნენ, რადიოს უფრო ესაჭიროებაო თათიაო. არ ვიცი, ვერ გეტყვით შეიძლება იმის ბრალიცაა, ცეკვისა და კულტურის სამინისტროში რომ არ დავიარებოდი ხელგაწვდილი.

ერთ პერიოდში, ანზორი იყო მაშინ დირექტორი, ქუთათელაძე, გოგი ტატიშვილის მოწადინებით რაღაც შტატი გამომიჩხრიკეს და მიმიღეს. ძან დიდხანს ვიყავი მასში. ათსში ერთხელ, სხვის ნაცვლად ვმუშაობდი. 30 წლის განმავლობაში მხოლოდ „რას იტყვის ხალხში" ვითამაშე, ლილი ნიკოლაძემ მომცა როლი. ერთხელ, ზანდა ორბელიანმა მცა პატივი - თავი მოიავადმყოფა და, ხუხაშვილის „მოსამართლეში" ვითამაშე დედა, მერე ვითამაშე „მზის დაბნელება". მედეა ჯაფარიძე ვერ მოვიდა და იმის ნაცვლად!

დიდი ბედნიერება გახლდათ ჩემთვის ის, რომ სამუშაოდ მომიწვიეს ბათუმის თეატრში. უბედნიერესი სეზონი მქონდა ის წელიწადნახევრის განმავლობაში. ჩემს გვერდით იყვნენ უკვე პოპულარული მერაბ ხინიკაძე და იოსებ კობალაძე, განუმეორებელი ნუნუ თედორაძე და სხვა. იქ მთავარ-მთავარ როლებს ვთამაშობდი ხოლმე და რაოდენ სავალალოა, რომ ვიდეოჩაწერა მაშინ ჯერ კიდევ არ იყო. მაგალითად, „ხიხანის ძახილში" ვითამაშე ქეთევანი, „ზვავში" - მარიკა და ჩემთვის სადებიუტო სპექტაკლი გააკეთა სულკურთხეულმა ლეო შატბერაშვილმა.

მაგრამ ამ დროს დედაჩემის და ბავშვის პრობლემა გამიმძაფრდა. დედა უკვე გატეხილიც იყო და ცუდ პირობებშიც ცხოვრობდა. ხშირად ვიყავით კონსტანტინე ბიძიასთან. მაგრამ, ჯერ ერთი, არც იმას ულხინდა მაინცდამაინც და, მეორეც, სულ სხვის კარზე, რაგინდ ახლობელიც იყოს, ხომ ვერ იქნები! აქეთ კიდევ – ბავშვის ჭყიპინი!...

ისევ დავუბრუნდი თბილისს. სწორედ იმ ხანებში ქალბატონმა ლილი იოსელიანმა სანკულტურის თეატრი შექმნა. გვარიანი სპექტაკლები ჰქონდათ „თეთრი კურდღელი" და სხვები. პირველად იქ დაფრთიანდნენ ოთარ მეღვინეთუხუცესი, მალხაზ გორგილაძე და სხვები;

ერთი მაშინდელი საღამო სამარადჟამოდ აღმებეჭდა ხსოვნაში. იმ სპექტაკლში მე ბალეტიდანაც კი ვცეკვავდი. გვესწრებოდნენ ბატონი მიხეილ კვესელავა, მისი მეუღლე, მერცია კვესელავა, ბატონი კონსტანტინე გამსახურდია, ქალბატონი მირანდა ფალავანდიშვილი და, რა ვიცი, მთელი თბილისი იქ იყო თითქოს! კარგად გამოვედი. მაშინ მითხრა საბრალო დედაჩემმა - ა, დედა, ახლა კინოშიც მოგიტაცებენ და თეატრშიც მოგიტაცებენო! მაგრამ აქაც ბედი არ მწყალობდა:სანკულტურის თეატრი რუსთავში გადავიდა, მე ჩემი ტიტლიკანა ბავშვითა და დავრდომილი დედით იქ ვეღარ წავედი და დავრჩი ისევ რადიოს ამარა.

**- რომელია ყველაზე ბედნიერი პერიოდი თქვენს ცხოვრებაში? მხედველობაში შემოქმედებითი სფერო მაქვს, რასაკვირველია.**

-დაუფიქრებლად გეტყვით: 1976 წელი! ჩემმა დიდი ხნის მეგობრებმა, გუგული ქებურიამ და მისმა მეუღლემ, ცისანა პატარქალიშვილმა მახარეს, რომ რობიკოს შენი მოსმენა სურსო. შენი რეპერტუარისო. მაშინ 48 წლისა გახლდით უკვე და, ბუნებრივია, გამოცდილებაც სოლიდური მქონდა და რეპერტუარიც: დაწყებული რუსთაველის „ვეფხისტყაოსნით" და დამთავრებული ანა კალანდაძით, აქვეა ლადო ასათიანი და, თქმაც არ უნდა, გალაკტიონი!..

შევხვდით ერთმანეთს. რობერტ სტურუა უკვე ტრიუმფალური „ყვარყვარეს" პატრონია და ასევე ბრწყინვალე „კავკასიური ცარცის წრეზე" მუშაობს. პოპულარობის ზენიტშია და შევკრთი. მთელი თვის განმავლობაში მისმენდა. შევყურებდი ამ ახალგაზრდა კაცს, მაგრამ ეგზომ სახელგანთქმულს, და ვკანკალებდი შიშით ყოველ რეპეტიციაზე. 7 თვეს ვმუშაობდით ერთად. საღამოს დაარქვა „მზეო თიბათვისა". პრემიერა მცირე დარბაზში შედგა. მხატვარი მირიან შველიძე გახლდათ კომპოზიტორი გია ყანჩელი და... ეს იყო ოქროს გვირგვინი, რომელიც რობერტ სტურუამ დამადგა. ვიდეოზე კია ჩაწერილი, მაგრამ ე.წ. ფართოფირიანზე. იმასაც კი ამბობენ, ფირი პერფორაციას განიცდის, იშლებაო. არ ვიცი, როგორ ეშველება. თუ ეროვნულ მგზნებარებას არა, ესთეტიკურ სიამოვნებას უდავოდ განაცდევინებდა იგი ჩვენს მომავალ თაობას.

ნიჭიერების გარდა, განმაცვიფრა რობერტის შრომისმოყვარეობამ, პროფესიულმა პუნქტუალობამ და აკურატულობამ, თანაც, როგორ იცის -„ვეფხისტყაოსანი", ილია ჭავჭავაძე, ვაჟა - ფშაველა!..

„მზეო თიბათვისას" 170 საღამო მაქვს ჩატარებული მთელ საქართველოში. ქუთაისში 5 წარმოდგენა გვქონდა, სვანეთში - 3. კახეთში მგონდება ერთი საოცარი საღამო. ყვარელში ვარით დაიწყო საღამო. უამრავი ხალხი ესწრება. სცენაზე დგას სამეუხა ჩამქრალი სანთელი (ერთი ვიორგი ჰყავდა, ისიც დაეღუპა!) დაიწყო „ოთარაანთ ქვრივის" მუსიკა. უზარმაზარი ნაწყვეტია, მთელი 14 წუთი. როგორც კი პირველი ფრაზა ვთქვი: „შუახანში შესულმა შემოდგომამ ზამთრისკენ პირი ქნა" და ასე შემდეგ, ხალხმა რაღაც მოძრაობა დაიწყო, აფუსფუსდნენ.

„ვაი შენს თათიას!" - ვფიქრობ გულაჩქროლებული. მოსწყინდათ -მეთქი, ალბათ ბევრი რაღაცები გაქვს წინ წაკითხული და იქნებ...

თურმე, სადა ხარ! მე რომ მგონია, მოსწყინდათ და დარბაზს ტოვებენ, სინამდვილეში, წამოდგნენ და, მთელი ეს თოთხმეტი წუთი, სანამ ოთარაანთ ქვრივი არ მოკალი შვილის საფლავთან, ყვარლის მაყურებელი სულ ფეხზე იდგა!..

ამაზე დიდი ბედნიერება მსახიობისთვის რა უნდა იყოს!

ორი დაუვიწყარი საღამო ჩავატარეთ თერჯოლაში. ერთ საღამოს 400 დედა დასწრეს. რა თქმა უნდა, მათ შორის, ბევრი შვილმკვდარიც იყო. თერჯოლელებს შესანიშნავი სიმღერისა და ცეკვის გუნდი ჰყავთ ბრიტანეთის ფესტივალის ლაურეატი, „საპოვნელა". ჰოდა, როდესაც საღამო დამთავრდა, გუნდის ყველა წევრი სათითაოდ ამოდიოდა სცენაზე და თითო მიხაკით მილოცავდა წარმატებებს. სიხარულის ცრემლი მომადგა თვალზე.

საღამოებს, რასაკვირველია, უფასოდ ვატარებდი. მხოლოდ სოხუმის ქართულ თეატრში გაიყიდა ბილეთები, მაგრამ ის თანხაც ქართული დასის ანგარიშზე ჩავრიცხეთ

**-დღევანდელობაზე რას გვეტყოდით, რა გტკივათ, რა გახარებთ?**

-ეს დიდი უბედურება, რაც 9 აპრილიდან დაიწყო ... ეროვნულ ტრაგედიაზე მოგახსენებთ მე უფრო შორეული ფესვებიდან მტკივა:

მტკივა ოცდათორმეტი წლის შეთქმულების მონაწილე გენიოსი პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი განჯაში;

მტკივა თვალწყლულიანი დაჭრილი არწივის, ვაჟა-ფშაველას ანთებული ფილტვები;

მტკივა ილია ჭავჭავაძის ხირიმის ტყვიით გახვრეტილი შუბლი წიწამურთან;

მტკივა ოცდაერთი წლის საშინელი ტრაგედია - ქართველ იუნკერთა უმანკო სისხლი;

მტკივა ოცდაოთხი წლის მეწამულისფრად შეღებილი მარიამობა;

სულს მიხუთავს 37 წლის უბრალო ხსენებაც კი!

უნდა მერწმუნოთ, რასაც ახლა მოგახსენებთ: მე მხოლოდ 7 წლის ვიყავი მაშინ, მაგრამ ვიცოდი, რა ქვეყანაშიც ვცხოვრობდით!



კონსტანტინე გამსახურდია, დაახლოებით 1935 წელი

ჩვენი ოჯახი ორჯერ გახდა ლტოლვილი, მაგრამ რაც ახლა ხდება...

ზუგდიდში ნათესავები მყავს და კონტაქტებიც მაქვს მათთან. უამრავი ლტოლვილი შეიფარა თავადაც გაჩანაგებულმა, მოძმის ხელით გაძარცვულმა და ნამუსახდილმა, ამ ბოლო დროს კი, კიდევ ერთხელ დაბეჩავებულმა სამეგრელომ.

გაგრძელება მე-7 გვ

# გვაქვს ინფორმაცია, რომ არჩევნებისთვის ზეგეგმიური ბიულეტენები იბეჭდება

*მე-3 გვერდიდან*

მით უმეტეს მმართველ პარტიას. ეს საერთო დამახასიათებელი სენი გახლავთ პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებისათვის. სამწუხაროდ, ამას ვერც საქართველო ასცდა, სხვა ქვეყნებში ამგვარ პრეცენდენტს ვერ ნახავთ, უფრო მეტიც, ზოგიერთ სახელმწიფოში სწორედ შსს ატარებს არჩევნებს და ბუნებრივია, იგი ამ შემთხვევაში არის ობიექტური, მას სახელმწიფოც ენდობა და ოპოზიციური ორგანიზაციებიც, იქ სისტემა დემოკრატიულია, აქ კი... თავისუფალი არჩევანის გაკეთება კონსტიტუციური უფლებაა მოქალაქისა, მაგრამ ჩვენს ქვეყანაში ამის საშუალებას არ აძლევენ. მოქალაქეთა კავშირი როცა აცხადებს, რომ აშენებს სამოქალაქო საზოგადოებას, ძალიან შორსაა ამ დეკლარირებისაგან, რადგან ის თავისუფალი მოქალაქეების საზოგადოებას არ აშენებს, პირიქით, ცდილობს დააკანონოს ისევ ძველი სიტემა.

***– არჩევნების ორგანიზებულად ჩატარებისათვის დასაფინანსებლად ხელისუფლებამ მიზერული თანხები გამოჰყო და არჩევნებში მონაწილე პარტიებსა და მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების კანონით გათვალისწინებულ დაფინანსებაზე კი საუბარიც არ არის, რატომ?***

– სხვებზე რა მოგახსენოთ და მოქალაქეთა კავშირი კი ბიუჯეტიდან თავის თავს იფინანსებს, იფინანსებს არალეგალურად. ყველა ის დარღვევა, რომელიც ხდებოდა საბიუჯეტო ცხოვრებაში, მათი დამსახურებაა, ეს იქნება ხარჯების უკანონოდ გაწევა, კორუფცია, რომელიც ყველა სისტემაში იყო ფესვგამდგარი თუ სხვა. თან არალეგალურად მიდიოდა მათს ხაზინაში სხვადასხვა გზით და მოქკავშირის ბიუჯეტიდან არალეგალურად დააფინანსებს თავის თავს, სხვა ორგანიზაციები კი შეძლებისდაგვარად. ფინანსების გარეშე ყოვლად წარმოუდგენელია, როგორ შეიძლება აწარმოო საარჩევნო კამპანია, წმინდა ტექნიკურ ორგანიზაციულ ხარჯებზეა საუბარი, ეს თანხები ჩვენ გაგვაჩნია და არჩევნების შემდეგ ჩვენი საარჩევნო ფონდი გამოქვეყნდება. რაც შეეხება პარტიების არდაფინანსებას, რატომ დააფინანსებს მათ, რაში აწყობს სხვისი გამარჯვება ხელისუფლებას? ესეც არ იყოს, ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაფინანსება გახდა პრობლემა და სესხის აღებაზეა საუბრები, ბოლოს და ბოლოს, ბიულეტენებია დასაბეჭდი და ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ ზედმეტი ბიულეტენებიც იბეჭდება და ზეგეგმიური ბიულეტენების დაბეჭდვასაც სჭირდება თანხა.

***– რა თანხის დახარჯვას აპირებს „სახალხო" არჩევნებში?***

– რამდენიც გვექნება, იმდენს დავხარჯავთ, ჩვენ დადებული, მუთაქებსა და ბალიშებში ჩაკერებული ფული არა გვაქვს, ვხელმძღვანელობთ დასავლეთის ქვეყნებში დანერგილი პრაქტიკით, როცა შენს მხარდამჭერებში ხდება ამ თანხების შეგროვება. ეს პატარ-პატარა თანხები ჩვენი მასშტაბით სოლიდურ ოდენობას იძენს; თუმცა მოქკავშირის ფინანსების ოდენობას ჩვენ ვერ შევეჭიდებით.

***– შეაჯამეთ განვლილი 4 წლის საპარლამენტო მუშაობის პერიოდი?***

– ჩვენ გვაქვს უკმაყოფილების გრძნობა, თუმცა ის გარკვეულ ენერგიას გვმატებს, რათა მეტი ძალით მოვიდეთ პარლამენტში. ბევრი საკითხი, რომელიც გვინდოდა გაგვეტანა და პარლამენტს გადაეწყვიტა, ვერ მოხერხდა, რადგან რაოდენობა არ გვყოფნიდა.

პარლამენტს კონსტიტუციურად აქვს სამი ვალდებულება. პირველ რიგში მან უნდა განსაზღვროს საგარეო და საშინაო პოლიტიკა. საშინაოში იგულისხმება სოციალური პოლიტიკა, მეორე გახლავთ კანონშემოქმედებითი საქმიანობა, მესამე კი საზედამხედველო საქმიანობა, ვერცერთი ამ ფუნქციათაგან ჩვენმა პარლამენტმა ვერ შეასრულა, ხშირ შემთხვევაში კი არ შესრულა, რადგან უმრავლესობას არ გააჩნდა პოლიტიკური ნება, ანუ სურვილი, რომ ეს გაეკეთებინა.

თუკი რაღაც წარმატებები გვქონდა კანონშემოქმედებით საქმიანობაში, შემიძლია ვთქვა, რომ ესეც არის არასრულფასოვანი. მაგალითად, მივიღეთ რამდენიმე კარგი კანონი, მაგრამ შემდეგ როცა დადგა საკითხი მისი რეალიზაციისა, ცხოვრებაში გატარებისა, ეს შეუძლებელი გახდა. ფაქტიურად ამ კანონების მიღება ფუჭი შრომა იყო, რადგან ადმინისტრაცია იმდენად არის კორუმპირებული, რომ ეს კანონები გვერდით არის მიდებული.

უმძიმესი პრობლემა ტერიტორიული მთლიანობის საკითხი გახლავთ, პარლამენტმა მიიღო კარგი დადგენილება, მაგრამ არც ეს განხორციელებულა.

***– რა გააკეთა სახალხო პარტიამ?***

– სახალხო პარტიამ დადო მიმართულებები, როგორ უნდა იცხოვროს ქვეყანამ და რა გზით უნდა იაროს, ამას კონცეფცია ჰქვია. ეს დოკუმენტი სახალხო პარტიამ გააკეთა და პარლამენტმა მიიღო.

სახალხო პარტიის დამსახურება გახლავთ ისიც, რომ ბიუჯეტის მიღება გახდა მეტ-ნაკლებად საყურადღებო საკითხი, წინა პარლამენტებში ბიუჯეტს იღებდნენ ერთ დღეში, ორ დღეში, ეს პროცესი მართლაც დაემსგავსა იმას, როგორიც წესით არის. ჩვენ ხელი შევუწყეთ, რომ საბიუჯეტო პროცესი პარლამენტში გამჭვირვალე ყოფილიყო ანუ საზოგადოებისათვის გამხდარიყო ცნობილი.

***– ბოლო ისტორიული სესია მოიგონეთ, როცა ყველა დეპუტატს საკუთარ სავარძელთან გამოთხოვება მოუხდა დროებით თუ სამუდამოდ. რამდენად კმაყოფილი ხართ იმ სხდომის და სწორად მოექცნენ თუ არა კოლეგა დეპუტატები ბორის კაკუბავას?***

– მე იმ დღეს არ გახლდით სესიაზე, კიევში საერთაშორისო კონფერენციას ვესწრებოდი, თუმცა საქმის კურსში ვარ, რაც მოხდა, მე კაკუბავას პოლიტიკური შეხედულებების მიმართ, რა თქმა უნდა, სიმპათია არა მაქვს, მაგრამ, რაც მოხდა, ჩემთვის მიუღებელია. ასეთი პრეცენდენტის დაშვება, მე ვთვლი, რომ არ შეიძლება.

იმუნიტეტი რატომ არის საჭირო? ეს ქართული პარლამენტარიზმის და ქართული პოლიტიკის მონაგონი არ გახლავთ, ეს საყოველთაოდ მიღებული და აღიარებული პრინციპია, დეპუტატს, რომელიც ხალხის მიერ არის არჩეული, უნდა ჰქონდეს დაცვის რაღაც მექანიზმი, რომ იყოს თავისუფალი თავის მოქმედებაში – კარგი გაგებით ვამბობ.

პროვოკაცია არასდროს არ არის გამორიცხული და დაცვის მექანიზმი უნდა არსებობდეს. იცით, რომ ყველა დიპლომატსაც აქვს იმუნიტეტი. ის ისეთ ქვეყანაში იმყოფება, რომ შეიძლება რაღაც მოუწყონ. იმუნიტეტის არსებობას და აუცილებლობას ყველა ქვეყანაში აღიარებენ, რატომ მაინც და მაინც საქართველო გამოდგება ხოლმე ორიგინალური? პრეზიდენტი შევარდნაძე გამოვიდა ინიციატივით, რომ დიპლომატებს იმუნიტეტი მოეხსნათ, პირველი ნაბიჯი თვითონ გადადგა და ჩვენი მოქალაქე ფაქტიურად გავწირეთ, ახლა მიდის მსჯელობა, რომ არცერთი პარლამენტის წევრს არ უნდა ჰქონდეს იმუნიტეტი და ამის მომხრე მმართველი პარტიაა, ეს სრული დემაგოგია გახლავთ და პოპულისტური სვლით ქულების მოპოვებას ცდილობენ.

**მანანა ლობჟანიძე**

*მე-3 გვერდიდან*

# არჩევნები - იმედი თუ უიმედობა?..



კარგი საქმეც გააკეთა - მიიღო „საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაცია". ჩაატარა რეფერენდუმი საქართველოს დამოუკიდებლობის მხარდასაჭერად და ა.შ. მაგრამ აღნიშნული და სხვა სისუსტეების გამო იგი დამარცხდა. დამარცხდა იგი საკუთარ ოპოზიციასთან ბრძოლაში. მაგრამ რა უცნაურადაც არ უნდა ჟღერდეს, ამ ბრძოლაში დამარცხდა მისი ნამდვილი და ჯანსაღი ოპოზიციაც, რომლის ბრძოლის მიზანი საქართველოს რეალური დამოუკიდებლობა და ჭეშმარიტი დემოკრატიზაცია იყო. აგრესიული და რეგრესიული ძალების მხარდაჭერითა და დახმარებით ქვეყნის სათავეში მოვიდა ჯერ ე.წ. „სამხედრო საბჭო" და შემდეგ „სახელმწიფო საბჭო".

1992 წლის ოქტომბერში საქართველოს მოსახლეობამ ახალი პარლამენტი აირჩია. ის პარლამენტი როგორც „უზენაესი საბჭოსაგან", ასევე „დამფუძნებელი კრებისაგან" განსხვავდებოდა თავისი სიჭრელით იქ იყვნენ ეროვნული ძალებიც და არაეროვნული ძალებიც, როგორც შენიღბული, ასევე შეუნიღბავი.

ის პარლამენტი თავისი 3 წლის მოღვაწეობის კულმინაციად სთვლის საქართველოს ახალი კონსტიტუციის მიღებას. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს კონსტიტუცია 1921 წლის კონსტიტუციისაგან საკმაოდ უკან გადადგმული ნაბიჯი აღმოჩნდა. საგაზეთო წერილში ძნელია ამ ბრალდების სრულიად არგუმენტირება, მაგრამ რამოდენიმე თვალსაჩინო ნაკლს კი შევახსენებთ:

– ახალ კონსტიტუციაში ერთობ ბუნდოვანია ქვეყნის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული მოწყობის კონცეფცია. შეზღუდულია ადამიანის უფლებები და სოციალური დაცვა. უგულებელყოფილია ქალთა და ბავშვთა პრობლემები (რის პრაქტიკულ შედეგსაც უკვე ვიმკით). გაურკვეველია ქართული სახელმწიფოს არსებობის მიზანი. კონსტიტუციაში საერთოდ არ არის ნახმარი სიტყვა „ერი". რაც მას ყველა ევროპული სახელმწიფოს კონსტიტუციათაგან ანსხვავებს და ცალსახად ანტიეროვნულ იერს აძლევს.

გარდა ამისა, ამ პარლამენტის მოღვაწეობის პერიოდში დაკარგა საქართველომ ტერიტორიული მთლიანობა. მას გამოეყო ორი თვითმარქვია. რესპუბლიკა – ე.წ. „სამხრეთ ოსეთის" და „აფხაზეთის" – ეს „გამოყოფა" კი მოხდა არა ურთიერთმოლაპარაკების და შეთანხმების საფუძველზე, რაც თავისთავად უარყოფითი და არასასურველი იქნებოდა საქართველოსათვის, არამედ უარესი გზით – ბრძოლის, ხოცვა-ჟლეტის. ამ ტერიტორიებიდან ქართული მოსახლეობის ამოძირკვისა და გამორეკვის გზით პარლამენტმა და მთავრობამ ვერაფერი მოუხერხეს ვერც „დიდი მეზობლის" საგარეო და ვერც სეპარატისტთა აგრესიას. ამ პარლამენტმა განუწყვეტელი დათმობებისა და დამცირებების გვირგვინი იმით დაიდგა, რომ ქვეყანა საკუთარი გადაწყვეტილებით შეიყვანა ე.წ. „ესენგეში", რითაც საქართველო კვლავ რესპუბლიკათა იმ „თანამეგობრობაში" აღმოჩნდა, საიდანაც თავის დაღწევისათვის ამდენი სულიერი, ეკონომიკური და ფიზიკური მსხვერპლი გაიღო. მიუხედავად ამისა, ამის სანაცვლოდ ქართველმა ხალხმა დაპირებათა მიზერული მინიმუმიც კი ვერ მიიღო. 1992-95 წლების პარლამენტში გამოკვეთილი იყო სამი ძირითადი ძალა – ანტიეროვნული, ეროვნული და კრიმინალური. მათ შორის დაახლოებითი პარიტეტი არსებობდა. თუმცა ქვეყნისათვის სასიცოცხლო გადაწყვეტილებების მიღებისას ეროვნული ძალები ყოველთვის მარტო რჩებოდნენ და ყოველთვის მარცხდებოდნენ დანარჩენი ორი ძალის გაერთიანებასთან დაპირისპირებაში.

ასეთი იყო 1992-95 წლების საქართველოს პარლამენტი, რომლის მოღვაწეობის პერიოდიც ერთ-ერთი სამარცხვინო, სისხლიან და შავ ლაქად შევა საქართველოს ისტორიაში. ამ პერიოდში დაილაშქრა და დაირბა ქართული ტერიტორიები ქართულივე მხედრიონის მიერ. გაურკვეველ ვითარებაში, გაურკვეველი ძალების მიერ თავები დააყრევინეს ქართველ ეროვნულ მებრძოლებსა და მოღვაწეებს, მათ შორის საქართველოს პირველ არჩეულ პრეზიდენტს, ბატონ ზვიად გამსახურდიას. ამ პარლამენტის მოღვაწეობის შესაფასებლად ლადო ილიას ფრაზა ალბათ ზედგამოჭრილია – „თვალახრილი – მტერწაყრილი".

1995 წლის 5 ნოემბერს არჩეული ახალი პარლამენტი, შეიძლება ითქვას, ეროვნული ძალების გარეშე აღმოჩნდა. რა თქმა უნდა, იქ მოხვდნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლები და ორგანიზებულადაც კი. მაგრამ მათი ხმა ამ პარლამენტში ისმოდა, როგორც „ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა". და უფრო იმიტომ, რომ პარლამენტს ოპოზიციურობის ვაკუუმი არ შესტყობოდა და დემოკრატიულობის იერი ჰქონოდა. ოპოზიციის ფორმალურობის დამადასტურებელია ის, რომ 4 წლის მანძილზე ოპოზიციის არც ერთ წონად წინადადებას, არც ერთ წამოწყებას გამარჯვება არ უზეიმია. ამ პარლამენტში ე.წ. შავი სამყაროს ლიდერთა ხმა აღარ ისმოდა, მაგრამ სხვა მხრივ იქ ისეთმა კრიმინალურმა ელემენტებმა მოიკალათეს, რომ შავი სამყაროს მყვირალა ლიდერები მათთან შედარებით წვრილმან დამნაშავეებად და ჯიბის ქურდბაცაცებად გამოჩნდებოდნენ. მათ გაყიდეს სახელმწიფო ქონება, რისი გაყიდვაც კი შესძლეს, აიღეს და მიითვისეს უცხო სახელმწიფოთა კრედიტები, რითაც მაქსიმალურად გაზარდეს სახელმწიფოს საგარეო ვალი. ქვეყანაში არნახულად აყვავდა მექრთამეობა და კორუფცია. გამეფდა დაუსჯელობის სინდრომი.

ამ პარლამენტის მოღვაწეობის პერიოდში აილაგმა ქუჩებში კრიმინალთა თარეში. შეწყდა სისხლიანი ეთნოკონფლიქტები, მაგრამ საქართველოს ისტორიულ ტერიტორიებზე შექმნილმა თვითმარქვია ხელისუფლებებმა შეძლეს შეენარჩუნებინათ ე.წ. სტატუს-კვო და განუსაზღვრელი დროით გადაეწიათ მათი კვლავ საქართველოსთან შეერთების შესაძლებლობის საკითხი.

ამ პარლამენტის დამსახურებათაგან აღსანიშნავია სიკვდილით დასჯის გაუქმება, რაც თავისთავად მისასალმებელია და საქართველოს გაწევრიანება „ევროსაბჭოში". თუმცა, სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ნამდვილად საჭირო აქტის პრაქტიკულ შედეგს ჯერ-ჯერობით ვერ ვხედავთ ვერც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხში, ვერც ეკონომიკური გაჭირვებიდან ამოსვლის საკითხში და რაც სრულიად მოულოდნელი და საკვირველია, ამან ხელი ვერ შეუშალა რუსეთს, სრულიად მოულოდნელად და უმიზეზოდ დაებომბა საქართველოს ტერიტორიები. იმ ორგანიზაციის ლიდერებს კი, რომლებმაც საქართველოს მათთან გაწევრიანება სიხარულის ცრემლებით აღნიშნეს, ამ ბარბაროსულ აქტზე, რაც მათთვის სახეში ხელის გაწნას უფრო ჰგავდა, ცრემლი კი არა, კრინტიც არ დაუძრავთ და თუ ასე გაგრძელდა, საქართველოს მოსახლეობის მათთან გაერთიანებით განცდილი სიხარულის სითბო, შეიძლება მალე გაუცივდეს.

პარლამენტის დამსახურებაა ასევე 650 ძალზე საჭირო კანონის მიღება, რაზედაც თვალის დახუჭვა არ შეიძლება. თუმცა არც ბრძენი სოკრატეს გაფრთხილებაა დასავიწყებელი – „არავითარი განსხვავება არაა კანონების არქონასა და მათ შეუსრულებლობას შორის".

აღსანიშნავია აგრეთვე სამედიცინო, განათლების და სასამართლოს რეფორმები, თუმცა, უკვე შეიძლება ითქვას, რომ ამათგან პირველი ორი კრახით დამთავრდა.

რა იქნება შემდეგ? -როგორც ამ პატარა ანალიზმა გვიჩვენა, საქართველოს პარლამენტარიზმის გზა სულაც არ არის გზა პროგრესისაკენ, დემოკრატიისაკენ, ქვეყნისა და ხალხის კეთილდღეობისაკენ. წარმატებების ფონზე შეცდომები, უკანდახევა, ჩავარდნები უფრო სისტემატიურ ხასიათს იღებს და მოსახლეობის იმედი და მოთმინებაც „შაგრენის ტყავივით" იღევა. თვალშისაცემია მოქალაქეთა სწრაფვა პარლამენტის დეპუტატის მანდატის მოსაპოვებლად. თუ „უზენაესი საბჭოს" არჩევნების პერიოდში პოლიტიკური ორგანიზაციები სადეპუტატო - საარჩევნო სიებში პიროვნებებს ეპატიჟებოდნენ და ხშირ შემთხვევაში სრულად ვერც აკომპლექტებდნენ უკანასკნელთა პასიურობის გამო, რამაც გამოიწვია კიდეც ის, რაც ზემოთ ვილაპარაკეთ - იმ სიათა შევსება შემთხვევითი ელემენტებით მომავალ სადეპუტატო - საარჩევნო სიებში მოხვედრაზე არნახული კონკურსია და დიდი ბატალიები იმართება. ეს პროცესი ძალზე წააგავს საქართველოს კომუნისტებისდროინდელ კონკურსებს პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებლებში, სადაც პრაქტიკულად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა ფულს და არა ცოდნას, რისი ლოგიკური შედეგიც იყო ის, რომ ღირსეულის ადგილს უღირსი იკავებდა და ასე იყო თითქმის ყველგან და ყველაფერში.

ამ პარლამენტის მოღვაწეობის პერიოდში საქართველოში სწრაფად და მოულოდნელად დამყარდა ოლიგარქიული წესრიგი, ისე, რომ დემოკრატიული განვითარების პროცესი არც კი დასრულებულა. დღეს საქართველოს პოლიტიკოსთა შორის ლიდერობენ და მოიაზრებიან არა პოლიტიკოსები, ამ სიტყვის კლასიკური გაგებით, არამედ ბიზნესმენები, მრეწველები, ე.ი. ფულიანი ხალხი. დღეს დიდ პოლიტიკოსად ითვლება ის, ვისაც დიდი ფული აქვს და პირიქით ამ პროცესების დინამიკის ფონზე ძნელი არ არის ვიწინასწარმეტყველოთ შედეგი, რა იქნება მომავალ პარლამენტში, თუკი წინამორბედ პარლამენტშიც კი, როცა ოლიგარქია ჯერ მხოლოდ პირველ ნაბიჯებს დგამდა, ადგილი არ აღმოჩნდა საქართველოში ისეთი ცნობილი პოლიტიკოსისათვის, როგორიც ბატონი ნოდარ ნათაძეა, რომლის ძირითადი ნაკლი მისი სიმართლისათვის უკომპრომისობა, პატიოსნება და უფულობაა.

დაბოლოს, მინდა საქართველოს პარლამენტის დეპუტატების მსურველთა არმიას შევახსენო - ქვეყანაზე არავინ არაა იმაზე საბრალო და საწყალი, ვიდრე კაცი, რომელსაც იმ საქმის კეთება ევალება, რაშიც არაფერი გაეგება. და ამიტომაც, ბატონებო, მოდით ვაკეთოთ ყველამ ჩვენი საკეთებელი საქმე, ნუ გავიწყდება, რომ გემში, რომლის მართვასაც უკანონოდ ვცდილობთ რადგან მართვის ცოდნა არ გაგვაჩნია - ჩვენ თვითონ ვიმყოფებით.

საქართველოს ამომრჩეველს კი შევახსენებ, რომ მისი მოქალაქეობრივი ვალია საარჩევნო ყუთთან მისვლა და ხმის მიცემა იმ პარტიისა და იმ კანდიდატისათვის, ვინც ყველაზე ღირსეულად მიაჩნია და არა ნათესაობის, ნაცნობობის ან საერთოდ ანგარების გამო.

არ უნდა დავივიწყოთ თუ რა ერისულოვნება. ენთუზიაზმი და დარაზმულობაა საჭირო სასურველი პარლამენტის მისაღებად, ქვეყანაში, სადაც უხერხემლო და უსუსური ხელისუფლების გამოცვლასაც კი ზარბაზნები დასჭირდა.

**იგორ პატარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ინტერვიუ**

*თათია ხაინდრავა:*

# ღალატი ახალი ხილი არასოდეს ყოფილა საქართველოში, მაგრამ ამდენი?!

*მე-5 გვერდიდან.*

ამდენი ჯიხური რომ არის ქალაქებშიც და სოფლებშიც. სუყველანი უმაღლესდამთავრებულნი არიან იმ ჯიხურებში! ინჟინერი, ექიმი, ვექილი, სხვაც უამრავი, უჭირს და ტაქსაობს, რა თქმა უნდა, თუკი მანქანა ჰყავს. მე გულს მიკლავს მათი შეხედვა.

როგორც ვცხოვრობ, კი ხედავთ (რა თქმა უნდა, მდიდრული ავეჯის, გარდერობის, და ა.შ. გარეშე! გ.ზ.)

37-ში რომ ბინა წაგვართვეს, სულ უბინაოდ ვიყავით და მხოლოდ 85-ში გვაღირსეს ეს ორნახევარი ოთახი. ესეც იმიტომ, რომ... ძალიან რთული ოპერაცია დამჭირდა. უროტესი ამ 15 წლის წინათ წერილობით მივმართე მაშინ ხელისუფლებას, ვწერდი, რომ მე მათ ხმას არ მივცემდი არჩევნებში, წავიდოდი ტელევიზიასთან, მოვითხოვდი უცხო ქვეყნის ქვეშევრდომობას, თუ ბინით არ დამაკმაყოფილებდნენ.

ინამუსეს და მომცეს ეს ბინა მე-12 სართულზე.

***-რითი ხართ დაჯილდოებული, როდის და რისთვის?***

-არავითარი ჯილდო არ მიმიღია ჩემს სიცოცხლეში! „დამსახურებული არტისტის" ან „ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის" წოდებაც არ გამაჩნია. დავიბადე თათია ხაინდრავა და ვარ თათია ხაინდრავა! მაგრამ სულ უბედურად და წყალწაღებულად როდი ვთვლი თავს. მე მასპინძლებს და ფრიად მასხამს ის, რომ გამოჩენილ პიროვნებებთან ვმეგობრობ. ისეთებთან, როგორიც არის, ვთქვათ, სახელოვანი მწერალი ოტია იოსელიანი. ჩემთვის უდიდესი ჯილდოა ის ავტოგრაფი და წარწერა, რომლითაც მან თავისი წიგნი მიძღვნა.

ყველა მიძღვნილი წიგნი რელიქვიასავით მაქვს, დაწყებული დიდი გალაკტიონიდან. მე ამ სიტყვებში ვპოულობ ჩემი შრომის შეფასებას და ესაა ჩემი ჯილდო!

ჩემი სევდითა და ასეთი ჯილდოებით ვარ მჭვენიადი. მე ყმაწვილქალობიდანვე ოპტიმისტი ვიყავი ბუნებით, მაგრამ დავკარგე იგით ოპტიმიზმის მუხტი, განმიქარვდა და გამინელდა. ეს იმიტომ, რომ ვერ მიმხვდარვარ - რა ხდება, სანამდე შეიძლება ასე ყოფნა! უბრალოდ, აღარ შემიძლია ამდენი მათხოვრის ყურება! გული მტკივა, როცა ჩემს ახალგაზრდა სახიობს გაჭირვებულს ვხედავ!

ალბათ იმ ძველი ოპტიმიზმის ნამცეცი შემრჩენია სულში, რადგან, მიუხედავად ასეთი უგუნებლობისა, მაინც ავიყვანე თავი ხელში და ქალბატონ თინა ელბაქიძესთან ერთად, ამ შესანიშნავ ადამიანსა და მსახიობთან ერთად, რომელმაც ჩვენი დიდი არტისტი ქალბატონების ტოლფასი სახე შექმნა ვაჟა-ფშაველას სანთაში, დიახ, ერთად მოვამზადეთ კომპოზიცია ვაჟას ნაწარმოებების მიხედვით - „კიდევაც ვნახავ ვაზთუხულს" და წარვუდგინეთ იგი ტელერადიოკორპორაციის მაშინდელ თავმჯდომარეს, ბატონ არჩილ გოგელიას. მას იგი ძალიან მოეწონა, დაგვითმო თავისი სათათბირო დარბაზი რეპეტიციოდ და 5 თვეს განუწყვეტლივ ვმუშაობდით ბოლოს, რუსთაველის თეატრში წარსდგებით მაყურებლის წინაშე. ეს იყო 96-ში. პრემიერამ დიდი წარმატებით ჩაიარა. მაყურებელთა დაჟინებული მოთხოვნით საღამო გავიმეორეთ დიდ საკონცერტო დარბაზში.

საღამოს ესწრებოდა ვაჟას შვილიშვილი, კატანგის ქალიშვილი, გულქანი, თავისი შვილებით და შვილიშვილებით გულქანი ამოვიდა სცენაზე, ცრემლმორეულმა მადლობა მოგვახსენა და წაიკითხა ფრაგმენტი ვაჟას „ეთერიანიდან", თან, დასძინა: ეტყობა, ვაჟა-ფშაველას ეს სტრიქონები ქალბატონ თათიასათვის დაუწერიაო!.. შემდეგ სცენაზე ამობრძანდა ბატონი ჯუმბერ ჭუმბურიძე, რომელიც დიდ კაცად მიმაჩნია, საერთოდ. მან უდიდესი შეფასება მისცა ჩვენს ნამუშევარს, განსაკუთრებით გაუსვა ხაზი ქალბატონ თინათინ ელბაქიძის მიერ განსახიერებულ სანათას. შესანიშნავი გახლდათ გოგა გორგასლიძეც. ძალიან ლამაზი საღამო გამოვიდა. გულსაწყვეტი იყო მხოლოდ ის, რომ მწერლებიდან საღამოს მარტო ქალბატონი ანა კალანდაძე და ბატონი ბაჩანა ბრეგვაძე ესწრებოდნენ.

შემდეგ ბატონ არჩილ გოგელიას თაოსნობით დაინიშნა ამ საღამოს ვიდეოფირზე გადაღება გრიბოედოვის თეატრში გია პაპუაშვილის ხელმძღვანელობით.

მაშინ „მამული" ერქვა იმ რედაქციას. ახლა რატომღაც შეუცვლიათ ეს შესანიშნავი სახელწოდება. „მამული", „ერი" და ამდაგვარები რატომღაც ნამეტანი ეხამუშებათ!..

ჰოდა, გადაიღეს ფირი, მაგრამ რად გინდა - ეთერში არ უშვებენ! მისალმება გამოცდების პერიოდში მაინც გაეშვათ ან ვაჟას დღეებში!.. ვერ მივმხვდარვარ, მართლა რა ხდება!.. კიდევაც გამოვაქვეყნე ერთ-ერთ გაზეთში - ვის უცხადებენ ბოიკოტს? მე თუ ვაჟა-ფშაველას - მეთქი? თუ ვაჟას - მაშინ რატომ, რა, ორმოციანი წლების მიწყრომილი ბრუნდება?! თუ - რატომ მიცხადებენ ბოიკოტს, ვერ გამიგია! კონსტანტინეს დისშვილობა ხომ არ მიშლის ხელს?

არა უშავს! ბოიკოტმა ფარ-ხმალი ვერ დაგვაყრევინა მე და თინა ელბაქიძეს. შევკრიბეთ ისევ ის ჩვენი ახალგაზრდები და შევუდექით „ვეფხისტყაოსანს". მოვიწვიეთ ბატონი რევაზ თავართქილაძე როსტევან მეფის როლში, ძალიან დაგვეხმარა რობერტ სტურუა. არაჩვეულებრივი დეკორაცია გაკეთდა. მუსიკალურად ვაჟა-ფშაველაც და რუსთაველიც ჩემმა ქალიშვილმა, მირანდა ხაინდრავამ გააფორმა და პრემიერა ისევ და ისევ რუსთაველის თეატრში გაიმართა. ეს საღამოც გადაიღეს ტელეში, რისთვისაც ისევ და ისევ მსურს მადლობა გადავუხადო არჩილ გოგელიას.

თუმცა, რად გინდა - არც ამას უშვებენ ეთერში!

ძალიან კარგი ახალგაზრდა ჩანს განათლების მინისტრი, ბატონი კარტოზია. ვფიქრობ და ვიმედოვნებ, რომ დაინტერესდება ამ იდეით, გადააწერინებს და გაამრავლებს ამ ფირებს, მოსწავლე-ახალგაზრდობისთვის საჩვენებლად. სიკეთის მეტი ამან რა უნდა მოუტანოს ახალგაზრდობას?!

ამჩნევთ ალბათ რა ხდება სინამდვილეში - ერთი და იგივე მომღერლების კონცერტებს მართავენ ორგანიზებული ანშლაგებით არის ქუჩებში სარეცხივით გამოფენილი ტრანსპარანტი - აფიშები: არიქა, იჩქარეთ ამ თვეში ბოლო კონცერტს მართავს ესა და ესო! პარტიული დაინტერესებაა, რასაკვირველია! ამას ყველა ხედავს! ხოლო ვაჟამ და შოთამ ვერც ერთი პარტიის დაინტერესება ვერ შეძლო?! ამათ და კიდევ ერთი-ორის სპონსორობას თვითონ ხელისუფლება უნდა უწევდეს, თუ მართლა ერის სასიკეთოდ ზრუნავს!

***– საქმე იქითკენ მიდის, რომ, მიუხედავად ქართველ მწერალთა მცდელობისა, განსაკუთრებით კი, ბატონ გურამ შარაძის დიდი მოწადინებისა, პიროვნების ვინაობის დამადასტურებელ საბუთებში ეროვნების რეკვიზიტი საბოლოოდ ამოიშლება. პასპორტში გვეწერება არა - „ქართველი", არამედ - „საქართველოს მოქალაქე".***

– მე არ ავიღებ ასეთ პასპორტს!!!

კიდევ ერთი პრეტენზია მაქვს: ზვიადზე მე 12 წლით უფროსი ვარ, იცით, როგორც შვილი, მთელი ბავშვობა გაატარა ჩემთან, ჩემი ხელის გარეშე არ დაიძინებდა. ბოლომდე, პრეზიდენტობამდე სულ დადიოდა ჩემთან, აქ, სამტრედიის ქუჩაზე, ხოლო, როცა პრეზიდენტი გახდა, მოდიოდა კი არა, ველარც მირეკავდა! ყოველთვის მაგ სავარძელში უყვარდა ჯდომა. ავად ვიყავი თუ ოპერაციას მიკეთებდნენ, თუ ჩემი საღამო იქნებოდა, ზვიადი მუდამ ჩემთან იყო, ჩემს გვერდით იყო. „ტრანსკავკასიის" გამო რომ შიმშილობდა, მე ვადექი თავზე მთელი 24 დღის განმავლობაში.ასევე დიდი ტკივილია ჩემთვის მერაბ კოსტავას დაღუპვა. კიდევ უფრო დიდი ტკივილი, მეტიც - ტრაგედია გახლდათ ჩემთვის, როცა აქედან, მე-12 სართულიდან ვუყურებდი - როგორ ბომბავდნენ ზვიადს და ვინმე გენერალი, მაგის დასახელებაც არ მინდა, არ მიმაჩნია ღირსად, მისი გვარი რომ დავასახელო, ამბობდა: ხალხს გავიყვან და მერე მე დავტუმბავ ზვიად გამსახურდიასო!

როგორ შეიძლება ერთი კაცის გულისათვის ... ვთქვათ რაღაც შეცდომები ჰქონდა... რომელ ძეხორციელს არა აქვს შეცდომები! ვთქვათ, ის ხალხი არ ჰყავდა გარემოცვაში, ვინც უნდა ჰყოლოდა! მერე, ამის გამო, ტანკებით და ზარბაზნებით უნდა მიეტანა იერიში ხალხის მიერ ერთხმად არჩეულ პრეზიდენტზე?!

ღალატი ახალი ხილი არასოდეს ყოფილა საქართველოში, მაგრამ ამდენი? მე და ჩემი მირანდა, მთელი მეზობლობა წივილ-კივილით ვუყურებდით აქედან, როგორ ბომბავდნენ მთავრობის სასახლეს!

რატომ არ იძიებენ, რა მოხდა 1991-1992 წლებში საქართველოში? სიტყვით კი ამბობენ, გამოვიძიოთო, მაგრამ, სინამდვილეში, არა და არ იძიებენ. ხელს არ აძლევთ ალბათ არა? სხვანაირად როგორ უნდა გავიგოთ ეს!

რომ ჰკითხოთ ღვთისმოსაობას იჩემებენ! არადა, ქრისტეშობას ბომბავდნენ ჭეშმარიტად მორწმუნე პრეზიდენტს! ქაშუეთის ეკლესიაკენ, იმის შემდეგ, საერთოდ აღარ ვიხედები! რატომ გუმბათი არ ჩამოექცა და შიგ არ მოიყოლა ის ავაზაკები, ტყვიას რომ უშენდნენ კანონიერ ხელისუფლებას!

ზვიადი ჩემი სისხლი და ხორცი იყო, ყველაფერს რომ თავი გავანებოთ! რასაკვირველია, საშინლად მაწუხებს მისი ტრაგიკული აღსასრული, მაგრამ ღმერთი ხომ არის ქვეყანაზე! ძალიან მკაცრი სასამართლო მოელით ღვთის რისხვით ძალიან ბევრი რამის გამო - 9 აპრილიდან მოყოლებული, მერაბის სიკვდილით, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაკარგვით ამოდენა ხალხის გაუბედურებით, ზვიადის მკვლელობით დამთავრებული!

***-კიდევ რამდენიმე ეპიზოდი გაიხსენეთ ზვიადთან ურთიერთობებიდან ბოლო წლებში.***

-1986 წელს 151-ე საშუალო სკოლის ბაზაზე, მე, მსახიობმა ზურაბ ცინცქილაძემ, მისმა შესანიშნავმა მეუღლემ თამარ დათუაშვილმა და სხვებმა „ვეფხისტყაოსანი" გავითამაშეთ საღამოს ზვიადიც დაესწრო. აი, ამ ფოტოზეა გამოსახული ეს. ეს რომ გაიგეს, კლუბის კარები აგვიჭედეს. საკლასო ოთახში „ვითამაშეთ". მერე ზურაბმა ძლივს გააპარა ზვიადი, კინაღამ დაიჭირეს. ქართულის მასწავლებელი გაათავისუფლეს სამსახურიდან.

1997 წელს შესანიშნავმა რეჟისორმა, იური კაკულიამ, კონსტანტინე გამსახურდიას ნაწარმოებების მიხედვით შექმნა კომპოზიცია და განახორციელა იგი ქუთაისის დრამატულ თეატრში. მე თვითონ დავურეკე ზვიადს და ვუთხარი: მამაშენის ნაწარმოებების მიხედვით შექმნილი სპექტაკლის პრემიერაა ქუთაისში და წამოხვალ, აბა რას იზამ-მეთქი! რა თქმა უნდაო! ბატონი მამუკა ასლანიკაშვილი გახლდათ მაშინ ქუთაისის ქალაქკომის პირველი მდივანი. მე მატარებლით ჩავედი ქუთაისში, ზვიადი თავისი დანჯღრეული „ვოლგით" ჩავიდა.

***-თქვენთან ერთად ჩამოვიდა ქუთაისში?***

-არა, მარტო ჩამოვიდა. მშვენიერი ნომერი დაგვახვედრეს სასტუმროში. სპექტაკლზე როცა წავედით მთხოვა, მოდი უკანა კარიდან შევიდეთო. გახსოვთ ალბათ როგორი მოკრძალებული იყო ზვიადი. შევედით დავსხედით ჩუმად, მაგრამ მაყურებლებმა მაინც შეგვამჩნიეს და ისეთი ტაშის გრიალი ატყდა, ვერ წარმოიდგენთ! ღმერთია მოწამე და ქუთაისის საზოგადოებრიობა, რომელიც იმ საღამოს თეატრს ეწვია.

სპექტაკლი ძალიან მოგვეწონა. იურიმ სთხოვა ზვიადს,ასულიყო სცენაზე და ერთიორი სიტყვა ეთქვა. ზვიადი უყოყმანოდ ავიდა სცენაზე ტაშის გრიალში, უმალვე ხელის აწევით ანიშნა მაყურებელს, მადლობელთ, და მშვენივრად შეაფასა სპექტაკლი და ისეთი სიტყვა თქვა, რომ ბატონმა მამუკამ უთხრა: ბატონო ზვიად, გთხოვთ ხშირად ჩამობრძანდეთ ქუთაისში, თქვენ ჩვენთვის საჭირო ხართო. ასლანიკაშვილის მონაწილეობით და თამადობით გაგვიმართეს, ქუთაისელებს რომ ეკადრებათ ისეთი ვახშამი. ტრაპეზი დასასრულს უახლოვდებოდა, სწრაფად შემოვიდნენ ახალგაზრდები და სთხოვეს ზვიადს, უნდა გამოგვყვეთო, თქვენს საწინააღმდეგოდ რაღაც ავი განზრახვა აქვთ ჩაფიქრებულიო. მართლაც გააპარეს. 8 საათის განმავლობაში დაკითხავდნენ თურმე იური კაკულიას - რატომ ჩამოვიდა ზვიადი ქუთაისში, თქვენ მოიწვიეთო?

ჩემთანაც შემობრძანდა, სასტუმრო ოთახში, კაგებეს წარმომადგენელი და მეკითხება: თქვენ ჩამოიყვანეთ ზვიად გამსახურდია თუ კაკულიამ ჩამოიყვანაო. მე-მეთქი, ვუთხარი, მაგრამ ასე უპრავოდ რომ შემოდიხარ ოთახში, არ მაცვია, არ მახურავს, რას ჰგავს ეს-მეთქი! მე შენ გეტყვი და, დაირცხვინა!

***-ორიოდე სიტყვა თქვენს ქალიშვილზე, მირანდა ხაინდრავაზე გვიამბერით.***

-მუსიკოსები ამბობენ, ძალიან კარგი მუსიკოსიაო. მარინე იაშვილისა და თამაზ ბათიაშვილის მოწაფე იყო, აგრეთვე - ბაბუის, გრიგოლ ჩხიკვაძის, რომელსაც ძალიან დიდი წვლილი მიუძღვის ჩემი გოგონას მუსიკალურ დაოსტატებაში და, საერთოდაც, მირანდა 27 წლიწადს ბებიასთან და ბაბუასთან იზრდებოდა.

წარჩინებით დაამთავრა კონსერვატორია. კიდევ ერთხელ უნდა მადლობით მოვიხსენიო ბატონი არჩილ გოგელია, რომლის ხელდასმითაც ტელევიზიაში ჩამოყალიბდა ქალთა ტრიო, რატომღაც საფორტეპიანო ტრიო" რომ ეწოდება. „რატომღაც" იმიტომ, რომ მასში მონაწილეობენ: თამრიკო ციციშვილი (ფორტეპიანო), ჩელოზე უკრავს მარინე იაშვილის ქალიშვილი, ლალი პოლიტკოვსკაია და ვიოლინოზე - ჩემი მირანდა! მირანდა უკვე რამდენიმე პრემიის ლაურეატია. მალე ექნებათ პრემიერა და გეპატიჟებით

***-სიამოვნებით, მაგრამ ეს კორუფციად ხომ არ ჩაითვლება?***

-კორუფციად რა ითვლება და რა - არა, მათ უკეთ იციან, ვინც მილიონებს ნთქავს!

***-სადღეისოდ, ქალბატონო თათია, უწინარეს ყოვლისა, რას ისურვებდით?***

- რომ ტელევიზიასა და რადიოში, რაც შეიძლება, მძაფრი ეროვნული მუხტით გამორჩეული მასალები ჰჟღერდეს! არ მეუხერხულება და გეტყვით: ისეთები უნდა სჭარბობდეს, როგორიც ვაჟა-ფშაველასა და რუსთაველის გენიალურ ქმნილებათა ფონდში არსებული კომპოზიციებია. ქალბატონი თინათინ ელბაქიძე რომ ხშირად იყოს ეთერსა და ეკრანზე! თინას ისეთი პუბლიცისტური საღამოები აქვს ჩაწერილი, რომელიც ძალიან გამოადგებოდათ ჩვენს მოზარდ თაობას სულის საწრთვნელად და არც „ზრდილებს" აწყენდათ სხვათა შორის!

***-კიდევ?***

-უი, რამდენი ვილაპარაკე! მოვწყინდი, ალბათ ხალხს. კიდევ იმას ვისურვებდი, რომ ... კიდევ მენახოს გაზაფხული! ჩვენი ერის, ჩვენის ქვეყნის გაზაფხული!

**ესაუბრა გიზო ზარნაძე**



*„ვეფხისტყაოსნის" წარმოდგენის წინ 151-ე სკოლაში 1986 წელი.*

---

*დავით წიქარიშვილი:*

# ვინც მხარდაჭერას მოსახლეობის ღარიბ ფენებში ეძებს, ის ტირანიისაკენ ისწრაფვის...

*ინტერვიუ განათლების მუშაკთა თავისუფალი პროფესიული კავშირის „ერთობის" იურიდიული სამსახურის უფროსთან ბ-ნ დავით წიქარიშვილთან*

***- ბატონო დავით, რამ განაპირობა განათლების მუშაკთა თავისუფალი პროფკავშირის - „ერთობის" შექმნა?***

- ახლის ალბათ არაფერს ვიტყვი, თუ განვაცხადებ, რომ საქართველოში მიმდინარე რეფორმის სიმართულეებას დღეს დასავლეთი ეპარანახობს. უკვე დადგა რეფორმის ის ეტაპი, როცა ნებისმიერ ხელისუფლება იძულებული ხდება აღიაროს, რომ როგორც ერთპარტიული სისტემა სახელმწიფოსთვის მიუღებელი, ისე - ერთპროფკავშირული. ამდენად, თუმცა დაგვიანებით, მაგრამ მაინც-ნაკლებად ნორმალურად მოწესრიგდა პროფკავშირების შექმნისა და ფუნქციონირებისთვის საჭირო საკანონმდებლო ბაზა. გაჩნდა ალტერნატიული პროგრამები ალტერნატიული, ქვემოდან შექმნილი პროფკავშირების წარმომადგენლობა, დამკვიდრდა მოქმედების მეთოდიკა ნებისმიერ წინააღმდეგ შექმნილი ბარიერის გადასალახავად. ის, რომ ხელფასების დაგვიანებისა და შემცირების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური საშუალება პროფკავშირია, აშკარა ჭეშმარიტებაა და ამ თემის გაშლას აქ აღარ ვაპირებ.

***- განათლების სისტემას დღეს უამრავი პრობლემა აქვს, ხომ ვერ დაგვისახელებთ იმ პრობლემებს, რომელთა მოგვარებაში „ერთობა" აპირებს მონაწილეობის მიღებას?***

- პირველ რიგში ცხრაწლიანი სკოლა უნდა გახდეს სავალდებულო და უფასო, კონსტიტუციის მოთხოვნაც შესრულდება, რომ დაგვეჭირდეს. მარტივი მაგალითი: ბავშვმა ექვსი კლასის ფარგლებში იცის დაწყებითი ძველი მსოფლიოს ისტორია, სამაგიეროდ მეორე მსოფლიო ომი როდის დაიწყო, ვერ გეტყვით. და ასეთი განათლება ითვლება საკმარისად ლეგიტიმური „საერთაშორისო" სტანდარტით! მეორე პრობლემა ხელფასების დაგვიანებაა. წინასაარჩევნო კამპანიისათვის დაინტერესებულ პირს ეძლევა საშუალება ბრუნვაში გაუშვას მასწავლებელთა ხელფასები: სატრანსპორტო სისტემამ ხომ სრული ქაოსი შემოიტანა ამ მხრივ. ცენტრალური ხელისუფლება ამტკიცებს, ტრანსფერტი წასულიაო, ხოლო რეგიონს ჯერ არ მიუღია (როგორც ეს მოხდა მაგ. ქუთაისში). ხომ არ შეიძლება ეს ტრანსფერტი გვირაბის გამტარუნარიანობაზე ყოფილიყო დამოკიდებული და დაუშვათ, წყლის გვირაბის შეშინებოდა?

მესამე პრობლემა შემცირებებაა. ამცირებენ, არ იციან ვის, არ იციან რა პრინციპით და არ იციან რატომ. მოსაწესრიგებელია საკანონმდებლო ბაზა (დამუშავების სტადიაშია პროექტი კანონისა „საჯარო სამართლის სუბიექტ იურიდიული პირის

*გაგრძელება მე-8 გვ*

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თვალსაზრისი

# ინგლისი ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის წინააღმდეგ?

მე-2 გვერდიდან.

ის შიშით გადასახლდა დასავლეთ თურქეთში, მთლიანად ევაკუირდა 3185 სოფელი, განადგურდა 134 სამრეწველო საწარმო, 270 ფაბრიკა, სამთავრობო შენობები, 225 სკოლა, დაიღუპა მრავალი პედაგოგი. ქურთ ბავშვთა უმეტესობა სკოლაში არ დადის. ხშირია ეპიდემიები, შიმშილობა. მოსახლეობის მხოლოდ 5 პროცენტია დასაქმებული. რეგიონის მეურნეობის მთავარი დარგი, - მეცხოველეობა გაჩანაგების პირსაა. წლიური შემოსავალი აქ სულზე 529 დოლარია, საშუალოდ ქვეყანაში კი იგი 2888 დოლარს უდრის. რეგიონზე მნიშვნელოვან კონტროლს ახორციელებს ქურთთა მუშათა პარტია. მან გარკვეულ წილად ხელი შეუწყო რეგიონში კრიმინალიზმის გავრცელებას. რეგიონი იქცა ავღანეთიდან დასავლეთ ევროპაში მიმავალი ჰეროინის მთავარ ტრასად. ევროპაში მოხმარებული ამ ნარკოტიკის 75 პროცენტი ამ გზით შედის.

რეგიონის მოსახლეობის 5 პროცენტი ფლობს მიწების 65 პროცენტს, ხოლო მოსახლეობის 70 პროცენტი მიწების 10 პროცენტს. გლეხური ოჯახების 38 პროცენტი საერთოდ უმიწოდაა დარჩენილი. ბევრი სოფელი დაყმევებული ჰყავთ კერძო პირებს ან ცალკეულ ოჯახებს. ისინი, ასე ვთქვათ, მებატონეობის პრინციპით განაგებენ იქაურობას, არაიშვიათად კი ქმპ-ს ფინანსურადაც ეხმარებიან. აქ მართლაც და ნახევრად ფეოდალური ურთიერთობანია დამკვიდრებული.

ასეთი არასახარბიელო სურათის შემხედვარე, მით უმეტეს საომარი სიტუაციებიდან გამომდინარე, თურქეთის მთავრობას მართლაც თავი უნდა შეეკავებინა რაიმე მნიშვნელოვან ეკონომიკურ-სამეურნეო წამოწყებაზე ამ რეგიონში. მაგრამ მოხდა პირიქით. ბოლო 20 წლიწადში ხელისუფლებამ აქ მაინც რამდენიმე სხვადასხვა პროექტი განახორციელა.

რეგიონის განვითრების გეგმა ჯერ კიდევ 1970 წელს დაიწყო. იგი დამთავრდება 2010 წლისათვის. ამ ხნის მანძილზე უნდა აიგოს 22 კაშხალი და ჰიდროელექტროსადგური მდინარეებზე ტიგროსზე და ევფრატზე. პროექტის დამთავრების შემდეგ ქვეყნის გალატაკებული რეგიონი გადაიქცევა სახელმწიფოს პურის ბეღელად და ელექტროენერგიის ძირითად წყაროდ. საკმარისი წყლის მიწოდების პირობებში აქ წელიწადში სამი მოსავლის მიღება შეიძლება. ექპერტთა ვარაუდით რეგიონში ცხოვრების დონე ხუთჯერ გაიზრდება.

1977 წელს მთავრობამ თავი მოუყარა რეგიონში მომქმედ რამდენიმე პროექტს და ისინი გააერთიანა ერთ ცენტრალურ პროექტში, - სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიის განვითარების პროექტში (სააგპ).

1983 წელს თურქეთმა დაიწყო სააგპ-ს მთავარი ობიექტის, - ათათურქის კაშხალის მშენებლობა მდ. ევფრატზე. საქმე ისაა, რომ თურქეთი საკუთარი რესურსებით ვერ აკმაყოფილებს ელექტროენერგიაზე ხალხისა და ქვეყნის მოთხოვნილებას. 1995 წელს მან მხოლოდ 42 პროცენტით დააკმაყოფილა იგი. დანარჩენს ყიდულობს. ბაქო ჯეიჰანის ნავთობსადენით კი თურქეთი საიმედოდ შეავსებს ენერგომატარებლებზე დეფიციტს. ნავთობსადენი წლიურად 45 მეტრიკულ ტონა ნავთობს გაატარებს.

პროექტი მოიცავს სირიასთან და ერაყთან მომიჯნავე 8 ოლქს, რაც თურქეთის ტერიტორიის 9,7 პროცენტს, ანუ 74 ათას კვ. კმ-ს. პროექტის დასრულების შემდეგ მოირწყვება 1.7 მილიონი ჰა მიწა. წლიურად, ყველა ელსადგური ერთად გამოიმუშავებს 27 მილიარდ კილოვატ საათს. რაც ქვეყნის მთელი ელექტროენერგიის 22 პროცენტი იქნება.

პროექტის სრული ღირებულება 32 მილიარდი დოლარია, საიდანაც 12, 5 მილიარდი უკვე ათვისებულია. პროექტის 41 პროცენტი სამუშაოები უკვე შესრულებულია. მომქმედი სამუშაო გეგმით დანარჩენი 19,4 მილიარდი დოლარი უნდა გაიხარჯოს მომდევნო 12 წელში. ათათურქის სახელობის კაშხალი 10 წელი შენდებოდა და 1993 წელს დამთავრდა. იგი მსოფლიოში მეცხრე მაღალმთიანი კაშხალია, რომელიც ძირიდან 600 ფუტ სიმაღლეზეა და 6 ათასი ფუტი სიგანე აქვს. მან პროექტით განსაზღვრული ელექტროენერგიის 1/3 უნდა აწარმოოს და მიწების უზარმაზარი არეალი მორწყას. კაშხალი 50 მილიარდ კუბურ მეტრ წყალს იტევს.

ასევე დასრულდა კარაკაის კაშხლის მშენებლობა ევფრატის ზედა წელზე. მან პროექტის 1/4 ელექტროენერგია უნდა აწარმოოს. 1997 წელს ათათურქისა და კარკაის კაშხლები ქვეყანაში მოხმარებული ელექტროენერგიის 18,8 პროცენტს აწვდიდნენ.

პროექტის სარიგაციო გეგმის პირველი ფაზა დამთავრდა 1995 წელს, როცა დასრულდა სანლიურფას ორმაგი გვირაბის, - მსოფლიოში ყველაზე გრძელი საირიგაციო გვირაბის მშენებლობა. მისი სიგრძე 16 კილომეტრია. იგი უკვე 100ათას ჰა-ს რწყავს. ჰარანის მხარეში ბამბის მოსავალმა 800 ათას ტონას მიაღწია, რაც ქვეყნის ბამბის მთელი პროდუქციის 25 პროცენტია.

პროექტის თანახმად თურქი გლეხების მიწები მოირწყვება, მოსავალი ბევრად გაიზრდება, მოსახლეობა შეძლებული გახდება, გამოვა ქურთი მებატონეების ჩაგვრა გავლენისაგან, დამკვიდრდება კანონიერება და სამოქალაქო სამართალი და ამით ბოლო მოეღება ნახევრად ფეოდალურ ურთიერთობებს. ეს გაუგონარი ფაქტი თურქეთის პრემიერ-მინისტრმა ბი. ეჯევითმაც აღიარა ამას წინათ, როცა განაცხადა, რომ რეგიონში მართლაც ნახევრადფეოდალური წყობილება სუფევსო. თან დასძინა, რომ არა ქმპ-ს ტერორისტული საქმიანობა, ფეოდალური მემკვიდრეობა კარგა ხნის დაძლეული იქნებოდაო. თუმცა ძნელი დასაჯერებელია, რომ ყველაფერი ეს ხდება ჩვენს მეზობელ თურქეთში, ქვეყანაში, რომელიც ამავე დროს ევროპული სახელმწიფოცაა, ევროსაბჭოს წევრია და ევროკავშირს ზღურბლზე მისდგომია.

მაგრამ აქ თავს იჩენს ერთი დიდი წინააღმდეგობა. მთელი რიგი მოქმედებით ირკვევა, რომ სააგპ-ის განხორციელების წინააღმდეგია თანამედროვე მსოფლიოს ისეთი დემოკრატიული, ცივილური სახელმწიფო, როგორიც ინგლისია. ბრიტანეთის ხელისუფლების გარკვეულ წრეებში მიიჩნევენ, რომ სააგპ-ის განხორციელება ძირს უთხრის ბრიტანეთის გეოპოლიტიკურ მიზნებს რეგიონში და საერთოდ მახლობელ აღმოსავლეთშიო. ინგლისის მიზანია შეინარჩუნოს მთლიანად თურქეთი თუ არა აღმოსავლეთი ანატოლია მაინც სუსტ, ჩამორჩენილ მხარედ.

დასამალი არ არის, რომ ბრიტანეთს დიდი გავლენა აქვს ქურთთა მუშათა პარტიაზე, შეიძლება ითქვას საკუთარ კონტროლს ქვეშ ჰყავს იგი დაქვემდებარებული. ცნობილია, რომ ინგლისში არსებობს ქურთ ემიგრანტთა დიასპორა, რომელიც ოპოზიციურადაა განწყობილი როგორც თურქეთის, ისე ირანისა და ერაყის ხელისუფალთა წინააღმდეგ. დაიწყო თუ არა სააგპ-ის მთავარი ობიექტის, ათათურქის კაშხალის მშენებლობა, მეორე 1984 წელსვე, ქურთთა მუშათა პარტიამ წამოიწყო სამხედრო ოპერაციები, რომლებიც შემდეგ წლებში სულ უფრო გაფართოვდა. მშენებლობის ობიექტები ქმპ-ის თავდასხმების მთავარ სამიზნეებად იქცნენ. ქმპ-ს საერთაშორისო უმაღლესი პროტექტორი ლორდი ევბერი სააგპ-ის დაუფარავი მოწინააღმდეგეა. მარტში მან ღია წერილით მიმართა პრემიერ ტონი ბლერს სადაც ამტკიცებდა, რომ ილისუს კაშხლის მშენებლობა მდ. ტიგროსზე გენოციდს ნიშნავსო, რადგან იგი გამოიწვევს რამდენიმე ქურთული სოფლის მოსახლეობის გადასახლებას რეზერვუარს მიღმაო და ამ საბაბით მშენებლობის აკრძალვას ითხოვდა. ირგვლივ მცხოვრები ქურთული მოსახლეობისთვის, კაშხალის სამეურნეო-ეკონომიკურ სიკეთეზე კი სიტყვაც არ იყო თქმული. ჯერ კიდევ თავისუფლებაში მყოფი ლორდ ევბერის მთლიანად ეთანხმებოდა. ლონდონში განლაგებული ქმპ-ს სატელევიზიო მაუწყებლობა მედ-ტივით გამოსვლისას ორი წლის წინ ოჯალანმა განაცხადა: „იმედებს გამოთქვამენ სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონის ეკონომიკის გამოცოცხლების თაობაზე, მე კი ვაფრთხილებ ბიზნესმენთა ყველა წრეს, ვისაც ინტერესები აქვს ამ რეგიონში, - ჩვენი სამიზნე იქნება ეკონომიკა, სჯობია მათ თავი შეიკავონ სააგპ-ში ინვესტიციებისაგან". როგორც იტყვიან კომენტარი ზედმეტია. ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტის შედგენისას თურქეთის ხელისუფლება შეეცადა მილსადენი ტრასა მაქსიმალურად შორს, ჩრდილოეთით და დასავლეთით დაეჭირა ქურთი მოსახლეობით კომპაქტურად დასახლებული ოლქებიდან და მით უმეტეს საომარი შეჯახებების ეპიცენტრებიდან. რა თქმა უნდა ფინანსურად ხელსაყრელი იყო ტრასის საქართველოს საზღვრიდან პირდაპირ სწორხაზოვრივად ჯეიჰანზე გაყვანა, რაც ბევრად შეამოკლებდა ტრასის სიგრძეს და შესაბამისად მასზე გასაწევ ხარჯებსაც. მაგრამ მაშინ ტარასა გაივლიდა ქურთებით დასახლებულ რაიონებს, რაც თავის თავად მუდმივ საფრთხეს შეუქმნიდა მომავალში მის საიმედო ექსპლუატაციას. ახლა კი ნავთობსადენმა მრუდის სახე მიიღო. თუმცა არც ესაა საიმედო გამოსავალი, რადგან სადაც ტრასა გაივლის იმ რაიონებშიც მართალია არაკომპაქტურად, მაგრამ საკმაო რაოდენობით ცხოვრობენ ეთნიკური ქურთები, ქმპ-ს გარკვეული გავლენა აქვს ამ ხალხზე და ნებისმიერ დროს შეუძლიათ ტერორისტული აქტებისა და საბოტაჟის განხორციელება. ამის ნათელი მაგალითია ოჯალანის სასამართლო პროცესის შემდეგ რიგი ტერორისტული აქტების განხორციელება თურქეთის მსხვილ ქალაქებში, მათ შორის სტამბულში.

გასული წლის მარტის დამლევს თურქეთმა შექმნა საერთაშორისო კონსორციუმი ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობისათვის. მასში შევიდნენ აზერბაიჯანის, საქართველოს, ყაზახეთის სახელმწიფო საწარმოებისა და ხელისუფლების სტრუქტურების წარმომადგენლები, ასევე ამერიკული კომპანიების „ამოკის", „ექსონის", „მობილის" წარმომადგენლები და რაც ყველაზე პარადოქსულია ბრიტანულ-ჰოლანდიური კომპანიის „როიალ დატჩშელის" წარმომადგენლები. სწორედ ამ უკანასკნელი კომპანიის დაინტერესება და მონაწილეობა იწვევს გაოცებას ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენით, რადგან თუ ინგლისში არიან ნავთობსადენის გაყვანის მოწინააღმდეგე ძალები, რომლებზედაც უკვე ვისაუბრეთ, მაშ როგორ წარმოუდგენიათ ინგლისელ ნავთობ-ბიზნესმენებს ნავთობსადენში მონაწილეობა? ხომ ფაქტია, რომ მათ თავად ქვეყანაში ჰყავთ ძლიერი ოპოზიცია, უფრო სწორად მოწინააღმდეგები, რომლებიც ქმპ-ს და თურქეთში მის პოლიტიკას ეყრდნობიან და გარკვეულწილად განაპირობებენ კიდევაც. როგორც ჩანს ამ საკითხის მიმართ ინგლისს ორმაგი მიდგომა გააჩნია, რაც ცოტა არ იყოს საფუძვლიან გაკვირვებას იწვევს.

**გიორგი ბეჟუაშვილი.**

# ერთი სიუჟეტი დედაქალაქის [illegible]

## კორუფცია რკინიგზასა და პარლამენტში

კვირას, 5 სექტემბერს, დილის 8 საათსა და დაახლოებით 10 წუთზე, რკინიგზის სადგურში, ბილეთის სალაროსთან კენტად მდგომ მოქალაქეს უკან ამოვუდექი და ვკითხე, ბოლო იყო თუ არა. ერთი სიტყვით, რიგში ჩავდექი. - ქალბატონო, „იმერეთი" ხომაა დღეს?- ჰო აბა! - ფრანგი პატარძალივით, კორინა მალესავით, მომიგო მებილეთემ.

გავუწოდე 5-ლარიანი და ჯიბეში ხელი ჩავიყავ ათთეთრიანის მოსაჩხრეკად.- რა არის ეს? ხაშურში მიბრძანდებით?- ქუთაისში, ქალბატონო.- მერე ლარნახევარს მე დაგიმატებთ თუ რაფერაა თქვენი საქმე!- აკი 4 ლარი და 10 თეთრი ღირსო! ასე მომახსენა თქვენმა ცნობათა ბიურომ -99-47-60.- ეგ პლაცკარტის ფასია და არა -„კუპეიანის".- ჰოდა, იყოს პლაცკარტი . რა მეკუპეება ამ თაკარებაში!- სადაა, მერე, რომ იყოს! ეგ ვაგონი ჩახსნილია, რა ხანია!- მარტო ერთი ვაგონი იყო პლაცკარტი?- დიახ.- „მაგარი" ვაგონი თუა?- „მაგარი"! ეს ჩქარი „პოეზდია"!..- მერე რა!- მოქალაქევ გითხარით ჩახსნილია! მოვრჩით? ან დაამატეთ ფული, ან ესეც გამომართვით!

სადგურიდან გამოსულმა შემადგენლობას ჩავუარე. ერთ-ერთ ვაგონთან შევჩერდი. ახალგაზრდა, შავგვრემან ქალიშვილს (ასაკი მაქვს მხედველობაში!). ვაგონის გამცილებელს, ჩემი ვარამი გავანდე - 4 ლარის მეტი არა მაქვს და ხომ არ წამიყვანდით-მეთქი.

შორს დაიჭირა - ერთი ლარიც დაუმატეთ იმიტომ რო... ლარი მატარებლის უფროსს უნდა მივცე. ლარი ბრიგადირს, რევიზორ-კონტროლიორს და მე რაღა დამრჩება!..

ძვირფასო ბატონებო, დეპარტამენტის მესვეურნო! იქნებ დაინტერესდეთ და იკითხოთ: სად არის აქ კორუფცია?!

მოგახსენებთ.

ვთქვათ გატეხილად: მგზავრების აბსოლუტურ უმრავლესობას უჭირს! თითოეულ თეთრს მათთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. მიდის ვაგზალში იმ იმედით, რომ 4 ლარად წავა ქუთაისში, იქ კი „ახარებენ": 6 ლარი და 50 თეთრი დაყაჰეო! რა ქნას? იძულებული ხდება მივიდეს კუპეებიანი ვაგონის გამცილებელთან, აძლევს 5 ლარს და ჰაიდა! - ბიუჯეტში!

ჰოდა, არაა ეს მაფიოზურ-კორუფციული ქმედება სწორედ თქვენი მხრივ?

კომუნისტებს მეურნეობის დაგეგმვას ვუწუნებდით.

ახლა საზოგადოების მხოლოდ 10 პროცენტს აქვს ფული ბლომად, 80 პროცენტს - მინიმუმის მინიმუმი!

იაფფასიან ვაგონებს თქვენ მხოლოდ 10 პროცენტს „აფუნქციონირებთ", მთელს შემადგენლობაში ერთადერთი პლაცკარტი ვაგონი მხოლოდ 10 პროცენტიანი თუ იქნება! ხოლო ძვირადღირებული ვაგონების რაოდენობა 80 პროცენტს აღემატება!

პირიქით ხომ არ აჯობებდა?!

იქნებ გვიპასუხოთ!!!

იმედია, პარლამენტართა მცირე ნაწილი მაინც დაინტერესდება ამ პუბლიკაციის სათაურით და, ალბათ ერთი სული აქვთ გაიგონ - რომელ პარლამენტულ კორუფციაზეაო ლაპარაკი!

მოგახსენებთ.

8 სექტემბერს, ნაშუადღევს, პარლამენტმა წელის თრევით მიიღო გადაწყვეტილება, რათა კენჭისყრაზე დაეყენებინათ ბატონების: გურამ შარაძისა და მანუჩარ მაჩაიძის წინადადება - პარლამენტის ბოლო სხდომაზე დღის წესრიგში შეეტანათ ეროვნების რეკვიზიტის საკითხი.

ქალბატონ ლანა ღოღობერიძის (სიკეთილშვილი მაინც იყოს! რატომ ვერ უგუებია ასეთი კეთილშობილური გვარი?!) დიდი მცდელობის მიუხედავად, ეყარა კენჭი ამ საკითხის დღის წესრიგში შეტანას და... რასაკვირველია, გამართლდა შარაძისა და მაჩაიძის შიში: მომხრე აღმოჩნდა მხოლოდ 27 პარლამენტარი, წინააღმდეგი - 68!..

დემოკრატიულ ფასეულობებზე ეგზომ თავდადებული პარლამენტის ხელმძღვანელობის ხელდასმით, ალბათ გამოქვეყნდება პრესაში როგორც მომხრეთა, ასევე მოწინააღმდეგეთა გვარები.

მეორეც: კორუფცია, ამ შემთხვევაში, ფულის კეთებას როდი გულისხმობს! იგი კი ნიშნავს „თანამდებობის პირთა, პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეთა მოსყიდვას". მაგრამ თვით სიტყვა „მოსყიდვა" ყოველთვის როდი ხდება ხელის ჰუჰყით შიგადაშიგ იგი ხელის აწევაშიც გამოიხატება!..

და აი, 8 სექტემბერს, პარლამენტართა უმრავლესობამ (რასაკვირველია, წინასწარვე დამუშავებულმა!) პირნათლად შეასრულა მოსყიდველის (ვშიშობთ, მისი აღმატებულების, ბატონი პრეზიდენტის!) თხოვნა: საჯაროდ კი მოვითხოვ ეროვნების რეკვიზიტის აღდგენას, მაგრამ, სინამდვილეში, იცოდეთ წინააღმდეგი ვარო!

გეხსომებათ სეთური უკვდავი „დათა თუთაშხიადან": უკუღმაა ეს, ასინეთ უკუღმაა!..

**მამია უმამოშვილი,**
*საქართველოს მოქალაქე, მცხოვრები სასაქართველოს მოქალაქეშო.*

**დავით წიქარიშვილი:**

# ვინც მხარდაჭერას მოსახლეობის ღარიბ ფენებში ეძებს, ის ტირანიისაკენ ისწრაფვის...

მე-7 გვერდიდან.

შესახებ" რომელიც ალბათ სახელმწიფო სკოლების სტატუსს ასე თუ ისე, ჩამოაყალიბებს). და ბოლოს, სისტემის სტრუქტურის საკითხი.

ყოველივე ეს იმდენად ძნელად მოგვარებადია, რომ დანგრევისას დაშვებული შეცდომებით სარგებლობაც კი არაფერს არ გვაძლევს (დანგრევითაც უნიჭოდ დაანგრიეს). დამთანხმებით, ამ პრობლემებთან შეჭიდებაც კი ურთულესი ამოცანაა, ხოლო დაფინანსება, რომელმაც ეს პრობლემა უნდა მოაგვაროს, უკიდურესად შემცირებულია. შეიძლება ითქვას, რომ განათლების რეფორმა საქართველოში ძმაკაცობით მიმდინარეობს.

***- თქვენ ალბათ ძირითადი აქცენტის გაკეთება არაპროფესიონალებზე და მომჩივნებზე მოგიწევთ...***

- არავითარ შემთხვევაში. ჩვენ გვაქვს საქრესტომათიო მაგალითი - საკრებულოს არჩევნების დამთავრების შემდეგ განათლების განყოფილებებს, საქართველოს, სამინისტროსა და პარლამენტს საჩივრების ნიაღვარი მოაწყდა, უჩიოდნენ დირექტორებს, განყოფილების გამგეებს, თანამშრომლებს და მგონი, მეზობლებსაც. საერთოდ, საჩივარი გამონაკლის შემთხვევაში იწერება ხოლმე, და როცა ჩემთან გაჭირვებული და დამცირებული მასწავლებელი მოდიოდა, ყოველთვის ვფიქრობდი; ამ პიროვნებას რამხელა შინაგანი ბარიერის გადალახვამ მოუწია, სანამ ჩემამდე მოვიდოდა-მეთქი. დღეს ჩივილი გამონაკლისი კი არა, კანონზომიერება გახდა.

ჩვენთანაც მოდიან ასეთები - ზოგს ვიღაცის მოხსნა უნდა, ზოგს დაწინაურება და არავითარი მოტივი არ გააჩნია არც პირველ კატეგორიას და არც მეორეს. ჩვენ, რასაკვირველია, უარს ვეუბნებით დახმარებაზე იმ ხალხს, ვის მხარეზეც არ არის სიმართლე. ისინიც უარს ამბობენ ჩვენთან შეხვედრაზე, თითქოს ჩვენთვის დიდ პატივს წარმოადგენდეს პოტენციური პროვოკატორის ჩვენს რიგებში ყოფნა. პროფკავშირი არის ერთგვარი დაზღვევა; შეიძლება პიროვნებას ხუთი ათი წლის განმავლობაში ერთხელ

გაგრძელება მე-10 გვ

გაგრძელება დასაწყისი „საქართველო" №32

წარსულის ფურცლები

# 1924 წლის აგვისტოს აჯანყება

## ლეო რუხაძის დღიურებიდან

### 20 სექტემბერი

მოსკოვის და ტფილისის გაზეთებში მოთავსებულია „ამბობენ სავსებით" ნ. ჟორდანიას წერილი, რომელიც თითქო ბენია ჩხიკვიშვილს დაუჭირეს. ამ წერილიდან ეხლა ბევრი რამ ირკვევა. წინაალმდეგ პირველი ცნობისა ნოე გადაჭრით წინაალმდეგი ყოფილა მარტო საქართველოს მასშტაბით გამოსვლისა და უპირატესობას აძლევს ტაქტიკის შეხამებას ხანგრძლივ მუშაობაზე, რათა საქართველომ კურსი აიღოს რუსეთის საშინაო კრიზისზე და ამ კრიზისის დროს საბოლოოთ დაიძვრინოს თავი დამპყრობელთაგან. 1924 წელში მაინც ყველასათვის უდაო უნდა ყოფილიყო ეს აზრი. საბრალო ვალიკოს ჩეკაში დაწერილი წერილებიც ხომ ამას ამბობს. ამ გზაზე გადახვევამ ჩვენ დიდი დამარცხება განგვაცდევინა. საქართველო დიდი ხნით წელში გატეხეს და მას ბრძოლის უნარი წაართვეს. სისასტიკე, რომლითაც დაამარცხეს საქართველო, სპარსთა შემოსევას თუ შეედრება. დღესვეა მოთავსებული პიერ რენოდელის მშვენიერი, გრძნობით აღსავსე წერილი საქართველოს სოც. დემოკრატიისადმი. მოსკოვის „პრავდას" ერთ-ერთ წერილიდან ირკვევა, რომ მოსკოვის მთავრობას ნოე ჟორდანიადან დეპეშა მოსვლია: „შეაჩერეთ ომი და 1921 წ. 7 მაისის ზავის ნიადაგზე მოვილაპარაკოთ". ბონკურის გამოსვლით ერთა ლიგაში და ნოეს ამ დეპეშით მივიღეთ სრული სურათი იმ დაფასებისა, რომელიც პოვა ევროპაში რუსეთ-საქართველოს დამოუკიდებლობამ. მხოლოდ როგორც ომი, როგორც ორი სუვერენული სახელმწიფოს ერთმანეთთან საერთაშორისო ომი, შეიძლება დაფასდეს ოთხი უკანასკნელი წელი რუსეთ-საქართველოს დამოუკიდებლობისა. ამ ნათელ საქმეს თავიდანვე ბურუსში ხვევდა რუსეთი, მას სამოქალაქო ელფერს აძლევდა და რამოდენიმე დოზას კომუნისტურ-სოციალისტურ ელემენტებსაც უმატებდა. ეს იყო უხამსი საფანელი იმ ველური დამპყრობი საქმისა, რომელიც მან ჩაიდინა 1921 წ. დღეს რუსეთის ეს იმპერიალისტური ნასაქმარი გატიტვლებული სდგას კაცობრიობის წინაშე, ის ვერც მსოფლიო კომუნიზმის მყვირალა ფრაზებზე და რუსეთის უხვათ გალებულმა ხარჯებმა დაფარეს. ვინ იცის იქნებ ასეთ სასწაულსაც მოვესწროთ: რუსეთის კაპიტულაციის შემდეგ, იქნებ იმავე რუსეთს მოუხდეს რეპარაციების გადახდა მის მიერ დაპყრობილ და აკლებულ საქართველოს აღსადგენად...

### 21 სექტემბერი

ვანოსაგან ორი წერილი მივიღე. ორივე ძველია, ორი თვით ადრე წამოსული. ახალის არაფერი ვიცი. საერთოდ ჩვენი წერილების საქმე უხეიროთაა მოწყობილი. თვეში ერთხელ გვაძლევენ და ისიც ძველმოსულებს. ბევრი კი სრულიად დაიკარგა. ჩვენს გაგზავნილსაც ნაკლებად ღებულობენ. ამ საერთო არეულობაში კი, ეხლა სულ შეგვიწყდა წერილები. საერთო უბედურება ხომ თავზარს გვცემს, მაგრამ ყველა ჩვენგანს ხომ ყავს თავისი, საკუთარი, მშობლიური და ამ კატასტროფაში მათი ჯავრიც გვკლავს და გვდაგავს. ალბათ ჩვენი ნათესავები ჩვენებრ ტანჯვას განიცდიან ჩვენზე. მოუთმენლათ მოველოდით დღეს გაზეთებს, მაგრამ ვერ მივიღეთ. გაზეთი ერთადერთი საშვალებაა, მიუხედავად ეხლანდელ გაზეთების სიმახინჯისა, ჩვენს დასაწყნარებლათ და გაკვრით მაინც შესატყობათ იმ მდგომარეობისა, რომელსაც ეხლა განიცდის უბედური საქართველო.

### 23 სექტემბერი

დღევანდელი „კომუნისტით" გავიგეთ დაუპატიმრებიათ დავით ონიაშვილი. ამბობენ, რომ ეს უკანასკნელი წევრია ს.დ. არალეგალურ ცეკასიო. მისი განცხადება ჯერ არსად სჩანს. მიასნიკოვი რომელიღაც კრებაზე ამბობს, რომ „ონიაშვილი ისეა გაბრუებული მომხდარი ამბებით, რომ ხმა ვერ ამოვაღებინეთ და მისგან საერთოდ ძნელია რაიმეს გაგებაო". კარგია მაინც დაჩუმდებოდეს თუ გაბედულს და ღირსეულს ვერას იტყვის. დ. ონიაშვილი მე მიყვარს. ის სპეტაკი, გულწრფელი და იდეალისტი ქართველია. ახ... რაოდენ მწუხარებას, რაოდენ ტრაღედიას და სულის შფოთვას განიცდიდა ის ჩილებიან, ქედს იხრიან /ეს ჩვენი ისტორიული ხვედრია. ჯელალ ედინი მეტეხთან ქართველთაგან მოითხოვდა ჯვარზე მიფურთხებას და ქართველობის დატოვებას. ბევრმა გასწირა თავი, მაგრამ ერს უნდა მოენახა სხვა გამოსავალი და მან დამორჩილება ამჯობინა/, მაგრამ დ. ონიაშვილის განცხადება ჩემთვის განსაკუთრებული იქნება, ის თითქმის ყველა წარსულ ულირს განცხადებებს აიწონის, რადგან ის მინისტრია თავისუფალ საქართველოსი და ამასთან ერთად ონიაშვილს ვიცნობ მე როგორც შეყვარებულს, მგოსანივით შეყვარებულს საქართველოზე. და ასეთი სიყვარულის ღალატი ხომ ყოვლად უმდაბლესი საქმე იქნება...

მოსკოვის გაზეთებში მოთავსებულია ჩიჩერინის ინტერვიუ ერთა ლიგის დადგენილების შესახებ საქართველოს საკითხში, არავითარ სალანძღავს არ იშურებს პატივცემული კომისარი და რიხიანად აცხადებს, რომ ე.წ. ერთა ლიგა ტყვილა იწუხებს კაპიტალისტების სასარგებლოთ თავს, რადგან საქართველო ვინ არ იცის ნამდვილათ, დამოუკიდებელი სახელმწიფოაო. ასეთი რამ ხომ პირველათ არ გაგვიგონია მოსკოვიდან. ეხლანდელი რუსეთი თავის ისტორიულ მოვალეობათ სთვლის რომანოვთა რუსეთის გზა გააგრძელოს და რადგან ამ საქმეში „კომუნიზმსაც" იხმარიებს, ამისათვის საჭიროა ბევრი რამ, რასაც თვითონ აკეთებს არ დაინახოს და შავი თეთრათ გაასაღოს. როცა 1921 წ. ომი აგვიტეხეს, ყველაფერს ფიცულობდნენ, როგორ გეკადრებათ ეს ჩვენ არა ვართო. როცა დაგვიპყრეს და რუსის ჯარებმა აავსო საქართველო, თვით რუსის ჯარები საქართველოში სასაცილოთ გვიგდებდნენ, „როგორ წარმოიდგინეთ, რომ ჩვენ რუსები ვართ და დაგიპყარით, ამხანაგებო, აკი თქვენ აჯანყდითო". როცა შემდეგ საბუთებით მისჩიხეს მოსკოვი, „ბოდიში" მოიხადეს, „ღმერთო კი მომკალი, რა მომხდარაო" და განაცხადეს, რომ „ჩვენ, ღმერთმანი, არც კი გაგვიგია მაგ ამბავი, ეს თქვენ ქართველ კომუნისტებს გაუტყვილებიათ ჩვენი დივიზიებიო". შემდეგ, ეს ქართველი კომუნისტებიც გამოაძევეს საქართველოდან და ეხლა ჩიჩერინი ამტკიცებს და ამტკიცებს, რომ საქართველო თაისუფალია, ხოლო „საქართველოში" რაღაც ორი მილიონი ქართველი მენშევიკი, კონტრრევოლიუციონერი და თავდაზნაურობაა, და ამას ვებრძვითო". აბა ვინ არ დაუჯერებს ამ წმინდანს, მუსულმანურ მონათლულ წმინდანს, რომ საქართველო მართლაც თავისუფლდება ქართველებიდან...

დაპყრობილ და გაუბედურებულ საქართველოზე... არასოდეს, არასოდეს არ დამავიწყდება მისი ცრემლები, ის დასტიროდა ჩამობნელებულ და სხვის საჯიჯგნად გადაქცეულ საქართველოს. ბევრ რამეს შევეჩვიეთ, დღეს ბევრი ამხანაგის ულირსი განცხადება აღარც კი ხვდება გულს, თითქო ასეც უნდა იყვეს, თითქო მართალია ეს ხალხი, რომ თავს ირჩენენ და სიკვდილის წინაშე დამპყრობლებს ემორ-

### 24 სექტემბერი

სამი დღეა სერ. ილიას ძე ბერდიჩევსკიმ დაგვაწყებინა ინგლისურის სწავლა. ვის აქვს ამის ხასიათი და გულდადება დღეს, ჩვენი მწუხარების და ეროვნული აფორიაქების დროს, მაგრამ რითიმე მაინც უნდა შევეცადოთ დავაყუჩოთ ნერვიული განცდები და გაუმაგრდეთ იმ დიდ უბედურებას, რომელიც საქართველოს დაატყდა თავს.

ამბის მომტანი და გარედან მანუგეშებელი არავინ გვყავს, მართალს და სწორს ვერას გავიგებთ, აქედანაც უძლური ვართ რითიმე დავეხმაროთ სამშობლოს, შეგვიძლია მხოლოდ მწუხარება და ცრემლები, ცრემლები და მწუხარება... მერე რას შესძენს ეს საქართველოს... ისევ გული უნდა გავიმაგროთ, უნდა შევსძლოთ გადალახვა უფსკრულის და ჩვენ ხვედრს სრული შეგნებით, ეროვნული სიმართლით და მომავლისადმი რწმენით შევხვდეთ... ასე მასწავლის ჩემი გრიგოლი... რა გაეწყობა, შეუდგეთ სწავლას, მაგრამ რა მასწავლის, რა მაფიქრებს ინგლისურზე, როცა ძილშიდაც კი საქართველოში დაკლული ამხანაგები მიდგას წინ, კოშმარები სიზმრებათ მეხვევიან და მიაქვთ სული და გული, მწამლავენ და ძალას მაცლიან... ნიკო ყველაზე უფრო ნერვიულობს, მაგრამ მანაც კი მოკიდა ხელი ინგლისურს... ვნახოთ რა გამოვა.

### 25 სექტემბერი

დღეს მიღებული მოსკოვის გაზეთებში კიდევ არის ცნობები ერთა ლიგაში საქართველოს საკითხის გამო წარმოთქმულ სიტყვებზე. გამოსულა ბელგიის წარმომადგენელი, საქართველოსათვის კარგად ცნობილი, დე ბრუკერი. მას წარმოუთქვამს ვრცელი სიტყვა და დაუსვამს კითხვა, რომ საქმე გვაქვს ომთან ორ სახელმწიფოთა შორის და ერთა ლიგისათვის არ უნდა იყოს სხვა არჩევანი გარდა პატარა საქართველოს სასარგებლოთ გამოსარჩლებისა, რადგან ის დაპყრობილი და ოკუპაციაქმნილია რუსეთის მიერო. გაზეთის ცნობიდან სჩანს, რომ ბრუკერი სხვა დროსაც გამოსულა ერთა ლიგაში საქართველოს დამცველად. ერთა ლიგას შეუდგენია ამ სხდომაზე სპეციალური კომისია საქართველოს საკითხის შესასწავლათ და ზომების მისაღებათ. დიდის სიხარულით ვწერ მე ამ ცნობას და შეიძლება ოდესმე რომ ვინმემ წაიკითხოს, გაეცინოს კიდეც და სთქვას: „მე მამაცხონებულო, რათ გინდოდა ამის ასე დაწვრილებით ჩაწერა, ასეთი ამბავი ხომ მაინც მთელმა ქვეყანამ იცის და შენ მოგონებებში ქრონიკასავით რომ ჩაგაქვს, ნუთუ ფიქრობ, რომ შენზე უკეთ სხვას არ შეუძლია მოაგროვოს ასეთი ამბებიო". ასეთი საყვედური მე თითქო ყოველ დღე მომესმის და ვგრძნობ, რომ ეს მართალია, მაგრამ მეგობარო მკითხველო, მე ისეთ დროს და ისეთ პირობებში ვცხოვრობ, რომ ასეთი პატარა ცნობის გაგება გაზეთიდან მთელი ამბავია, ის თითქო ობოლი სხივია, რომელიც ზოგჯერ შემოანათებს ჩემს საკანში და რაღაც ზღაპრის მგზავს ამბავს მეტყვის. დანარჩენი კი მე თვით უნდა მივხვდე, საკუთარი მარჩიელობით უნდა გავიგო, სტრიქონებ შორის უნდა წავიკითხო. მე მარტო კი არ ვცხოვრობ ასეთ საკანში და სიბნელეში ეხლა, ასე ცხოვრობს მთელი ხალხი, რომელმაც მხოლოდ უნდა აქოს აქ არსებული და გაიგონოს ის, რასაც აქ ამბობენ, მართალი სიტყვა, ობიექტური დაფასება ჩვენთვის შორეულ წარსულის ლანდია და სიზმარში თუ ნახავს ვინმე, რომ აზრთა წინაალმდეგობა და სიტყვის თქმა ოდესმე ეღირსება ეხლანდელ თაობას...დიახ, აღარ მესმის მართალი სიტყვა და ვერც მე ვიტყვი მას, ან რათ მინდა, გიჟივით მარტო ჩემს თავს უნდა ველაპარაკო და ასეთ სიგიჟეთ ვთვლი კიდეც, რომ დღიურებს ვაწარმოებ, რადგან სულ ერთია რათ მინდა, მე არ გამყვება, ანდა მე ვერ გავყვები ციხიდან მას. ალბათ ეს სიტყვები ჩემთანვე მოკვდება. მაგრამ გულს ვიფხან, სულს ვიტყუებ, მინდა ვსძლიო ჯოჯოხეთს, მაგრამ ვაი თუ ამ ჯოჯოხეთში დავიღუპო... ამ ჯოჯოხეთით არის გამოწვეული სწორეთ ჩემი ალტაცებ[illegible] და უსაზღვრო ალტყინება ზოგჯერ, როდესაც მართალ სიტყვას და მოსარჩლის ხმას მოვკრავ ყურს. დღესაც ასეთი გადაჭარბებული ალტყინება გამოიწვია ჩემში მეგობრის შორიდან მოსულმა ერთმა ხმამ... მხოლოდ ხმამ, რადგან არავინ ისე არ გრძნობს იმ საშინელებას, როდესაც ადამიანი თითქო კვდება და სიკვდილის ჟამს კი მას არა თუ ნუგეში არ ესმის, პირიქით მხოლოდ ხარხარი და დაცინვა, ზიზღი და მტრობა ახვევია გარს... ასეთი სიკვდილი მართლაც სიკვდილია... ხოლო რა არის სიკვდილი მაშინ, როცა მეგობრები გვყავს და იცი, რომ შენი სიკვდილით ბრძოლა არ წაგებულა, შენი იდეა არ მომკვდარა, რომ შენს გზაზე იბრძვიან და კიდევ იბრძოდნენ მთელი ლეგიონები. ბრუკერის ხმა ჩემთვის დღეს დედის ალერსს წააგავდა, ის ისე გავიგონე თითქო ანთებით ვიყავი ავათ და შუბლზე დედის გრილი, სიყვარულის მოალერსე და ათრთოლებული ხელი ვიგრძენი... მით უმეტეს ბრუკერის ხმა, ბელგიელის ხმა, კულტურულ ევროპიელ სოციალისტის ხმა ნამდვილი ხმა, გულწრფელი ხმა, რადგან ის ბელგიელია და პატარა ერის შვილმა იცის როგორ უნდა სიყვარული დაჩაგრულ ერის შვილებისა... ჰო, მე მწამს, რომ ბრუკერს ისე უყვარს დღეს საქართველო, როგორც მე მიყვარს ის, რადგან ბრუკერმა იცის რა არის სამშობლოს დაკარგვა და მოქალაქის სამშობლოდან განდევნა... გული დაამდა, სულმა მეგობარი იგრძნო, მეგობრის ცხედრებს შორის თავს მადგია ჭირისუფალი და დედასავით მივლის. რა დიდი იმედია როცა ჩამობნელებულ ცაზე სადღაც ღრუბელი გაგჯება და სარკმლიდან სხივი შემოგეგებება. დღესაც ვხედავ ბრუკერს, ის თითქო ტფილისში დადის ეხლაც, ასე მყავს მე ის წარმომადგენელი, საქართველოს ბელგიელი სტუმარი მეგობრათ გავიცანი და ეხლა, მიჭირისუფლებს. მადლობა მინდა მე მას ვუთხრა, მაგრამ არა სიტყვით, არა წერილით, არა, ასეთი უბრალო მადლობა მე მისთვის არა მაქვს, ჩემი მადლობა საიდუმლოა, ისე როგორც საიდუმლოა ძლიერი სიყვარული, მასზედ არ ლაპარაკობენ, მას მხოლოდ გულში ინახავენ. ასეთი მადლობით მე დღემდე მხოლოდ ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი მიყვარდა საიდუმლოთ და უსიტყვოთ მიყვარდა... ასეთი სიყვარულით მე დღემდე მხოლოდ ჩვენი სილიბისტრო და ნოეს გაბრწყინებული სახე მიყვარდა.

დღიურები მოგვაწოდა ისტორიკოსმა გრიგოლ ზარქუამ

გაგრძელება იქნება



## სამაგიდო წიგნი

შეიძლება ასე ეწოდოს წიგნს, რომელიც გამოსცა ბატონმა გივი ბოჯგუამ - რაფინირებულმა ინტელიგენტმა, ქართული ენის სიწმინდისათვის მებრძოლმა პიროვნებამ, მშობლიური ენის შესანიშნავად მცოდნე კაცმა. ბ-ნი გივი გამომცემლობა „განათლების" მთავარი რედაქტორია და წლების მანძილზე ერთგულად ემსახურება ქართული წიგნის გამოცემის საქმეს.




„სწორად ვამბობთ და ვწერთ?!" - ასე ეწოდება წიგნს, რომელიც მართლაც რომ ფასდაუდებელ სამსახურს გაუწევს არა მხოლოდ სპეციალისტებს, ჟურნალისტებს, არამედ მკითხველთა ფართო წრესაც. დღეს, როცა ასე მომრავლდა ქართულ ენაში უცხოური სიტყვები, ტერმინები და უმოწყალოდ მახინჯდება ენა, ბ-ნი გივი ბოჯგუას ეს შესანიშნავი წიგნი მართლაც რომ სამაგიდო წიგნად უნდა იქცეს ყველასათვის - სტუდენტებისთვის, მასწავლებლებისთვის, ჟურნალისტებისთვის, ბიზნესმენისთვის და რიგითი მკითხველისთვისაც.

მადლობას მოვახსენებთ ბ-ნ გივის ამ უაღრესად საჭირო წიგნისათვის და ვუსურვებთ, რომ კვლავაც მუხლჩაუხრელად ეღვაწოს ქართული ენის სიწმინდის დაცვისათვის.

გაზეთ „საქართველოს" რედაქცია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ასე იყო, ასეა, კანონები ჯუნგლების!

მალე ცივი ზამთარი დაგვაწვება ლოდივით,
ისევ გავითანგებით გაზაფხულის ლოდინით,
კაშკაშა მზე ნელ-ნელა ლამპარივით ჩაქრება,
ივლისის და აგვისტოს ხვატი მოგვენატრება.
შემოდგომა იშხუვლებს ქარითა და თქეშებით,
ჩასაფრდება ზამთარი ლოლუების ეშვებით,
გაივსება თბილისის აივნები შეშებით,
სოციალურ შეგნებით წარსულისკენ ვეშვებით!
ოქტომბერში ახალი არჩევნების დღე გველის,
ელის ახალ მთავრობას ზოგიერთი რეგვენი,
პოლიტიკა არ მესმის, გულს ვიოხებ მწერლობით,
ვიცი, მოვა მთავრობა, ძველი შემადგენლობით.
ამიტომაც მე გირჩევთ, ფანტაზიას შეეშვით,
კალათებით, ზურგჩანთით, წადით უქმე დღეებში,
შვინდი, პანტა მოკრიფეთ ბუჩქნარში და ტყეებში,
„თავხედურად“ცხვირს ნუ ყოფთ მთავრობის საქმეებში.
იანვარი გვეწვევა გაყინული ბინებით,
კვლავ შევხვდებით ახალ წელს ლანძღვითა და გინებით,
ცივ ლოგინში ვიზამთრებთ პალტოთი და წინდებით,
გრიპით, რადიკულიტით, ხველებით და წვინტლებით,
შეწუხდება ქალაქი კვლავ ძუნძგლი ძაღლებით,
ხვადებით და ძუკნებით, ნაშიერთა თანხლებით,
გამდიდრდება ვიღაცა სახელმწიფოს თანხებით,
ჩვენ, ვატარით მარილი თირკმლებით და სახსრებით.
მოვა კვლავ გაზაფხული, წვიმებით და იებით,
მერე, ისევ ზაფხული, ბუზებით და ჭიებით,
სიცხისაგან დამწვარი მინდვრებით და ველებით,
გაზაფხულის-ზაფხულის პარლამენტის კრებებით,
პრეზიდენტის, მთავრობის, ფუჭი დაპირებებით,
ჩვენი კონსტიტუციის უმოქმედო „მცნებებით“,
10 წელი სრულდება სიცრუით ვიკვებებით!
დაჭქრის ცელქი ნიავი ჩვენში „თავისუფლების“,
ზოგს შიმშილი მობეზრდა, ზოგს სიუხვე სუფრების,
ქურდებს ლომის წილი აქვთ, პატიოსნებს კურდღლების,
ასე იყო, ასეა, კანონები ჯუნგლების!





სატირისა და იუმორის გვერდი

რუბრიკის მასპინძელია ნიკოლოზ იოსებიძე

## წკიპურტ - პანღურები

როცა კორუფციას ებრძვი,
საქმე არის დიდებული, თუ არ
ებრძვის კორუფციას
თვითონ კორუმპირებული

* * *

მამაკაცებს ძებნა უნდა,
როგორც ოქროს კარიერში.
დღეს თინათინს ვერ გაარჩევ
ფრიდონში და ტარიელში,

* * *

ხელი დაგვრია ხელმოკლეობამ,
ტყავი გაგვაძრეს ვაჭარ-
ჩარჩებმა,
ხვალ ჩემი ცოლი მარილს
იყიდის
და პურის ფული აღარ
დაგვრჩება.

* * *

ადამიანის ღირსების
აღარაფერი გვატყვია
ეს არის თავისუფლება
და სრული დემოკრატია.

* * *

დგას ვიღაც მკვლელი, ნაღდი
ნაძირალა
და მყრალი ენით აგინებს
ქართველს,
რბევით, კაცისკვლით, ძარცვით
დაიღალა
და მთელ ერს არქმევს საკუ-
თარ სახელს!

* * *

ყველას ყავს მისი შვილი თუ
გერი,
სისხლის მაგივრად რომ უჩქეფს
გესლი,
ვინ განასხვავა? - მტერია -
მტერი,
შვილია შენი, თუ უცხო
თესლი?!

* * *

ქართველს ზარმაცად
იხსენიებს ვიღაც ზარმაცი,
ვითომ, ზარმაცმა ააშენა
მცხეთა-არმაზი?!
პატრონზე გრემის, ქვათახევის,
გელათის, ზარზმის,
თუ შეიძლება იყოს კაცი ასეთი
აზრის?!

* * *

სიდუხჭირეს დღეს ნუ სწუხარ,
გწამდეს, გენიოსი თუ ხარ,
რომ მოკვდები, დამიჯერე,
ღმერთად შეგრაცხავენ მერე!

დავით წიქარიშვილი:

# ვინც მხარდაჭერას მოსახლეობის ღარიბ ფენებში ეძებს, ის ტირანიისაკენ ისწრაფვის...

მე-8 გვერდიდან.

დასჭირდეს პროფკავშირის დახმარება. შესაძლოა ყოველ კვირას დასჭირდეს - პროფკავშირი უარს ვერ უტყვის. პოლიკლინიკაში დაზღვევის თანხას ყოველთვე იხდი, მაგრამ არცერთი ჯანმრთელი ყოველდღე ექიმთან სიარულს არ დაიწყებს.

*- მუშაობისას რა პრობლემები გექმნებათ?*

- ძირითად პრობლემებს მაინც დირექტორები გვიქმნიან. ისინი ჩვენს ყოველ წევრში ინტრიგანს ხედავენ და ზურგს გვაქცევენ. მათ ოპოზიციონერობა აქვთ. თუმცა არიან ისეთებიც, რომლებიც ინტერესდებიან დასავლურ პრინციპებზე მოწყობილი პროფკავშირით და ხელს არ გვიშლიან. უმეტესობა ისე გაავლონებით გვებრძვის, როგორც კომკავშირის მდივნები და პარტკომები იბრძოდნენ ამ ათიოდე წლის წინ. (კომკავშირიდან გამოსვლა მაშინ დიდ გმირობად ითვლებოდა). ყველას მინდა შევახსენო, რომ კომპარტიის მაშინდელი და დღევანდელი მდგომარეობა საგრძნობლად განსხვავდება ერთმანეთისაგან.

ეს პროცესი პროფკავშირულ სისტემაშიც დაიწყო. თუმცა ჩვენ ერთი მხრივ უარეს სიტუაციაში ვართ, ვიდრე დისიდენტები იყვნენ. საქმე იმაშია, რომ ჩვენ მასწავლებლების ჩვენთან გაწევრიანება და ჩვენს გარშემო დარაზმვა კი არ მოგვეთხოვება, არამედ მათი საჭიროებების მიხედვით უნდა ჩამოვაყალიბოთ პირველადი ორგანიზაციები. ეს კი, ალბათ, დამეთანხმებით, ბევრად უფრო რთულია. ამ პრობლემებს მალევე მოვევლებით, თანაც საკმაოდ კანონიერი გზით.

*- ახალი პროფკავშირის შექმნა უშუალოდ არჩევნების წინ რომელიმე პარტიის მხარდაჭერას ხომ არ ისახავს მიზნად?*

- ჩვენმა ხელისუფლებამ იზრუნა იმაზე, რომ საბჭოური პროფკავშირების ალტერნატივას ამ არჩევნებში მონაწილეობა ვერ მიეღო. მართალია, კანონი პროფკავშირების შესახებ ადრევე იქნა მიღებული, მაგრამ კანონები „კოლექტიური ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების შესახებ“ და „კოლექტიური შრომითი დავის მოწესრიგების შესახებ“, ძალიან გვიან.

როგორც ჩანს, ხელისუფლება ცდილობს მასწავლებლები „ლეიბორისტებსა“ და „აღორძინებას“ მიაბას, რათა რეტროგრადულ და დესტრუქციულ ძალად წარმოაჩინოს და არჩევნების შემდეგ ადვილად გაუსწორდეს. (მასწავლებლების გიჟება ამ კუთხით დიდი ხანია მიმდინარეობს, თუმცა რეტროგრადობა და კონსერვატიზმი ერთმანეთისაგან მკვეთრად უნდა განასხვავონ ამ გეგმის ავტორებმა). ამ თამაშიდან ჩვენ აშკარად ამოვარდნილები ვართ და ალბათ, ამის გამოა, რომ პრესაც და ტელევიზიაც ცდილობს ჩვენს ბლოკირებას. თუმცა გვირჩევნია დღევანდელივით მასწავლებლების ბოიკოტი და არა მასწავლებელთა, ვიდრე პირიქით.

*- ე.ი. მოსალოდნელია მასწავლებლების ახალი შემცირება და შევიწროვება. პარტიები რა როლს ითამაშებენ ამ საქმეში?*

- ჯერ გაურკვეველია. თუმცა მინისტრი ცდილობს მასწავლებლებისათვის უკეთესი პირობების შექმნას, მაგრამ ეს იმდენ პრობლემასთან არის დაკავშირებული, რომ ამ საქმეს უფრო ყაჩაღი სჭირდება, ვიდრე ინტელიგენტი (თუმცა ყაჩაღს თავისი და თანაც დიდი მინუსები აქვს). რაც შეეხება პარტიებს, წინასაარჩევნო კამპანიის დროს რიგი პოლიტიკური ძალებისაგან უამრავი პოპულისტური სვლა თუ დაპირებაა მოსალოდნელი. ჩვენთან უამრავი ასეთი პარტიიდან მოდიან მხარდაჭერის თხოვნით, თუმცა ჩვენ დიდი გამოცდილება გვაქვს ასეთ ხალხთან ურთიერთობისა - ისეთ მოთხოვნებს ვაყენებთ, რომლის შესრულებაც მათ არ სურთ.

*- „ლეიბორისტული“ პარტია ისევ მასწავლებლებით აპირებს არჩევნების მოგებას? ადგილობრივი არჩევნების შედეგებით რომ ვიმსჯელოთ, ისინი თითქოს საშიშ ძალას წარმოადგენენ.*

- არც საშიშ, და თქვენ წარმოიდგინეთ, აღარც ანგარიშგასაწევ ძალას აღარ წარმოადგენენ. დასავლეთში მიღებულია, რომ საკანონმდებლო არჩევნებში დამარცხებული, ან დასამარცხებლად განწირული პარტიები ადგილობრივ არჩევნებში ხელს აღარ უშლიან. ბოლოსდაბოლოს, თუ ერთი პარტიის ხელში იქნება თავმოყრილი ადგილობრივი, ცენტრალური საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება, ფაქტობრივად ტოტალიტარიზმი იქნება და არა დემოკრატია, ასე რომ, ადგილობრივი არჩევნების შედეგებით მსჯელობას და პროგნოზების კეთებას არავითარი აზრი არა აქვს - რეალურ ძალთა თანაფარდობას დღესათვის სხვა ფაქტორები განსაზღვრავს.

„ლეიბორისტებთან“ დაკავშირებით ერთი საინტერესო რამ მინდა აღვნიშნო - ეს პარტია, მართალია, გვიან შეიქმნა, მაგრამ გაცილებით ადრე დაბერდა, ვიდრე, დავუშვათ, იგივე მოქკავშირი. დღეს ამ პარტიას ახალი წევრების არც დასაქმების და არც მოთუმეტეს, წარმოჩინების უნარი არა აქვს. მმართველი აპარატი შევსებულია და თანაც პარტიის ლიკვიდაციამდე ასე დარჩება (ახალი წევრები კი არა, ძველები გაურბიან). „ლეიბორისტებმა“ აქცენტი ჩამოყალიბებულ კადრებზე გააკეთეს, არ შექმნეს ძალების გამზრდელი ინსტიტუტი, და ამით თვითონ მოისპეს სისხლის გადასხმის საშუალება. პარტიის დაბერებაში გარკვეული როლი ე.წ. „სოციალურად დაუცველი ფენის ინტერესებმაც“ ითამაშა (ამ ფენის უმეტესობას, მოგეხსენებათ, 60 წელს გადაცილებული მოსახლეობა შეადგენს). სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია: ძველმა ბერძნებმა კარგად იცოდნენ, რომ ვინც მხარდაჭერას მოსახლეობის ღარიბ ფენებში ეძებს, იგი ტირანიისაკენ ისწრაფვის. ეს ბრალდება დღეს არც ერთი იმ პარტიისა თუ პოლიტიკოსის მისამართით არ გაისმის, რომლებიც ღარიბი ფენების ხმებს ეძებენ. ჩვენში, როგორც ჩანს, პოლიტიკური კულტურის საკითხები ჯერ კიდევ ჯეროვნად მოიკოჭლებს.

ესაუბრა ნათია ჯანტურია.

*ამ რამოდენიმე წლის წინ, კურიოზების სერიალს რომ ვიწყებდი, პირველი რესპოდენტი სწორედ ბატონი ავთო მიქაძე გახლდათ. მას კურიოზების მთელი კასკადი აქვს, სიამოვნებით ვესაუბრები ავთოს, რომელიც ახალი „პროგრამით“ მინდა წარვუდგინო მკითხველს.(მურმან მერკვილიშვილი)*








## მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობი ავთო მიქაძე, ესაუბრა მურმან მერკვილიშვილი

### მე და ინსპექტორი

მშობლიურ იმერეთში გახლდით. ახლობელ-ნათესავები მოვინახულე, თითქმის 5 დღე სულ ქეიფსა და შენი ჭირიმე, შენ გენაცვალეში გავატარე.

ორშაბათ დილით ჩემი მანქანა მძიმედ დაიძრა დედაქალაქის მიმართულებით.

თავი მისკდება. არაა ადვილი, ხუთი დღე და ღამე გადაბმული ქეიფი.

შუაგულ ქუთაისში ჩამისტვინეს. პახმელიაზე კი ვიყავი, მაგრამ მაინც ადვილად მივხვდი, რომ ფეხბურთელი მე არ ვიყავი და ამდენად - მსაჯი არ ჩამისტვენდა...

დიახ, ინსპექტორი გახლდათ. მანქანა გავაჩერე და - აუჰ, ავთო, შენ ხარ, ბიჭო? - შენი ჭირიმე, ეს რა დღე გამითენდა... ჩემი ყოფილი თანაკლასელი ჯემალ ხუჭუა არ ამოჩნდა?

-არსად არ გაგიშვებ, ავთო, აგერ კიკილიას რესტორანში თითო ხაში ვდღლიზოთ, მეც პახმელიაზე ვარო...

- აპაპაპა, რას ლაპარაკობ, თუ ძმა ხარ, გზაზე ვდგევარ, ახლა, რესტორანში, სულ რომ არაფერი დავლიოთ, მარტო რესტორნის სუნისთვის დამაჯარიმებენ შენი კოლეგები - ვცადე თავის დაცვა.

- ვინ გაგიბედავს... ჩემი სახელი უხსენე... სულ ყურებს დავაძრობ, რომელიმემ რომ შეგაწუხოსო. ქუთაისელ ინსპექტორს ასე ადვილად ვინ დაუძვრება ხელიდან?

ხაშმა კარგ ხასიათზე დამაყენა. ჭუკჭუკ-ჭუკჭუკში ორი ბოთლი „სტალინიც“ შემოგვეხარჯა.

შესანიშნავ ხასიათზე დავდექი. გაინსპექტორებულ კლასელს გამოვემშვიდობე.

-მეიცა, სად მიდიხარ, ა, შენ 100 ლარი ჩემს სახელზე თბილისში მეგობრებთან დახარჯე, ოღონდ ჩემი სადღეგრძელო დიდი ჭიქით დალიეთო - ძალისძალით და ჭიდავ-ჭიდავით ჩამიჩურთა ჯიბეში.

- იყოს მაშინ ვალად - მეთქი და დავყაბულდი.

-ავთო! - რომ დავქოქე, მანქანა - მეუბნება: ეს „ჟუვაჩკა“ ღეჭე, თბილისამდე პირიდან არ გამოაგდო - დაგიცავს ინსპექციის შემოტევისგანო და ... დავიძარი.

მშვიდობინად გავცდი ზესტაფონს, სურამს, ხაშურს და იგოეთთან ნაცნობი სტვენა „გასკდა“ ჩემს ყურში. გავჩერდი და მანქანიდან გადმოვედი.

ეს სულ სხვანაირი ინსპექტორი გამოდგა. არც ხაშზე მეპატიჟება, არც „სტალინზე“.

- გაბმულხარ ჩიტო მახეში - ჩაიღიღინა და საბუთები მომთხოვა. რავარი ჩიტი ვარ, შენ ჯერ არ იცი - მეთქი, გავიფიქრე და საბუთები მძიმედ ამოვიღე ჯიბიდან. ის ნაჩუქარი 5 ცალი 20 ლარიანი საბუთებთან ერთად მედო, ერთ ოცლარიანს „შემთხვევით“ ხელი გავკარი.

ბანკნოტი ხმელი ფოთოლივით დაფარფატდა ასფალტზე. იმ მამაძაღლმა ინსპექტორმა ისე, რომ მე „არ გამიგია“ უშველებელი ჩექმიანი ფეხი დააფარა ზემოდან და გაიყინა იმ ადგილზე.

„ხომ მიგაბი ერთ წერტილზე“, ვფიქრობ გუნებაში.

ინსპექტორმა საბუთები სასწრაფოდ „შეამოწმა“

- აა, ავთო მიქაძე ... კარგია ... კარგი. დემური მიქაძის ნათესავი არაა? - მეკითხება.

- კი ბატონო. ფულზე გიდგას ფეხი, თვარა დემურისაც არ გაახსენდებოდა, დარწმუნებული ვარ.- აბა, კეთილი მგზავრობა. სასწრაფოდ დახურა საბუთები, „ჩესტიც“ ამილო იმ ყურუმსალმა - თავისუფალი ბრძანდებით.

- როგორ! - სულ არ მაჯარიმებთ, ბატონო (მილიტინებს სამელი თავში)

-არა, არა... მიბრძანდით... უთავისუფლესო...

-აპა, რატომ გამაჩერე?

-ხდება ხოლმე, ავთო ბატონო, შევცდი...

-მოიცა. სულ არ მაჯარიმებს სულ პატარათი მაინც?

-რა თქმა უნდა, არა. არაფერი დაგიშავებია და...ყაჩაღი კი არა ვარო - არ იცვლის ფეხს ადგილიდან.

-ე.ი. თავისუფალი ვარ? - შევინახე საბუთები.

- რა თქმა უნდა, - ერთი სული აქვს, როდის წავალ.

- მადლობთ, მაგრამ მარჯვენა ფეხი აიღეთ, მგონი ოცლარიანი შეგისრიალდა ფეხქვეშ-მეთქი.

გაშრა, მაგრამ რას იზამდა - ავიღე ჩემი „მახე“

-კიდო ჩამივარდები... მომაყოლა და გამონაბოლქვი კვამლი ხელისქნევით გაფანტა...

### ძინალამ გამალოთა

ის პერიოდია, პური რომ ჭირდა. 4-5 ადამიანი ვართ სახლში და ყველას ჩვენ-ჩვენი ოჯახური ფუნქციები გვაქვს განაწილებული. მე, მაგალითად, ყველაზე მძიმე მისია დამაკისრეს: პურის მოტანა ყოველ დილით (3-4ცალი), რავარი საქმეა?

ავდექი ერთ დილას სისხამზე, დავავლე ცელოფნის პარკს ხელი და წავლასლასდი პურის საყიდლად.

შორიდანვე წარმუკვეთა სასო. ერთი - 50 კაცი და ქალი დგას რიგში. დავუდექი მეც უკან რიგს. პურის მაღაზია ხუთსართულიანი სახლის პირველ სართულზეა. ვდგავარ და რაღაც სისინის ხმა მომესმა ზემოდან. სანამ დავაფიქსირებდი, რა მოხდა, ორლიტრიანი ტევადობის ყვავილების ქოთანი მომხვდა მხარზე და ჩემს ფეხებთან დაიმსხვრა. ტკენით არ მტკენია, უფრო იმის გაფიქრებამ შემაშინა, რა მოხდებოდა, თავში რომ დამცემოდა .

რაც მოხდებოდა ამ შემთხვევაში, მე ველარ გეტყოდი, მურმან, მაგრამ გადავრჩი.

ავიხედეთ მაღლა. 45-50 წლის ქალი გადმოკიდებულა მესამე სართულიდან და ზემოდან მებოდიშება, გადმომივარდა, გვაპატიეთო.

როგორც დაზარალებული, ურიგოდ გამიშვეს და ჩავდე ცელოფანში 5 პური. რომ უნდა წავიდე სახლისაკენ, გვერდით ასე 50-52 წლის, ადრიანად გამელოტებული შეშინებულსიფათიანი კაცი ამომიდგა.

-სახელი მითხარით თქვენი, თუ შეიძლება (აქცენტზე ვატყობ მეგრელია).

-ავთო, ავთანდილი...

-ძალიან კარგი, ჩემო ავთოავთანდილ. მე კარბუხტი ვარ, ხუჭუა დაახლოებით.

-სასიამოვნოა, ჩემო ბატონო.

-ახლა, ჩვენ რომ და ხომ გავიცანით ერთმანეთი, ხო და.. რაღა დაგიმალო, ჩემო ავთოავთანდილ და ის ქოთანი რომ გადმოვარდა... გარშოკი... მაგი ჩემი ცოლის მიერ გადმოვარდა დაახლოებით.

-ხდება ... გავიღიმე და წასვლა დავაპირე.

-აპა, თქვენი წასვლა როგორ იქნება, ჩემო ავთოავთანდილო...რა გრძელი სახელი გაქვს, პროსტო - ავთოს დაგიძახებ შემოკლებით, თუ არ გეწყინება, რა თქმა უნდა.

-კი ბატონო.

-ახლა რომ თქვენ ჩემთან არ ამობრძანდეთ, აქვე ახლოს ვცხოვრობ, მესამე სართულზე - ორი წუთის საქმეა, ფეხით თუ წავალთ, ჩემს როზას გაეხარდება... სულ 15 წუთი უნდა ამოხვიდეთ, ახლა არ მაწყენიო თუ ძმა ხარ. (შევყევი)

-ა, ის კაცია ეს ... კინალამ რომ შემოგეკლა ქალო წეხან...

-მობრძანდით, ბატონო - დაიშაქრა როზაც.

-გამოიტანე ჩქარა, გამოყარე რაც გვაქვს. უნდა დავლოცო ეს კაცი.

-კაცო, ლობიო გვაქვს და... დაიმტვრია თითები ქალმა.

-რაა მერე?.. რა, ლობიო ცუდია? - ერთი კვირაა, მაგას ვჭამთ და ვერ დამთავრდა .. ბარაქა აქვს მაგას ... ბარაქა.

სუფრა ხელად „გალობიოვდა“.

-ოცლიტრიანი მაქვს სავსე... შენთვის ვინახავდი. ცოტა კია მოძმარებული, მაგრამ წავა, პური არ გვაქვს, ამოიღე შენი პური.

სამი ჭიქა ადვილად დაიცალა. მასპინძელს ლაპარაკის საღერღელი აეშალა.

-ჩემო ავთო ... თუ იცი რამხელა შარს ამაშორე ახლა შენ მე ამ დილასისხამზე?!

-რამხელას? - ავყევი.

-ოოო, ძალიან დიდს, წარმოიდგინე ახლა შენ, რომ დაგცემოდა ის ქოთანი თავში, შენ მისი გამძლები არ ჩანხარ და გაასარსალებდი ფეხებს.

-კი, მასეა...

-მერე... მერე იქნებოდა ის, რომ ჩემს როზას დაიჭერდნენ მილიციაში. მილიციაში მტერი მოხვდეს. რა ტრაგედიაა ის მილიცია იცი? იქნებოდა როზა მილიციაში - დაჭერილიანებული.

-ჰოო... ვჩქარობ მე...

-მერე მაგას რა მოყვებოდა. მოყვებოდა ის, რომ მე ხომ „პერედაჩები“ უნდა მიმეტანა როზასთვის, მაგალითად?

-კარგი ერთი - დავიუხერხულე.

-ხო, ..ხო მასეა მაგ, მერე იქნებოდეს იქნება, მილიციას ეთქვა „პერედაჩას“ არ გავატარებო. მე ფიცხი კაცი ვარ, ამას ვერაფრით ავიტანდი და ვრეხვავდი იმ მილიციელს თავში იმ „პერედაჩს“, მომსვამდნენ მეც როზას გვერდით და დაიქცეოდა ოჯახი სულმთლიანად. ტიტუუუ...

იქნებოდა 2 საათი, ახალგაცნობილ მასპინძლებს რომ გამოვემშვიდობე და ბანცალ-ბანცალით ჩავათავე კიბეები.

მეორე დღეს, ისევ დამხვდა კარბუხტი.

-რასაა, რომ უარობ ავთოავთანდილო პურები აღებული გაქვს და ახლა რომ არ ავიდეთ ჩემთან, როზა გადამერევა. ლობიო ისევ გვაქვს ჯერ და ის ღვინოც კიდო.

ახლა 3 საათამდე გაგრძელდა ჩემი ვიზიტი, ორი პური მოაცილა ჩემს ცელოფანს.

მესამე დღესაც ასე... უკვე 4-ის ნაცვლად 6 პურს ვიღებდი.

ის დალოცვილი ლობიოც გაჯიუტდა. არ იქნა და არ გათავდა. ღვინო იყო და იყო.

მეხუთე დღეს - ველარ მოვითმინე

-კარგი ახლა, კარბუხტი, უხერხულია...

-აა, შენ შემოგევლე ... რაა უხერხული წამოდი, როზა გადამერევა.

-ლობიო კიდევ გაქვთ? - ამოვიოხრე.

-მოვხარშავ კიდო... შენ ნუ გეშინია - დამაიმედა.

-გაგისკდეთ მუცელი - მომესმა ცოლქმრის შეწყობილი ცოტა ხმამაღალი საუბარი სამზარეულოდან. გალოთდი შენც და გაალოთე ის პატიოსანი კაცი. რას კლავ ამ ძმრიანი ღვინით და ლობიოთი... დაცემოდა ის ქოთანი კინკრიხოში, ისიც მოისვენებდა და ჩვენც - ქოთქოთებდა მდედრი.

-დიახ! ტუტუცი დედაკაცი რომაა, ის ხარ, ქალო, შენ - ხმამაღლაა „ჩურჩულებდა კაცი - კარბუხტი. გაჩუმდი, ქალო, რა იცი ცხოვრება შენ. რა ჯანდაბად გვინდოდა იმდენი ლობიო, რომ ჩაადგამ ხოლმე გულხარბად. ის ღვინოც გაფუჭდებოდა. სამაგიეროდ კაცს ყოველდღე ორ-ორი პური მოაქვს: რიგში აილებ შენ მაგ პურს?

მივხვდი, რომ ჩემი ქელეხი „ლობიოღვინით“ კაცმა პირნათლად გადაიხადა...

-ახლა სხვა პურის მაღაზიაში დავდივარ...

***...ავთო ინსპექტორებში, ეტყობა, გიმართლებს ხომ არ გაიხსენებ კიდევ რამეს ამ თემაზე?(მ.მ.)***

სულ მაგ პრობლემა მაქვს, მურმან. არ ვაწყენთ ერთმანეთს.

... ერთი დილაა, თეატრში მივედი, რეპეტიციაზე. მანქანა გავაჩერე თეატრის წინ, დავკეტე და მეგობარიც მომესალმა. გადავეხვიეთ დიდი ხნის უნახავები და იქვე, ტროტუარზე გაჩერებულ „გაზ-24“-ს მივეყუდე... ვსაუბრობთ, მოვარდა ინსპექტორი:

-რატომ დგას აქ მანქანა? თქვენი საბუთები! – მომმართა მკაცრად.

-არ მაქვს თან... სახლში დამრჩა, მეთქი - ამოვიოხრე.

-დაგრჩა არა? მაშინ ნომერს მოვხსნი...

-კი ბატონო - „მივეცი უფლება“.

იწვალა ასე - ნახევარი საათი, ძლივს ახსნა წინა ნომერი

-ახლა რა გამოვიდა... უკანა ნომრით ვერ ვივლი - მეთქი?

-უხხხ - გადაირია და ახლა მანქანის უკან ჩაიჩოქა. 1 საათი უკანა ნომრის მოხსნას მოანდომა.

-რაა, კაცო, ეს... არასდროს მოგიხსნია ეს ნომრები? - რამ, რა ეშმაკმა ჩაქანგა ასე?

-რა ვიცი - ვთქვი და გვერდზე გავიხედე

-ახლა, ამ ნომრებს მე წავიღებ და მოაკითხავთ იქ. დანარჩენი იქ ვილაპარაკოთ.

-რატომ მოვაკითხავ? - გამიკვირდა.

-აბა ნომრები არ გინდა?

-ეს ჩემი მანქანა არაა...

-რააა! - გაგიჟდა ინსპექტორი და გივი ბერიკაშვილიც გამორბის.

-რასა შვრები, კაცო, შენა? - შეუტია ინსპექტორს. რას ხსნი მაგ ნომრებსა?!

-ვაა, მიტუა... ლონდრეეე! - დაქაჩა თვალები ინსპექტორმა, – შენი მაშინაა - ჯო?

-მა ვისია?!! მაიტა ნომრები აქა!!! – წაგლიჯა ხელიდან

-ოხ, მე ამას რა ვუთხრა... გადმომხედა და „მოხია“ ...იცნობენ გივის...

***კურიოზებისთვის მუდამ მზადმყოფ ავთოს დროებით ვეთხოვები იმედით, რომ მალე კიდევ ვისაუბრებთ.***

***ეს იყო - ჯერჯერობით.***

# აბრეშუმის გზა 1999

## *ქ. თბილისში ჩატარდა ტექსტილის მეორე საერთაშორისო სიმპოზიუმი „კავკასიური ტექსტილის გზები“*

პროგრამა იყო მეტად დატვირთული და საინტერესო. გ. ჩიტაიას სახელობის მუზეუმში ღია ცის ქვეშ ორი დღის განმავლობაში სხვადასხვა ქვეყნის მხატვრებმა უჩვენეს თავისი ხელოვნება თექის სახეობაში, სადაც მონაწილეობა სამხატვრო აკადემიის სტუდენტებმაც მიიღეს. საინტერესო იყო ჩვენთვის თექის ახალი სახეობის გაცნობა, რომელიც შემოგვთავაზეს სტუმრებმა აზერბაიჯანის და ქაზახეთის, ასევე მოთელვის საშუალებით მხატვრული ნაკეთობის შექმნა.

თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სამხატვრო აკადემიაში 15 სექტემბერს მოეწყო სიმპოზიუმში მონაწილე უცხოელი მხატვრების ნამუშევრების სლაიდების ჩვენება, რამაც დიდი ინტერესი გამოიწვია. სლაიდების დემონსტრირებას თან ახლდა ავტორების საინტერესო კომენტარები, მათი შეხედულება ამ დარგის მომავალზე, მის შესაძლებლობაზე, დიაპაზონზე. თითოეულ ნამუშევარში ჩანდა მათი ღრმა, გააზრებული მიდგომა, შინაგანი ემოცია, განცდა, რისი საშუალებითაც ისინი არა როგორც მხატვრები, არამედ როგორც პიროვნებებიც შევიცანით. თითოეულ მხატვარს გამოარჩევდა საკუთარი ხედვა, საკუთარი ხელწერა, რამაც წარმოაჩინა ამ დარგის მრავალფეროვნება, ამ დარგის შესაძლებლობანი.

წარმოდგენილი იყო მოცულობითი თემა, პანოები, სივრცობრივი კომპოზიციები, სამოსი.

16 სექტემბერს კი სამხატვრო აკადემიაში ჩატარდა საინტერესო შეხვედრა, რომელიც მიეძღვნა ხელოვნების სწავლების მეთოდიკას. დიდი ყურადღებით მოისმინეს კათედრის პროფესორის გივი ყანდარელის ვრცელი ინფორმაცია ქსოვილების კათედრის ისტორიაზე, იქ არსებული სწავლების მეთოდიკაზე, მიღწეულ შედეგებზე, მომავლის გეგმებზე. სწავლების თემაზე ისაუბრეს ჩამოსულმა მხატვრებმაც - ამერიკელმა პატრიცია სკარტიმ, მარიამ მილგრამმა. მათ გაგვაცნეს სწავლების რა სტრუქტურაა მათთან. ასევე თავისი მეთოდიკა გაგვიზიარა სტუმარმა ჩინეთიდან. უნგრელმა სპეციალისტმა მარი ნაჯე იშტვან ვიდაკიმ და სხვებმა. შემდეგ ყველამ გადაინაცვლა აკადემიის საგამოფენო დარბაზში, სადაც გამოფენილი იყო ქსოვილების კათედრის სტუდენტების საკურსო და სადიპლომო ნამუშევრები (კათედრის გამგე ბატონი თამაზ ნუცუბიძე).

გამოფენაზე წარმოდგენილი ნამუშევრები შესრულებული იყო ტექსტილის რამოდენიმე სახეობაში: ქსოვა, გობელენი, ხალიჩა, ფარდაგი (პედაგოგები: პროფესორი გივი ყანდარელი. დოცენტი თამაზ ნუცუბიძე, დოცენტი ალექსი მაზანაშვილი, დოცენტი ეთერ ანდრონიკაშვილი, ჯემალ კაკულია და სხვები. ასევე წარმოდგენილი იყო ქსოვილების ხელით მოხატვა. (ცხელი და ცივი ბატიკა, თავისუფალი ბატიკა), რომელსაც ხელმძღვანელობს პროფესორი. მედეა ჩიხლაძე. აქვე არის წარმოდგენილი მოცულობითი ქსოვილი. რომელიც მიყავს თინა კლდიაშვილს.

სიმპოზიუმის მონაწილე მხატვრებმა ერთხმად აღნიშნეს აკადემიის სტუდენტთა ნამუშევრების მაღალმხატვრული დონე. მრავალფეროვნება, თავისუფალი აზროვნება, ფერის ღრმა გრძნობა. მწყობრი კომპოზიციური აზროვნება. ეროვნული თვითმყოფადობა. აკადემიის რექტორმა ბ-მა სოსო ჭიაბრიშვილმა შეხვედრა მოუწყო ჩამოსულ სტუმრებს და მადლობა გადაუხადა მათ ასეთი ერთობლივი თანამშრომლობისთვის. უსურვა, რომ პირველი არ ყოფილიყოს მათი საქმიანი დამოკიდებულება ქართველ კოლეგებთან.

**ზაირა სვიმონიშვილი**

# სკანვორდი



სიკვდილის წინამდგომარეობა (6)

არომატული ტროპიკული მცენარე (6)

ძველებური სამკურნალო წიგნი (10)

...ტიური მიმართვა ერთმანეთთან (4)

წარმატების მომტანი ჯადო (7)

უძველესი ქალაქი-სახელმწიფო ჩრდ. აფრიკაში (9)

ალმოსავლური ბრძოლის სახეობა (6)

კონტინენტი (6)

მომღერალი ... პუგაჩოვა (3)

ყირიმის ძველი სახელწოდება (6)

მოქმედი ვულკანი სიცილიაზე (4)

მწერალი ვალტერ ... (5)

მომღერალი რაფაელა ...(4)

პროსპექტი მოსკოვში (6)

პირიდან გამონადენი ნერწყვი (6)

საფოსტო მარკების კოლექციონერობა (9)

მაგარი ბოლოში წაწვეტებული ხარის წანაზარდი (3)

ნავარდი ანუ ... (6)

სხეენის მაგვარი შენობა სახლის სახურავზე (8)

ტროპიკული მცენარე (6)

მომღერალი ... ბრეგვაძე (4)





ვულოცავთ ჩვენს მეგობარს და კოლეგას, მომხიბვლელ ქალბატონს, კეთილ მრჩეველს, მეტად გულისხმიერ და უანგარო ადამიანს **ქეთი ჩაღუნელს** დაბადების დღეს.

ქეთი! საყვარელო, უცნაურად მგრძნობიარე და პოეტურო, გისურვებთ ულევ სიხარულს, ქალურ ბედნიერებას... გიძღვნით შესაფერის სიტყვებს:

„შენ უნდა ცისფერ ღრუბლებთან იწვე“...

გკოცნით

შენი მეგობრები გაზეთ „საქართველოდან“.

## ცოტნე ჯანელიძეს

ჩვენო საყვარელო ცოტნე, გილოცავთ დაბადების დღეს და ახალი სასწავლო წლის დაწყებას. გისურვებთ ჯანმრთელობას და ხუთებზე სწავლას, გაზრდილიყავ ვაჟკაცურად და გვეამაყოს შენით. წმინდა გიორგის მადლი გფარავდეს.

მუდამ შენი კარგის მსურველი ბებია და ბაბუა

ბულნაზი და ვალოდია ჯანელიძეები.


## განიკურნეთ ბუნებრივი საშუალებებით

ხალხური მედიცინის საშუალებით ვმკურნალობ შემდეგ დაავადებებს: ფსორიაზს, დიაბეტს, საშვილოსნოს ეროზიას, კუჭის წყლულს, ამენორეას, შიდა ქალის წნევას, ჰიპერტონიას, სკლეროზს, თირკმელებს, ასთმას, ცისტიტს, ეგზემას, რევმატიზმს, პროსტატის, სოკოვან დაავადებებს, ტუბერკულოზს, თმის ცვენას, სმენის დაქვეითებას, პლევრიტს, სიყვითლეს, კლიმაქსს, ნერვიოზს, ეპილეფსიას, თავის ტკივილებს, გაიმორიტს, უშვილობას, ჩიყვს, ბუასილს, და სხვა. მკურნალობა მხოლოდ ბალახებით, ეფექტი გარანტირებულია.

დაგვიკავშირდით ტელეფონით: 66-9-65-12. ნანა


**მარიკა მარინაშვილს**

დედა, გილოცავ დაბადების დღეს, დაესწარი მრავალს იაკოსთან ერთად. გისურვებ ჯანმრთელობას.

შენი იაკო


ექიმი - კოსმეტოლოგი იზო ჯღამაძე მცენარეული პრეპარატებით მორჩენის 100 პროცენტიანი გარანტიით მკურნალობს შიშებს, ფსორიაზს, ეგზემას, სოკოვან დაავადებებს. გთავაზობთ სახის გაწმენდას, ამზადებს სახის მკვებავ და მათეთრებელ კრემებს. ასწორებს ნაოჭებს. მის: მარჯანიშვილი სუნდუკიანის ქ. 11 ტელ: 95-21-25



გაზეთ „საქართველო“-ს კომპიუტერული ცენტრი გთავაზობთ გაზეთების, ჟურნალების, წიგნების დაკაბადონებას, აგრეთვე მცირეტირაჟიანი გამოცემების (5000 ცალამდე), ბეჭდვას რიზოგრაფზე სწრაფად და ხარისხიანად, თანაც, რაც მთავარია, მისაღებ ფასებში

8 გვერდიანი A3 ფორმატის შავ-თეთრი გაზეთის დაკაბადონება – 50 ლარი

თითოეულ ფერად გვერდში +5 ლარი.

4 გვერდიანი A4 ფორმატის შავ-თეთრი გაზეთის დაკაბადონება – 12 ლარი

თითოეულ ფერად გვერდში +3 ლარი.

ქართული წიგნის დაკაბადონება 1 ფორმა (16 გვერდი) 13-20 ლარი, სირთულის მიხედვით

უცხოენოვანი წიგნის დაკაბადონება 1 ფორმა (16 გვერდი) 15-25 ლარი სირთულის მიხედვით

რიზოგრაფზე ორმხრივი A3 დაბეჭდვა 100 ეგზემპლიარი 8,5 ლარი

500 ეგზემპლიარი 27 ლარი

ჩვენი მისამართია:

თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5

ტელ.: 93-20-36, 93-18-41


## ხსოვნა

არიან ადამიანები, რომელთა დაკარგვა განსაკუთრებულ ტკივილს იწვევს, რომელთა სითბო, ყურადღება და თანადგომა, ამაგი და შემართება გარშემომყოფთათვის მას სრულიად შეუცვლელს ხდის. ამიტომაა ესოდენ ძნელი განშორება **ნონა ჩქარეულთან** - პიროვნებასთან და მეგობართან.

იგი იყო შესანიშნავი მეუღლე, დედა და და შვილი სათნო, გულისხმიერი და მაღალკვალიფიციური ექიმი.

დღეს შენი დაბადების დღეა, ნონა! პირველად აღვნიშნავთ უშენოდ. ყველას გვიჭირს იმასთან შეგუება, რომ ჩვენს გვერდით აღარა ხარ. შენს თვალებს პატარა ნათიას ცრემლიან თვალებში ვხედავთ. ეს გვაძლებინებს და ვიტანთ უშენობას. გვჯეროდეს, რომ შენი მოგონება ჩვენს გულებს ყოველთვის გაათბობს.

შენი ერთგული მეგობარი

ნინო კაჯელაშვილი.


მთავარი რედაქტორი **სერგო ჯანაშია**

რედაქციის მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5

გაზეთის ინდექსი 66447

შ.პ.ს. გაზეთი „საქართველო“ რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444

ტელ.: რედაქტორი: 93-20-36, რედაქცია: 93-18-41

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გამოქვეყნებული მასალებზე პასუხს ავტორები აგებენ.